ხომლელი

ზოგიერთი ფიქრი

(ოდესიდამ მოწერილი)

აგერ ორი თვე მეტი იქნება მას შემდეგ, რაც ახალი წელიწადი დადგა, რომელსაც ყოველი ცოცხალი ადამიანი ყოველთვის სიხარულით მიეგებება ხოლმე იმ იმედით, რომ იქნება მან ჩემი სიცოცხლე, უფერული ცხოვრება შესცვალოს, მეც გამაბედნიეროს და ქვეყნისათვის ნათელის თვალით მაყურებინოსო. მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, რასაკვირველია, როგორც ცოცხალი არსება ამ ტკბილს და სასიამოვნო გულის მომფხანს ჩვეულებას ვერ წავუვიდოდი და სხვებთან ერთად ვმხიარულებდი. მაგრამ, დალახვროს ღმერთმა, რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენიდ უსიამოვნებისა და მოწყენილობის დაღი აჯდებოდა ჩემს არსებას, აგებულებას. გული უწინდებურად როდიღა სძგერდა და ჰფეთქავდა; სულს მოაწვა გამოურკვეველი ტვინისმჭამელი სევდა და ძლივს ვიბრუნებდი სულს დაუძლურებისა და მოქანცულობის გამო. ალბათ, ცუდმა ტაროსმა, ჩრდილოეთის ცივმა ზამთარმა იქონია ჩემზე ასეთი მოქმედება, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, ბუნება და თვით ტაროსიც თავის მოურიდებელ ბეჭედს აჭდევს ადამიანის არსებას, მისი სულის მდგომარეობას. გარედ კი ცივი, იანვრის ტაროსი იდგა და წარბშეჭმუხვნილ, დაღვრემილ ცას ტყვიის ფერი ედო. თვალ-გადასავლებელი სივრცე გულის მომწველ წყვდიადს მოეფინა, ღრუბლებს მოეცვა მისი არე-მარე. გაზეთებისაგან აღძრული საგნების თვალ-ყურის დევნებაზე ხელი ავიღე და ჩემს სმენას აღარ ატკბობდნენ პოლიტიკური ამბები, დიპლომატების თვალთ-მაქცური მითქმა-მოთქმა. მომწყინდა, ჩემსავით მოწყენილი მეგონა ყველაფერი.

ამნაირ მდგომარეობამდე მისული, სხვა, ჩემს ალაგს მყოფი, გულის-წყრომით იტყოდა: ახლა დადგა ისეთი დრო, როდესაც შენი ოთახის კარები მაგრად უნდა ჩაიკეტო, წიგნები ბლომად შემოიმწკრივო, მოიმზადო ქაღალდი, საწერ-კალამი და იფიქრო, იოცნებო, იცხოვრო შენი შინაგანი ავ-კარგიანობით, ყველაფერი დავიწყებას მისცე და მიუჯდე გაწუმპულ ცხოვრებას, რომელსაც, სამარესავით მოწყენილს, დაღვრემილს და გალურჯებულს, შენს ოთახს გარედ მწარედ სივილი გააქვს. ხოლო მე ასე ცოცხლად დამარხვას, სწორე მოგახსენოთ, ვერ მოვახერხებ. მე ახალგაზრდა ვარ, დაუდგრომელი სისხლის პატრონი და ამით აიხსნება, რომ ცხოვრებას, რაც უნდა დაღვრემილი მეჩვენოს იგი, მაინც ნუგეშისა და იმედის ლოდინით შევსცქერი, სანატრელი თვალით გავიყურები შორს, შორს... შეიძლება ზემო წარმოთქმულ სიტყვების პატრონმა, დაჯავრიანებულმა და სასოწარკვეთილებამდის მისულმა ადამიანმა პირნათლად დაუწყოს ყურება თავის თავს, თავის განმარტოებული სულის მდგომარეობას. შეიძლება, რატომაც არა? ყველას თავისი საკუთარი მოსაზრება და ეგრედწოდებული ფილოსოფია აქვს.

გუშინ დილით, ლოგინზე წამოწოლილს, ერთი თანამედროვე მსწავლულის თხზულება ხელში მეჭირა გადაშლილი და შიგ ჩავჩერებოდი, ხოლო იმდენათ არ ვკითხულობდი, რამდენადაც ვფიქრობდი იმისგან ცხოვრების შესახებ წამოყენებულ მწარე საგნებზედ.

ამ დროს კარი გაიღო და ჩემს პატარა ოთახში შემოიჭრა ერთი ჩემი კარგი მეგობარი სტუდენტი, მაღალი, ახოვანი, მხარ-ბეჭიანი ახალგაზრდა. ამ ყმაწვილ-კაცს ახლადამოსული მაყვალივით შავი, კოკობი წვერ-ულვაში, განიერი შავი შლაპის ქვეშ ხუჭუჭი თმა, სადა ტანისამოსი მეტად ალამაზებდა და აშნოიანებდა.

_ გამარჯვება, ბიჭო. რას წამოწოლილხარ, რამ მოგაწყინა? _ მომაძახა თავისებურად: _ წოლაღა დაგრჩა სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა? _ მეგობრული, მარილიანი დაცინვა იცოდა ხოლმე.

შევხედე თუ არა ამ ყმაწვილ-კაცს, რომლის თვალშიაც იყო გამოხატული სიცოცხლე, მიმზიდველი თავგამომეტება და გაბედულება, გუნებაზედ მოვედი, სისხლმა შეითამაშა, სიცოცხლე მომემატა, ზეზე წამოვარდი და ორივენი სტოლს მივუჯექით.

_ რამ მომაწყინა? ღმერთი, რჯული, არც მე ვიცი რამ მომაწყინა. ამის პასუხს რომ სადმე ვიპოვიდე, მაშინ ხომ ასე აღარ მნახავდი.

_ მერე ასე ნაღვლიანობა, ოცნებობა არაფერსა და არარაობაზე ვის რას შეჰმატებს, ჩემო მეგობარო! _ მითხრა მან, _ კარგი, თუ ღმერთი გწამს და თუ კაცი გებრალება, ხელი აიღე, მაგ უსაგნო მოწყენილობაზედ. მაგისთანებს ნუღარ მიედ-მოედები ახლა მაინც, როდესაც უმაგისოდაც გულის ამრევი ამბებით გატენილი წერილები მივიღე ქუთაისიდგან და ტფილისიდგან.

_ რა წერილები! აბა წამიკითხე.

მან ამოიღო წერილი ქუთაისიდგან და დაიწყო: ,,ძმაო სანდრო»...

,,ახალი ამბები რა მოგწერო. უფერული ცხოვრება ჩვეულებრივ უფერულად მიმდინარეობს. თავისი ოდესმე მიმზიდველი ძალა ბუნებამ დაჰკარგა და მის მაგიერ ჭია-ჭუები და მორიელები ფუსფუსებენ. ზოგი იმათგანი იხოცება, იხრწნება, ჰლპება. ყველა უჩივის ამისთანა ცხოვრებას და უფულობას, ვაჭრობას და მეურნეობის არარაობას. რისი ბრალია? რომ დამავალო, დაახლოებულ პასუხსაც ვერ მოგცემ, თქვენმა მზემ»...

_ ახლა ვნახოთ წერილი ტფილისიდგან.

,,დაუვიწყარო სანდრო!..

...ახალ წლიდგან დაიწყო გამოსვლა ჩვენმა ერთად-ერთმა პოლიტიკურმა გაზეთმა და უეჭველია თქვენც, სტუდენტები მიიღებდით გაზ. ,,ივერიის» პირველ [1]-ს. ამდენი ხანია ჩვენი ლამაზი ქვეყნიდგან გამოგზავნილი ერთი ქართული გაზეთიც არ გინახავსთ და უთუოდ ახალი გაზეთის იმ პირველს [1]-ს ნამეტანი სიხარულით მიულოცავთ ახალ წელს... აქაური რა მოგწერო, ძმაო! აქ ზამთარია და ხომ იცი, სიფრთხილე უნდა ადამიანს, თორემ შეუპოვარი სიცივე თუ სწვდა ყანყრატოში, ძნელია მერე იმისგან თავის დახსნა. ამიტომაც კარში არავინ არ გამოდის და ქუჩებში, როგორც სამარეში, დუმილია. მხოლოდ, ათასში ერთხელ, სასახლის ქუჩაზე თუ გაირბენს მდიდრულად მორთული ეტლი და ისიც პეგას-შებმული ეტლივით თვალის დახამხამების უმალვე თვალიდგან

გეკარგება... საზოგადოდ ფულის სიძვირემ აქაური ოდესმე აღტაცებული და უზრუნველი ქართული ცხოვრება უარესზედ შეცვალა. ყველას თავისი კუჭი გაუღმერთებია, სხვაზედ ყველაფერზედ გულგრილობს, აინუნშიაც არა მოსდისრა, არაფერზედ ყურსაც არ იბერტყავს. დააკვირდები ამ ცხოვრებას, გგონია, ორიოდე კაცი რასმეს აკეთებს, მოძმეს შველის სიტყვით და საქმით, ტანჯულს და დავრდომილს ტანჯვის უღელს უმსუბუქებს... მაგრამ თუ კიდევ უფრო ღრმად ჩაუკვირდები, უნებურად პირზედ მოგადგება, მართალი _ თუმცა კი მწარე სიტყვები:

,,...აგერ ორ კაცთა რაღაც უგრძვნიათ,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ,
მაგრამ ერთმანეთს არ ენდობიან,
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის ორნივ იღვწიან,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან».

ორივე გავუჩუმდით ამ წერილებს, დუმილი ამ დროს მეტის-მეტად აუტანელი და ლოდსავით მძიმე იყო ჩვენთვის.

_ ახლა შენ კიდევა გაქვს საბუთი მითხრა, რომ რისთვის მოგწყენია და დაღრეჯილხარო, _ დავიწყე მე. _ სად არის, თუ ძმა ხარ, ნამდვილი ცხოვრება, იმისი თუნდ ერთი სანუგეშო მხარე, რომელსაც კაცმა ხელი წაავლოს და მისით გამხნევებული, აღტყინებული გაუმკლავდეს სულის სიმდაბლეს, ფარისევლობას, ცუდ-მედიდობას, გულ-მოკლე თავმოყვარეობას, ერთის სიტყვით, იმას, რაც იმ სანუგეშო მხარის მართალსა და ჭეშმარიტ მსვლელობას ფეხს უბორკავს და გზას უჭერს. დამერწმუნე, ძმაო, დამერწმუნე, რომ ეს ძნელი ასატანია, გულის გამყინველი და სულის მომშხამველია ნამეტურ იმათგან, რომელთაც განუზრახავთ... ის მსწავლულიც, რომლის თხზულება მე ეხლა ხელში მიჭირავს, სასოწარკვეთილი ეკითხება თავის თავს: რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო და, ხანგრძლივი დამჯდარი მოსაზრებისა და მწარე ფიქრის შემდეგ სოლომონ ბრძენის გულსაკლავ სიტყვებს იმეორებს: ,,ამაოა ამაოებათა და ყოველივე ამაოო»...

ეს გამოჩენილი მწერალი ამბობს, რომ კეთილ-დღეობა, ბედნიერება ქვეყანაზე არ არის და არც იქნებაო. ბედნიერება - იმის აზრით - ლამაზი სიტყვაა, რომელიც თუმცა ყურისთვის ერთობ სასიამოვნოა, მაგრამ სრულიად უშინაარსო და უაზროა. კაცობრიობის ცხოვრებისათვის, როგორც დიდი ხანია დაამტკიცა და აღიარა თანამედროვე ფსიქოლოგიამ, არსებობს ორი გზა. ანუ უკეთ ვთქვათ, ორი ფარგალი, რომელსაც იგი ვერ გადასცილდება. ეს არის ტანჯვა და წუხილი. იტანჯება ადამიანი მაშინ, როდესაც ის ეწვალება და ეძებს მომეტებულ და უახლოეს ბედნიერებას, თავისი ძვირფასი საგნის აზრის განხორციელებას. ადამიანი ძალისაგან ილევა, მაჯისცემა უცხრება და წვალობს იმის შუა, რაც არის და იმისა, რაც უნდა ყოფილიყო; და იტანჯება და იქანცება ძარღვებით, გულით, თავით, ტვინით და აზრით, საზოგადოებაშიც, მარტოობაშიც ყოველ დღე და ყოველ ღამ და ყოველი თავისი არსებით.

ამისთანა ადამიანების რიცხვი შეადგენს გარდამეტებულს ქვეყანაზე და იმათ გვერდზე უდგას ყოველთვის უმცირესი რიცხვი იმ მცირე ნაწილისა, რომელმაც განახორციელა თავისი საგანი ცხოვრებისა, გაამართლა თავისი მოქმედების დანიშნულება და დააკმაყოფილა თავისი სულის მიდრეკილება და მოთხოვნილება და ამიტომაც ისინი ითვლებიან, როგორც ბედისაგან რჩეულნი; კეთილ-დღეობის გვირგვინით თავშემოსილნი, მფლობელნი ქვეყნიური ბედნიერებისა...

ეს სულ მტკნარი ტყუილია, ფრაზაა, რომელიც ვერ იჭერს და ვერ უმაგრდება დარბაისელ, დამჯდარ და გონიერ კრიტიკას...

_ ჰერი ჰა! შენ ერთობ ძლიერ შორს შეგიცურებია, ძმაო, შენი ტვინის პატარა ნავი ფილოსოფიის მორევში. ფილოსოფოსებს კაცმა ყური რომ ათხოვოს, სულ ერთიანად დავთარი დაებნევა და, ერთი ოხუნჯისა არ იყოს, კოჭებში ძვლების ტვინის ანთება დაემართება. აი, თუნდ ისტორიაში, როგორც შენ თვითონ იცი, ასეთი მაგალითი იშვიათი არ არის. ძველი ფილოსოფოსები ქრისტეს ქვეყნად მოსვლის დროს ეჭვისა და უნუგეშო შეხედულების წყვდიადმა მოიცვა. ერთი მიმართულების სწავლა მეორეს ეჯახებოდა და თავპირს ამტვრევდა, მეორე, თავის მხრით, პირველს და მესამეს და, ბოლოს, ისე დაიბნა და დაიშალა ძვირფასი სალარო ადამიანის გონების ნაშრომისა და ნაღვაწევისა, რომ ერთმანეთს ვერასფერი გაუგეს. ამ დროს ზოგი იმათგანი, საკუთარი დავის დავიწყების ჟინით გატაცებული, განუსაზღვრელი ლხინისა და მსუნაგობის ზღვის მორევში ბანაობდა, ზოგი, მეუდაბნოსავით ხელ-დაკრეფილი, სტოიკური სიდინჯით ცას შესცქეროდა. თითქმის, ამნაირი თუ არა, მსგავსი ისტორია განმეორდა მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების ევროპიელთა გონებრივ მოძრაობის დროს... მე შევხვედრივარ ისეთ ახირებულ ფილოსოფოსებსაც, რომელთაც თავიანთი არსებობის შესახებაც ეჭვი შეჰქონდათ. რაც შეეხება იმ ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი მსწავლულის აზრს, რომელსაც მეც კარგად ვიცნობ და რომლის აზრი შენ ახლა გადმომეცი - ამაზედ მსურს განვაგრძო შენთან ლაპარაკი, რადგანაც იგი მსწავლული სხვა ვინმეა და იმისი სწავლაც სხვანაირად გაემკლავა და შეეჭიდა განვითარებული კაცობრიობის ტვინს და გონებას, გულსა და სულს.

საქმე ის არის, რომ ამ მსწავლულის მოძღვრებას მეორე სრულიად წინააღმდეგი მოძღვრება დაუდგა დღეს პირის-პირ და ერთმანეთს გულის შემაძრწუნებელი დანით და ნესტარით ცხვირ-პირს უსერავენ. მოწინააღმდეგე მოძღვრება სათავედ იხდის კრიტიკას, რომელიც გამომდინარეობს ზემომოყვანილის მსწავლულის შეხედულობის უმთავრესის დედააზრიდგან და პირიქით ამტკიცებს, რომ ქვეყანაზე კეთილი სჭარბობს ბოროტებას, მადლი - ცოდვას, ბედნიერება - უბედურებას და მუდმივი კულტურული ბრძოლა მომავალში ნელ-ნელა, თანდათან დაგვაახლოვებს იმ აღნიშნულს იდეალს, რომელსაც მოჰყვება კერძოდ ადამიანისა და საზოგადოდ კაცობრიობის კეთილ-დღეობა და წარმატებაო. შესანიშნავია, რომ თვითონ ამ მოძღვრების გამოჩენილი ფალავანი დაბრმავდა და დაბრმავებული, თავისი ტანჯული ცხოვრების

მაგალითით, სრულიად წინააღმდეგ აზრს მიადგა და დაიწყო ქვეყნად საჯაროდ მისი ქადაგება.

ადამიანის ბუნების არსების გამოხატვა თუმცა ძნელია, მაგრამ იმაში კი ეჭვი არ უნდა იყოს, ვგონებ, რომ მას თვით ბუნებისაგან შთანერგილი აქვს ინსტიქტური ძალა, რომელიც მიეზიდება ადამიანის წარმატებისა და განვითარებისადმი. და იმიტომ, რომ ამ ძალამ, ამ მიზიდულებამ თავი გაიტანოს, მართალი და სწორი განვითარების გზას დაადგეს, საჭიროა დაუბრკოლებელი მოქმედება, ყოველი იმის ხელისშემშლელი წინააღმდეგობის მოსპობა და განადგურება. აი ამისთვის, რასაკვირველია, ეს მიზიდულება, ეს ძალა უსიტყვოდ ეუბნება და ამხილებს კაცს, რომ მან არც სხვას, მისთანა მეორე არსებას, რომელსაც სახელად ადამიანი ჰქვიან, ხელი არ შეუშალოს, არავითარი მხრით არაფერი ავნოს, რადგანაც ამითი იგი თავის თავსაც ავნებს და, მაშასადამე, თავის მიზიდულებასაც წარმატებისადმი თვალსაჩინოდ შეაფერხებს.

რაკი ადამიანში აღვიარეთ ამნაირი ბუნებითი მიზიდულება წარმატებისადმი, ჩვენ მხოლოდ, მარტო აქედან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

_ პირველი, რომ ადამიანის ბუნებითი კანონიერი მოთხოვნილება არ შევიწროვდეს.

_ მეორე, რომ ადამიანში არის ისეთი უხილავი ბუნებითი მიდრეკილება, რომ არც იგი უნდა ედავებოდეს და ავიწროებდეს სხვის უფლებას და მოქმედებას. ეს ისეთი მარტივი კანონი არის, რომლის ძალითაც არც ერთი ფრინველი არ იკეთებს ბუდეს იმ ადგილს, სადაც მეორე ფრინველს უკვე მოუსწრია იმის გაკეთება, ზოგიერთი პირუტყვი საძოვარ მინდვრებს იყოფენ ერთმანეთში და სხვა და სხვ. ამ კანონსვე და მხოლოდ ამას ექვემდებარებიან ადამიანის ბუნების მიზიდულება დამოუკიდებლობისა, თვითარსებობისა და მყოფობისადმი, ყოველნი კეთილშობილურნი და კაცთმოყვარე გრძნობანი და მისწრაფებანი... რაც შეეხება ჰუმანიურ გრძნობას, საზოგადოებრივ ინსტიქტს (ალტრუიზმი), ე. ი. იმას, რომ არავის ევნოს, არავის არაფერი წაერთოს და წაეგლიჯოს ძალით - ამას, ვგონებ, ამ დედააზრს ჩვენ გარეულ, ტყის ნადირებშიც საკმაოდ ვხედავთ. მგლები ერთმანეთს როდი აკვდებიან, რომ ერთმა მეორეს მსხვერპლი წაჰგლიჯოს, არამედ ყოველი იმათგანი ცალკე, საკუთრად, თავისთვის ეძებს, ტურები ერთად გროვად დადიან, მაგრამ სისხლის ღვრა და ჩხუბი მათ შორის ძვირად შეუნიშნავთ. საზოგადოდ, ჩვენ ჯერ საკმაოდ ვერ ვიცნობთ პირუტყვთა ცხოვრებას; მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისს ბიოლოგია გულმოდგინედ შეუდგა ამ რთულ მასალას და რაც მეცნიერულმა გამოკვლევამ და პირუთვნელმა ანალიზმა აუწყა კაცობრიობას, ისიც საკმაოდ ამტკიცებს, რომ პირუტყვშიაც აღვიაროთ ჰუმანიურ გრძნობათა არსებობა.

მართალია, ადამიანის ბუნებითთა თვისებათ, სხვადასხვა მიზეზების წყალობით, იმთავითვე დაებნათ დავთარი და მიიღეს ცდომილი, გზადაბნეული მიმართულება, მაგრამ რამდენიც დრო გადის, ადამიანის ცხოვრება იმდენად უფრო და უფრო უახლოვდება თავისი პირვანდელი არსების გონიერად გაგებას და შეგნებას. ჩვენ ახლა აღარა გვაშინებს

ათასნაირად გამხრწნელი ცრუმორწმუნეობა და მისი გავლენა; ჩვენ ახლა განათლებულ ქვეყანათა წრეში აღარ გვყვანან სინდისის მოვაჭრე და ტვინ-გაშეშებული ორფეხა ცხოველები; ჩვენ ახლა უარს ვყოფთ მონებას და თავს აღარ ვიწონებთ იმითი, როგორც თავს იწონებდა ძველი ქვეყნები: საბერძნეთი და რომი, თავისი ფილოსოფოსებით. ჩვენ უარს ვყოფთ მას, რადგან ის წარმოადგენს ადამიანის პიროვნების ბინძურად თელვას; ჩვენ ინკვიზიციისა ხომ აღარაფერი გვრწამს. ყველა ამის უვარგისობის, ადამიანის ბუნების წინააღმდეგობის შეგნებამ დიდი ხანია მიიღო მოქალაქეობრივი მოძრაობა იქ, იმ წრეში, რომელიც შეადგენს საუკეთესო ნაწილს კაცობრიობისას და, ვიტყვით, თვით კაცობრიობასაც...

თუმცა ისიც მართალია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უკანონობა ახლაც შეხვდება კაცს და შეხვდება უფრო ოსტატურად მომართული, ხოლო საზოგადოდ კი რომ ვსთქვათ, ცხადია, - ადამიანის ბუნების შეგნებამ უკეთესი ფერი და სახე მიიღო. მაგრამ... ჰმ, მაგრამ დახე ბედს! ამდენი დრო მიდის, ამდენი ძვირფასი საათი მიჰქრის და ადამიანები ჯერ კიდევ ბევრში ვერ მიმხვდარან იმას, თუ რა შეადგენს იმათ ბუნებით მოთხოვნილებას და ერთმანეთშიაც ვერ შეთანხმებულან იმისთანა აზრის გამოსარკვევად, თუ რა არის კაცისათვის მართლა გამაბედნიერებელი და გამაუბედურებელი, გამაკეთილშობილებელი და გამაბოროტებელი. იმ აზრის გამოხატულებას, რომ ადამიანი ინსტიქტურადაც კი ეტანება კეთილდღეობას, გაუკეთესებას, ყველა აღიარებს, მაგრამ სრულიად სხვადასხვა, თითქმის ერთმანეთის წინააღმდეგი აზროვნება წარმოსდგება იმის შესახებ, თუ რა უნდა შეადგენდეს კერძოდ კაცის და საზოგადოდ კაცობრიობის ბედნიერებას, კეთილდღეობას.

აი, ამითი აიხსნება, სხვათა შორის, ისიც, რომ იმ ორ ზემოთ მოყვანილ თანამედროვე მსწავლულთა შორისაც ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზროვნება დაიბადა.

,,კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი, - ამბობს შინაური მიმომხილველი, - მარტო ადამიანის გულის-ხმის საქმეა, უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება. ადამიანის გარედ ცოდვა და მადლი არ არის და, რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტია, მეორესთვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არის. რატომ? რატომაო?! საქმეც იმაშია, რომ ,,რატომს» ჯერ აქამდე ადამიანმა გულდაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა»1.

ჩვენ რას ვუყურებთ ფილოსოფოსებს? დეე იმათ ერთმანეთს თავი ამტვრიონ. ჩვენ იმათ ვერ ავყვებით. ძმანო-ჯან! შინაური მიმომხილველისა არ იყვეს: ,,აბა პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვკითხონ, ჩვენ მდაბიოთა, სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველასფერი გვენატრება, რომელნიც ყველასფერს ჯაფით, ოფლით, წვითა და დაგვით ვშოულობთ და წილად გვხვდომია იმავე წვითა და დაგვით ნაშოვნ-ნაამაგევი დავიცვათ და შევირჩინოთ. ჩვენ გვკითხონ და ჩვენ ვეტყვით რაშიაც არის აზრი, საგანი ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება. - რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთ-ნაირად გაისაზღვრება ერთიც და

მეორეც ყველგან. ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში». ავტორი შემდეგი სიტყვებით ათავებს მიმოხილვას: ,,მე შორს, ფილოსოფიის მორევში არ შევდივარ, თავი ხომ არ მომძულებია, რომ დასახრჩობად გავიმეტო. მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს, ტირილსა, თუ სიცილსა, გაყრასა, თუ შეკრებას, დუმილსა, თუ მეტყველებას, სიყვარულსა, თუ სიძულვილს, შფოთსა, თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან». კი, მაგრამ, თუ შავი თეთრად გამოჰყავთ, თეთრი - შავად და ჭეშმარიტება ილახება იმ დროს, როდესაც ერთი რომელიმე მხარე დუმილს და მშვიდობას თხოულობს, მეორე კი მეტყველებას და ბრძოლას, - მაშინ რა ჰქნას ადამიანმა, როგორ უნდა მოიქცეს იგი? მე დარწმუნებული ვარ, რომ ,,შინაური მიმომხილველი» ნამდვილ გულდასაჯერებელ პასუხს მოგვცემდა ამ კითხვაზე, რომ ერთი საოცარი, უცნაური სენი არ სჭირდეს და რაღაც თვალ-წინ სულთამხუთავსავით არ აგტუზებოდეს... ტყუილად შეგიწუხებია თავი, ძმაო, და ტყუილადაც მეკითხები: საით არის ტყუილი და საით სიმართლე და ჭეშმარიტებაო. მოგიგებ ამ სიტყვებით:

,,...სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი, -
ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ,
თვით მაგ დუმილში რა წყევლა არი!...»

ჩვენ ახლა თავი დავანებოთ ამნაირ მსჯელობას და გულში აქედანვე ჩავიწვეთოთ, რომ სანამ ცოცხალი ვართ ვიმეცადინოთ: ჩვენი კეთილდღეობის ყოველი მხრით განვითარება და შეგნება, მშობელი ხალხის დახმარება სიტყვით, საქმით, აზრის წერით და ზეპირგადაცემით, რადგანაც ჩვენი ვალია შევეწიოთ, ვიგრძნოთ ის, რასაც მოძმე, ჩვენი მკვებელი ჰგრძნობს. ,,იცან თავი თვისი», ,,ცოდნა არის სიკეთეო,» - დიდი ხანია წარმოთქვა სოკრატმა. ვიცნოთ თავი ჩვენი, დავუახლოვდეთ ჭეშმარიტებას, და ჯვარცმულის ღმერთის ღვთიური სიტყვებისა არ იყოს, ჭეშმარიტება გაგვანათლებს ჩვენ. ახლა კი დავმღეროთ რამე, ჩემო მეგობარო!

მე სისხლის ადუღება ვიგრძენ და ჟრუანტელმაც დამიარა ტანში ერთსა და იმავე დროს. ამ დროს მომესმა ამხანაგთა სიმღერა და ყური ჩემი გაიტაცა სანუგეშო და იმედიანმა სიტყვებმა:

,,...წინ წასვლაში არ დავიხევთ,
არ გავსწირავთ უკან რჩომილს,
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
უღონოსა და დავრდომილს.
უანგაროთ მივალთ წინა»...

ანაზდეულად გაიღო ჩემი ოთახის კარი და ათიოდე სტუდენტმა აღტაცებულის სიმღერის: შაუდეამუს იგიტუვ... ...ერთად იგრიალა. რა

შევხედე ამ მეცნიერების მსახურ ყმაწვილ-კაცობას, გული გამეღო სიხარულისა და იმედისათვის.

1886 წ.

ზოგიერთი ფიქრი

,,ივერიის» მე-100 [1]-ში დაბეჭდილი იყო ერთ ფელეტონად წერილი:,,ფიქრი და შენიშვნა გარეთ-ყოფილისა», რომელიც ჩვენი ახალი ლიტერატურის ორ ხანას, ინტელიგენციის ორ თაობას შეეხება და, წერილის ავტორის აზრით, ამ ორივე სხვადასხვა გზით მავალ განათლებულ საზოგადოებას ერთმანეთს ადარებს. მეტად პატივცემული ავტორი ისეთი დახელოვნებული და მკაცრი კრიტიკით შეუდგა თავისი წერილის უმთავრეს საგანს, რომ მკითხველს ძალაუნებურად აჯერებს და ღრმად აფიქრებს. ეს კიდევ არაფერი. იგი თავისივე გულწრფელი სიტყვა-პასუხით თქვენს გულ-მკერდში თავისთავად იწვევს კეთილშობილურ გრძნობას, უანგარო სიყვარულს ჭეშმარიტებისა და კეთილისას. ძლიერი სურვილი მოქმედებისა, ვაჟკაცური გრძნობა ღირსებისა და ვალდებულებისა იპყრობს თქვენს არსებას. მართალია, თუმცა თქვენ წერილის დაწყებისთანავე გრძნობთ ავტორის დაბოლოებითს აზრს, ტანში ჟრუანტელი გივლისთ და სიწითლე მოგდისთ სახეზე, როდესაც ავტორი ორი თაობის ღვაწლსა და მოქმედებას პირისპირ ერთმანეთს უყენებს, მაგრამ ეს გარემოება თვითონ აღებულ საგანსა და ფაქტს უფრო ამჟღავნებს და იმ წერტილამდის მიჰყავს, სადაც თვითეულისათვის ყველაფერი გასაგებია და ნათელი.

აი, ამ ღირსებითა და ზედ-მოქმედებით არის ასახული ეს ძვირფასი წერილი და გვიხარიან, რომ შემთხვევა გვეძლევა გამოვთქვათ ჩვენი აზრი.

მართლად და შეუცდომლად სჯის ავტორი თუ არა, ეს სულ სხვა საქმეა. მან თავისი ფიქრი და შეხედულობა საჯაროდ გამოსთქვა და, თუ ამ გაკრულს შენიშვნებში ჩვენ ცალმხრივობას და, მაშასადამე, შეცდომას ვპოულობთ, ვალდებულნი ვართ მკითხველი საზოგადოების წინაშე ეს ნაკლი ვუჩვენოთ და თან ვსთხოვოთ მკითხველს წამოყენებულ საგანს და საკითხს ფრთხილი კრიტიკითა და ყურადღებით ჩაუფიქრდეს.

როგორც ვსთქვით, ავტორი ადარებს ორი თაობის ღვაწლს, ჩვენი ახალი მწერლობის ორ ხანას და ამბობს, რომ წინანდელი თაობა აღიზარდა მაშინდელ რუსეთის განათლებულ საზოგადოებისა და ლიტერატურის გავლენის ქვეშე და იმან საქართველოში დაბრუნებისათანავე ამ გავლენის ფერი და ხასიათი მისცა თავის ნაყოფიერ მოღვაწეობასა და მოქმედებასაო. საქართველოში პირველად გაისმა საკაცობრიო ხმა და ყმაწვილ-კაცობის კრებულთა მეთაურებმა უშიშრად მოჰფინეს ის ნათელი აზრები, რომელნიც რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ჭკუის უხვს ნაყოფს შეადგენდა. უეჭველია, თქვენც გაგეგონებათ, მკითხველო. გამარჯვებულად თერგდალეული გამოვიდა. შემდეგი მისი მოღვაწეობა,

ძმობისა და ამხანაგობის გრძნობა, მისი შეუსყიდველი სინდისი საზოგადო სამსახურის ასპარეზზედ თვით მტრებისაგანაც კი იყო თითით საჩვენებელიო. ამნაირი მოქმედებით თერგდალეული ქართული ჭკუის, ზნეობის, ენისა და მწერლობის გამდიდრებას გულ-წრფელად და სინდისიერად ემსახურებოდაო.

რა იყო მიზეზი თერგდალეულების გამარჯვებისა?

,,თერგდალეულები ძლიერნი და გამარჯვებულნი იმიტომ გამოდგნენ, რომ იმდროის ნათელი აზრები მართლა შეითვისეს და განახორციელესო».

წინანდელ თაობას, თერგდალეულებს მოჰყვა ახალი თაობა, ე. ი. ის საზოგადოება, რომელიც თერგდალეულების შემდეგ ბევრს ჰყვირის ისეთ საჭირო ცალკე საქმეებზედ, როგორც სკოლაა, გაზეთი, თეატრი, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა, მაგრამ არავითარი საზოგადო დედააზრი კი არ მოეძებნება: ამ თაობამ არა იცის-რა, არც უცხო მწერლობისა და მეცნიერებისა და არც საკუთარი ვითარებისა. აი, ეს არის უმთავრესად მიზეზი იმისა, რომ ,,ჩვენ ინტელიგენცია არა გვყავს, თორემ მოგეცა ღვთის წყალობა, რომ მაშინ დედააზრიც გვექნებოდა და კრიტიკაც. ეს აუცილებელი და დაუფასებელი ფარხმალი ყოველი ლიტერატურის წარმატებისათვისაო».

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს, რომ საზოგადო სურათი ძველი და ახალი თაობისა, ლიტერატურის წინანდელისა და ახალის ხანისა ნამდვილად ისეთია, როგორც იმან თავის წერილში დახატა. ამ აშკარა ამბავის სიმწვავე ყველას თვალში ჰხვდება და გვერდს ვერავინ აუვლის.

თქმა არ უნდა, რომ თვითოეული ჩვენგანი თავმოწონებით იხსენიებს იმ უკეთილშობილესი გრძნობითა და ღრმა რწმენით აღვსებულ ორიოდე გამოჩენილ, თითით საჩვენებელ თერგდალეულს, მაგრამ შემცდარია ავტორი, როდესაც იგი იმათი მოღვაწეობისა და მოძრაობის გავლენას მხოლოდ გარეგანი საქმის მსვლელობით ჰხსნის. მაშინდელი თაობის საქართველოში ჩამოსვლამ დასძრა ჩვენი ცხოვრებაო, ამბობს იგი. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ 60-იან წლებში რუსეთიდგან დაბრუნებულმა ყმაწვილ-კაცებმა მისცეს ჩვენში ცხოვრებას ახალი მოძრაობა? რასაკვირველია, იმათ მიმართულება მისცეს ამ მოძრაობას, თავისი განვითარებული გონების ფერი და ნიშან-წყალი დააჩნიეს.

ჩვენ ამ რთული ამბავის კვლევას დაწვრილებით აქ ვერ შევუდგებით. მოკლედ ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს იშვიათი მოძრაობა, რომელსაც ბადალი არ მოეძებნება არც ჩვენსა და არც რუსეთის ისტორიაში, ლოგიკური შედეგი იყო მშრომელი ხალხის.

გარდა ამისა, ბ-ნი გ-ლი თერგდალეულების ღვაწლს ერთობ მეტის-მეტ და გაზვიადებულ მნიშვნელობას აწერს და ეს, ჩემი აზრით, იმიტომ მოსდის პატივცემულ ავტორს, რომ უკანასკნელ თაობას საზოგადოების თვალში სრულიად ბოლო მოუღოს. საჭირო იყო, აუცილებლად, საზოგადო, საეკონომიო მიზეზების ძიება, შემუშავება და შემზადება... აი, აქ უნდა გამოჩენილიყო სწორედ, არა პირველზედ ნაკლები, ღონეცა და უღონობაც.

მაგრამ აქ თერგდალეულმა ვერ გაატანა თავის პირვანდელ გზაზე სისწორით მსვლელობა და ნიადაგი თავის მოქმედებისა, შინაარსი თავისი პროგრამისა ვიწროდ შემოისაზღვრა და შემოიფარგლა. მართალია, ჩვენში 1864 წელს, ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგაც, უბრუნდებოდა თერგდალეული თავის საკაცობრიო და სახალხო საგნებს, მაგრამ ეს მოსდიოდა ისე, თავის-თავად, ინერციის ძალით. მოგეხსენებათ, ცხოვრებაშიაც ხშირად ვხედავთ ისეთ ბრმა ინერციას, როგორც ფიზიკურ მოვლენათა გამოხატულებაში არის ხოლმე რაიმე ისტორიული მიზეზებისაგან გამოწვეული მოძრაობა და ეს მოძრაობა თავის პირვანდელ გზას ადგია კიდევ მაშინაც, როდესაც ყოველივე აზრი ამ მოძრაობისა დიდი ხანია დაიკარგა და ისტორიის საკვლევ ამბად გადაიქცა. ასე მოხდა ჩვენშიაც, მაგრამ ასეთი ინერციით მსვლელობაც დიდხანს არ გაგრძელებულა. თერგდალეულების ყურადღება უმთავრესად მიიპყრა საკუთარი ქვეყნისა და ერის ვითარებამ და ისტორიამ. ,,ნასწავლმა თერგდალეულმა, - სამართლიანად ამბობს ბ-ნი ნ. გ-ლის წერილის გამო დაწერილი ,,ივერიის» მეთაური წერილი, - გარდა იმისა, რომ მოჰფინა, რამდენადაც შეეძლო, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრები, ხელი მიჰყო საკუთარს ვითარებასაო... მას აქეთ თანდათან ძლიერდება საკუთარი წარსულისა და აწმყოს შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარყოფს, რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია. ეს საქმე მოიქმედა იმ ძველმა თაობამ და ეს არის უმთავრესი იმისი სამსახურიო».

მე, ჩემის მხრით, გულწრფელი და ღრმა პატივისმცემელი ვარ ჩვენი ცნობიერად და სინდისიერად აქნობამდე მომუშავე სასიქადულო მამულიშვილებისა და აი, სწორედ ეს ჩემი შეხედულება მაიძულებს პირდაპირ გამოვსთქვა ჩემი საკუთარი აზრი და მწამს, რომ მომისმენენ, რადგანაც ჩვენი პატიოსნებითა და ენერგიით სავსე თერგდალეული დღესაც მხურვალე თაყვანისმცემელია ჭეშმარიტებისა და სათნოებისა. მხოლოდ ბრმა და ტვინდამთხვეული უარჰყოფს თერგდალეულთა იმ მადლიან ღვაწლსა და სამსახურს, რომელზედაც ასეთი გულწრფელი დარწმუნებით გვითითებს ,,ივერიის» მეთაური. ჩვენ სხვაზედ ნაკლები არ გვესმის საჭიროება და მნიშვნელობა ასეთი სამსახურისა და არ ვივიწყებთ, რომ თერგდალეულების ერთმა მეთაურთაგანმა ჩვენს საკუთარს ისტორიასა და ცხოვრებაზედ მოჭრილი საისტორიო ფილოსოფიური ნაშრომი უძღვნა ჩვენს მწერლობას. ჩვენ გადაგვითვალიერებია ჩვენი ახალი მწერლობა, ვიცნობთ იმას და ვაღიარებთ, რომ თერგდალეულთა ნათელი გონების ამ ნიადაგზე მომართულმა მუშაობამ დიდი ღვაწლი და სამსახური გაუწია მშრომელ ქვეყნისა და ერის ბედ-იღბლის შესწავლას. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებამ თერგდალეულების ხელში ცალმხრივი, მარტო ეროვნული სახის გამომეტყველება და ხასიათი მიიღო, ახალთაობის ხელში კი იგი მიმართულება სრულიად გამოთაყვანდა და შემარცხვენელი, გონების დამამცირებელი ფერი დააჩნდა.

...ნამეტანი სიყვარულით გატაცებული თერგდალეული გულწრფელად შესცდა, როდესაც ჰფიქრობდა, რომ მარტო საკუთარი ვითარების შესწავლით შეემუშავებინა თავისი ქვეყნის ბედნიერების პროგრამა.

ჩვენ აქ არავის სასაყვედუროდ არა ვლაპარაკობთ და, უმდაბლესი მთხოვნელნი ვართ, ჩვენი ნათქვამი საწყენად არავინ მიიღოს. თერგდალეულმა ის გააკეთა, რაც მოეხერხებოდა; ერთს მიმართულებას რომ გაჰყვა, მეორესათვის დრო და მოცლა სადა ჰქონდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, და შეუძლებელი არავის მოეთხოვება. საყვედურს აქ ადგილი არა აქვს...

თერგდალეულთან მომდევარს, ეგრეთ წოდებულს ,,მეორე თაობას» მაინც ადვილად უნდა შეევსო ის ნაკლი, რომელიც ძველი თაობის მოქმედებაში აუცილებელი მოვლენა იყო, მით უმეტეს, რომ იმას წინ უძღოდა თერგდალეულების მიერ შემუშავებული ახალი ნიადაგი, ახალი ლიტერატურა, ენა, მაგალითის მაჩვენებელი წინა-მოადგილეთა ხასიათი და ენერგია. თერგდალეულთა ვაჟკაცურსა და სასიქადულო მოძარობას უნდა მოჰყოლოდა ის, რაზედაც გულის ტკენით და ნაღვლიანი დაცინვით გვითითებს ბ-ნი გ-ლი. ,,მაშინ, როდესაც, - ამბობს იგი, - რუსეთის ახალგაზრდობას ჭკუისა და გონების გამხსნელი, ზნეობისა და ხასიათის გამაფაქიზებელი აზრი მოჰქონდა მდაბიო ხალხთან, ჩვენი ახალი თაობა მიიზიდების სოფლისაკენ სრულებით უაზროთ და ჰგონია, რომ მარტო ღორებისა და ცხვრების ფარების პროექტებით თავის ქვეყანას ბედის კარს გაუღებსო».

რამ მიიყვანა ამ გულსაკლავსა და სატირალ მდგომარეობამდის დღევანდელი ჩვენი ახალი თაობა, რომ, რაც კი რამ შესანიშნავი მოიპოვება ჩვენს ახალ მწერლობაში, სულ მთლად თერგდალეულების თაობას ეკუთვნის და დღევანდელ ახალ თაობისაგან ჩვენს მწერლობას არაფერი სიმდიდრე არ შეუმატია და ვერც შეიმატებს. ,,უნდა ჭეშმარიტად აღვიაროთ, - ამბობს ბ-ნი ნ. გ-ლი, - რომ სალიტერატურო ასპარეზისათვის ახალი თაობა სრულებით მომზადებული არ არის. ასე რომ რუსულს ლიტერატურასაც დაახლოვებით ვერა სცნობს და, ჩვენდა სამარცხვინოთ, ჯერაც თერგდალეულებმა უკეთ იციან და უკეთ შეუძლიათ დააფასონ რუსეთის ლიტერატურა, ვიდრე ჩვენმა ახალმა თაობამ». ამიტომაც, ჩვენმა ახალმა თაობამ თერგდალეულებსავით ნამდვილი სამსახური ვერ გაუწია საქართველოს, რადგანაც იგი თავის დროის შესაფერ გონებით მომზადებულობას, ხასიათის სიმტკიცეს, ზნეობის თვისებათა პატიოსნურ, გაბედულ ტრიალს, ჭკვიან ლაპარაკსა და წერას მოკლებული იყო.

თქმა არ უნდა, მწერლობამ და ინტელიგენციამ, ხალხის ცხოვრების რთულ მოვლენათა მსვლელობა რომ გაიგოს, თავი და ბოლო მოუნახოს და მათ შორის საიდუმლოდ დაარსებული კავშირი და დამოკიდებულება დაინახოს, აუცილებლად საჭიროა, რომ იგინი საზრდოს იღებდნენ თანამედროვე მეცნიერებისა და ცხოვრების, პრაქტიკულად ნაცადი სამკვიდროსაგან, ანუ საზოგადო დედააზრისაგან. თუ ინტელიგენციას ხელთ არა აქვს ეს უმთავრესი სახელმძღვანელო ძალა და ცხოვრებისაგან წამოყენებულ საგანთ და მოვლენათ ვერ არკვევს და ვერ ზომავს

გონებითი და ზნეობითის მჭრელის თვალით, მაშინ ინტელიგენცია თვითონ, თავისთავად, ბუნებრივად, სხვა გარეშე მიზეზთა დამოუკიდებლად, ჰკარგავს ძალას, მნიშვნელობასა და გავლენას. მართალი რომ ვთქვათ, თვითეულ ადამიანს რამდენადმე უნდა შემუშავებული ჰქონდეს სათეორიო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნის ნათელი აზრები; მაგრამ ასეთი ცოდნის სახელმძღვანელო დედააზრები გადაქცეული უნდა ჰქონდეს ცნობიერად საზოგადო ასპარეზზედ გამოსულს თაობას, ინტელიგენციის მოწინავე რაზმს, იმიტომ, რომ მხოლოთ ამ პირობების შესრულებით იმან ნამდვილი სამსახური გაუწიოს ხალხის ინტერესების დაცვას, საზოგადოების ცნობიერებაში მოყვანას და საერთო, საკაცობრიო იდეალების წარმატებას. ცხოვრების მრისხანე ქარიშხალს შეუძლია ამ თაობისა და ინტელიგენციის მესვეურნი გაფანტოს და იმათ მოვლენათა მსვლელობაზედ სხვადასხვანაირად აყურებინოს, მაგრამ ამ ყურებასა და აწონ-დაწონვაში უეჭველად ერთი მეცნიერულად შეთვისებული შეხედულებისა და მიმართულების აზრი გამოიხატება. საზოგადო ცხოვრების ტრიალზედაც რომ არა ვთქვათ რა, ეს შეხედულება და მიმართულება ზოგჯერ, თვითონ ცნობიერად დამარაგებული ინტელიგენციის მეთაურთა ტვინსა და გულ-მკერდშია და იმათ წმინდათაწმინდას წარმოადგენს. ამ ნათლად წინ წამოყენებულს და ერთხელ შეთვისებულსა და ღრმათ ნარწმენი მსოფლიოზედ შეხედულებით უკვირდებიან იგინი ცხოვრების საიდუმლოებას, ცოდვასა და მადლს, წარმატებისა და ბედნიერების მოპოვების სახსარსა და იმათ დახმარებით და გამოყენებით გონიერათ და თავისუფლად ეკიდებიან საზოგადო ცხოვრების ფერისა და ხასიათის სხვადასხვაობას. იგი მწერლობა, რომელიც მოკლებულია ამ სიცოცხლის ძარღვს და მადლს, სუსტია და უძლური, გარემოებისა და შეთვისებული პირობების მონაა, და როგორც მონას, არ ძალუძს გულწრფელად იქადაგოს ადამიანის ღირსებასა და ვალდებულებაზედ, იმიტომ, რომ იმას ცხოვრების უბრალო, წვრილმანი და მარტივი მოვლენანიც კი თავის ნებას, და სურვილზედ მიუბრუნ-მოუბრუნებენ ცხვირ-პირს. ასეთი თაობისა და მწერლობის მდგომარეობა ზღვაში გზადაკარგულ ნავს მოგვაგონებს: უგზო-უკვლოდ ზღვაზე გატყორცნილი ნავი მსუბუქი ქარის შრიალის დროსაც კი ხან ერთს ნაპირს მიუახლოვდება, ხან მეორეს, ან წყლის ზედაპირზედ საზარლად დაიწყებს ტოკვას, ან ზვირთთა ცემით დავაგლახებული კლდე-ღრეში გადაიჩეხება. უაზრო მოქმედება, საზოგადოთ, წარმოუდგენელიც არის, მაგრამ საქმე ცოდნასა და სახელმძღვანელო დედააზრების დამთავრების ხარისხშია და გამოხატულებაში. აი, იმითი განიზომება, უმთავრესათ, მომქმედი თაობის და ლიტერატურის თვითეული ფეხის გადადგმა, მადლიანი წარმატება, ნამდვილი ღირსება და ღვაწლი იმისი ცხოვრებაში მოქმედებისა.

ეს ხომ ასეა, მაგრამ ინტელიგენციის ასეთ განცალკევებულ მდგომარეობაზედ ლაპარაკი უსაფუძვლოა და მავნებელიც. ინტელიგენცია ციდგან ჩამოსული კრებული როდია, რომ ყოველთვის ისე სასურველად შენახული და წმინდა იყოს, როგორც ჩვენ გვენატრება და

გვესიამოვნება. კარგი დაგემართოთ, კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ახალი თაობისა და მწერლობის ბედ-იღბალი ჩვენს კეთილ განზრახულებასა და სურვილზედ ყოფილიყო დამოკიდებული. მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა...

საქმე ის არის, რომ ავტორი აქაც ივიწყებს საზოგადო აზრის მოძრაობისა და დაყუჩების ნამდვილ მიზეზებს და საგნის გარეგანი მსვლელობითა და გამოხატულებით კმაყოფილდება. მე ცოტა არ იყოს მეთაკილება, ღვთის წინაშე, ნამდვილ მიზეზებზედ მივუთითო ისეთს გონიერ ავტორს, როგორც თავის წერილში სჩანს, ბ-ნი ნ. გ-ლი, რომელმაც ჩვენზედ ნაკლებ არ უნდა იცოდეს რუსეთის ინტელიგენციის თავგანწირული მოქმედება და ამასთანავე ამ ინტელიგენციის ცხოვრების ნიადაგზედ ფეხის მოუკიდებლობა და დღევანდელი უარარაობა. რა არის ამ მდგომარეობის მიზეზი? იქნება წერილის ავტორი თვითონაც მიხვდეს.

როდესაც ჭეშმარიტებისა და სამართლის თაყვანისმცემელი მწერალი რომელსამე საზოგადო საქმეებს ეხება და იმათ გამო სჯის, თავდაპირველად ეს იმას მოასწავებს, რომ ავტორის დალაგებულმა და დამჯდარმა საუბარმა, შეხედულებამ გზა გაიკაფოს, საზოგადოების ყურადღება მიიპყროს და ცხოვრებაში მოქალაქეობის გზა და ნიადაგი მოიპოვოს. მაგრამ საქმეც აქ არის. იმიტომ რომ მწერლის ასეთი აზრი განხორციელდეს და შესაფერისი ნაყოფი მოიტანოს, საჭიროა მწერალმა საფუძვლიანი, გულ-დასმული ფილოსოფიური გონების სიმახვილით დაიწყოს საგანზედ მსჯელობა და ნამეტურ ისეთ ნაირი მსჯელობა, რომელმაც სრულიად ბოლომდის უნდა გაიყვანოს ავტორის აზრი, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დროც დაიკარგება და ცდაც სრულიად უსარგებლო გამოდგება. მაგალითად, თუ რომელსამე ადამიანს, კერძოდ, ანუ მთელს კრებულს ადამიანებისას, საზოგადოთ იმიტომ სძრახავს და აძაგებს ვინმე, რომ ეს ადამიანი, ანუ კრებული ღარიბია და ბინძურად ცხოვრობს, ან უმეცარია და გონება გაუხსნელია, მაშინ როდესაც ამ ადამიანს და კრებულს არავითარი სახსარი და საშუალება არ მოეძებნება, რომ თავისი გაჭირვებული და თავში საცემი მდგომარეობა განაკარგოს, უეჭველია, ეს ძრახვა და ძაგება წყლის ნაყვა იქნება და არავითარ სარგებლობას არ მოიტანს. რატომ? იმიტომ, რომ მძრახველი და მძაგებელი იქიდგან როდი იწყებს საქმეს და საგნის კვლევას, საიდგანაც უნდა მოუაროს უბედურს და სატირელ მდგომარეობას. ნამდვილი მოაზრე და სინდისიერი მოღვაწე, რომელსაც სულით და გულით სურს ადამიანისა, ანუ კრებულის ცხოვრების წინ წაწევა და განკარგება, უსათუოდ მიაქცევს თავის ნათელ გონებას და ყურადღებას ან იმ გარემოებას, თუ რად და რისთვის იგი, ადამიანი და კრებული, არა ზრუნავს თავის თავზედ და არაფერს არ აკეთებს თავისი ცხოვრების განსაკარგებლად, ან იმას, თუ რანაირი ცხოვრების ფორმები და ვითარება, გარემოება და ისტორიული მიზეზნი სპობენ და ჰკლავენ ყოველგვარ მათ ცდას და შრომას, ბუნების კანონიერ მიზიდულებას და სურვილს, რომ თავისი საკუთარი ცხოვრება ისე მოეწყოს, როგორც უნდა და როგორც ამას მოითხოვს ჭეშმარიტებასა და სათნოებაზედ შემუშავებული შეხედულება.

ხალხთა, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრება მეტად რთული საგანია. ამ რთული აგებულების საიდუმლოებისა და საკითხთა გამოცნობა თხოულობს დღეს თითქმის მეტად დიდ გონებით მომზადებულობას, საზნეობო ძალთა აღმატებულობასა და სასტიკად განზომილ ანგარიშიანობას. რა თქმა უნდა, რომ ამ ცხოვრების თვითეული ძალის ასეთი თუ ისეთი მდგომარეობის კვლევაც მეტად რთულია და ზემოთ აღნიშნული იარაღების ხმარებაც აუცილებელია...

ჩვენი ინტელიგენციის უკანასკნელი თაობისა და მწერლობის უშინაარსობას უარს ვერა ვყოფთ და ამის თაობაზე წერილის პატივცემულ ავტორს ჩვენ თანხმობა წინადვე განვუცხადეთ. ჩვენს ახალ თაობას დაუფარველი და მომაკვდინებელი ცოდვა აწევს ქვეყნისა და ერის წინაშე, მაგრამ ცოტად დავფიქრდეთ, ადამიანები ვართ და ადამიანურად განვსაჯოთ: ამ ,,ცოდვილი თაობის» ასეთ მდგომარეობასაც, იმის ცოდვების ჩვენ მიერ შესაწყნარებლად, ბ-ნი ნ. გ-ლის მიერ ნაჩვენებ მიზეზთა შედარებით, უფრო უარესათ სასტიკი და რთული საბუთები და მიზეზები მოეძებნება. ამ თაობის გონების გამოფუტურების უარესათ სხვა მიზეზებს უმუშავნიათ, რომ ,,დღევანდლამდე ქართული ჟურნალი არის მხოლოდ კრებული სხვადასხვა თხზულებებისა, რომელთაც არავითარი ურთიერთობა, კავშირი და საზოგადოთ ჟურნალის დედააზრი არ მოეპოვება». საზოგადო ვითარება, ცხოვრების ავკარგიანობა არა თუ შველიან, სწყვეტენ, სპობენ ჩვენი ახალი თაობის ყოველგვარ კეთილს, სათნო განზრახულებას და მიზიდულებას, რომ იგი როგორმე საზოგადო ასპარეზისათვის გონიერად და მოწიფულად მოემზადოს. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ სხვადასხვა დღევანდელი გარემოების მიხედვით მავნე პროფესიისათვის, გარდა საზოგადო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ასპარეზისა, გულმოდგინედ და დაბეჯითებით ამზადებს ჩარხად გამოსაყენებელ ყმაწვილ-კაცობას და ეს ყმაწვილ-კაცობაც ჩარხის დანიშნულებას ასრულებს. ასეთ დროში სალიტერატურო შრომასაც მხოლოდ საზოგადოების საუკეთესო იშვიათი ბუნების შვილები ეტანებიან და ისინიც ამ სარბიელზედ შემთხვევით, კუდიანი ვარსკვლავისა არ იყოს, თავიანთ სიცოცხლეში ერთხელ გამოჩნდებიან და ჰქრებიან, მაგრამ მოგეხსენებათ იშვიათი ბუნების ადამიანები ყოველთვის სანთლით საძებარნი არიან.

ასე თუ ისე, აქ ბრალი ჩვენს საზოგადოებასაც ედება. ჩვენი გულქვა საზოგადოება ქანცგამოლეული და სრულიად გამოუყენებელია ყოველისფერ იმისთანა საქმეში, რასაც საზოგადო, საქვეყნო ხასიათი აქვს. ამდენი ძვირფასი დრო მიდის და ამდენ ხანს ნივთიერად ღარიბ, გაჭირვებულ მწერალთათვის მჭლედ გამოსაკვებად ლიტერატურული ფონდიც ვერ დააარსა მაშინ, როდესაც ვინ იცის, ფუფუნებაში გაზრდილი სურვილის დასაკმაყოფილებლად რამდენი რაზედ იხარჯება. ჩვენმა საზოგადოებამ ერთი ჩვენთვის ძვირფასი ნაწერის მდიდრად გამოცემისათვის ჟინი მოიკლა, ისე რაღა, საქეიფოდ, და ამ გარემოებას გულჩვილი დედა-ბოძნი ტაშის კვრით მიეგებნენ. მე უამფაქტოდაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენზედ ბედოვლათი საზოგადოება მთელს დედა-მიწის ზურგზედ არც ერთ ერს არ მოეპოვება. იგი, ხელზე

მოსამსახურესავით, უსირცხვილოდ და გაუწითლებლად სხვას შესცქერის თავისი მოლაქიო სურვილებისა და ქვეყნისათვის მავნე ანგარიშების წასამართავად.

ტვინის ყურთა სმენა და თვალთხილულობა კუჭის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების იქით არ მიდის. აქ სიცოცხლის გაყინვებული, მომსპობელი ,,მე» ბატონობს და, ხომ მოგეხსენებათ, ასეთს საფეხურზედ შემდგარი საზოგადოება მხოლოდ ხორციელი ცხოვრებით სულდგმულობს და არა ადამიანურითა. და ჩვენ მუდამ ამ უბედურების მორევში ვიტრიალებთ, სანამ თვით ჩვენი საზოგადოების ცხოვრება თავის გულსაკლავი მიმართულების გზას შესწყვეტს და საკუთარ ბედ-იღბალსა და ავკარგიანობაზე ხმას არ ამოიღებს. ამ სანატრელს დღემდის ჩვენი წარმატება საერთოდ და ინტელიგენციისა ცალკე, შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

ან კი როგორ უნდა ვუკიჟინოთ იმ საზოგადოებას, რომელსაც ვიწროთ აქვს შემოსაზღვრული ცხოვრების სარბიელი... აქ, რაღაც უბედურად, ენა არ მნებდება, თორემ, იმედი მაქვს, ისტორიიდგან არა მცირე მაგალითის მოყვანით დავამტკიცებდი, რომ გადამეტებული ნაწილი კაცობრიობისა ვერც კი ბედავდა ჭეშმარიტებასა და სიმართლეზე ფიქრს. შორს რათ მივდივართ: დღესაც თუნდა ევროპის დაწინაურებული ინტელიგენციის ხელში მზათ შემუშავებულია ჭეშმარიტებასა და სათნოებაზედ მოჭრილი საზოგადო აზრი და შეხედულება, მაგრამ ხალხი და საზოგადოება იმას კი ვერ დაახლოვებია და მისი მადლი ვერ გამოუყენებია. იძულებული ვარ კიდევ მოგმართოთ: იქნება თქვენ მიხვდეთ ამის ნამდვილ მიზეზს...

განკარგულების და წარმატების მიზეზი და დასაბამი, ჩემის აზრით, მხოლოდ საზოგადო ცხოვრებაში უნდა მოიძებნოს და არა სხვაგან. თუ ცხოვრება ისე გათახსირებულა და გულსაკლავ, ურწყულ უდაბნოს დამსგავსებია, რომ თავის შვილს გონებითი და ზნეობითი განვითარების გზას უსპობს, სულის თვისებათა მართალსა და ჭეშმარიტ გამომეტყველებას უხშობს, თვითეულს ფეხის გადადგმაზე ტვინს უშრობს და გულის ფიცარს უტეხს, - მითხარით, თქვენი ჭირიმე, - საიდგან უნდა შემუშავდნენ გონებით და ზნეობით განსპეტაკებულნი და მტკიცედ განვითარებულნი კაცნი? იქნება ცაში ვარსკვლავების გუნდია, არე-მარეზედ თავისთავად იბადებოდნენ და ჩნდებოდნენ ასეთი კაცნი, თუმცა მე ცოდვილს არც ესა მწამს. მაგრამ ჩვენს დედამიწის ნიადაგზედ ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ასეთი აზრი სიზმარია და მაცდურებაა...

იქნება გვითხრან, ცოცხალი ადამიანისა და ინტელიგენციის აზრი, რაც უნდა სასტიკ პირობებში ჩააგდოთ, მაინც არ დაკარგავს თავის ბუნების ძალთა გამომეტყველებას, ხასიათს და მიმართულებას, რადგან იმისი ზნეობისა და ხასიათის არსებობა, რაც უნდა იყოს, უეჭველად სხვა და სხვანაირ ფეროვნებით თავს იჩენს და თავისი ღირსებისა და ვალდებულების სამსახურს არ შესწყვეტსო, მაგრამ ეს, ჩემის ფიქრით, ტყუილი აზრია, იმიტომ რომ ამ მოძღვრების მიღება ლოგიკურად მიგვაწყვეტს ველურ ადამიანთა ცხოვრებას, მიუვალ კედლით შეზღუდულ ნიადაგსა და სიცოცხლის მომსპობელ უდაბურობას. რამდენათაც ცხოვრება მოკლებულია სურათის მრავალგვარობასა და

შინაარსიანობას, იმდენად მცირე მასალას იძლევა შთაბეჭდილებათა და გონების განვითარებისათვის, იმდენათ ღარიბი და უძლურია იმ ადამიანის და კრებულის ზნეობითი არსებაც. ამ გარემოებაში მყოფი ინტელიგენცია იმავე უშინაარსო ნიადაგის წარმომადგენელი იქნება, აქ ინტელიგენციის აზრის ტრიალი შეუძლებელიც არის, იმიტომ, რომ ზოგიერთი იმისი თვისებანი დაბადებისთანავე სჭკნება, ზოგი ცრუ, მავნე მიმართულების გზას ადგება, ზოგი სრულიად ისპობა და კვდება.

ამნაირათ განცალკევებული და ცხოვრებისაგან ყურეში მიგდებული აზრი ადამიანისა, ანუ საზოგადოებისა უძლურდება, ხალისს კარგავს, ხავსი ეკიდება და სიკვდილის მოახლოების დროს მწუხარების მორევში შედის. ამისთანა გარემოებაში ისინიც კი, ვინც მესვეურათ და დარაჯათ უდგანან საზოგადოებისა და ხალხის განვითარებას, წარმატებას, დარჩებიან და სამოქმედოთ გაწვდილს ხელებში უძლურებას გრძნობენ. აი, სად უნდა ვეძებოთ უმთავრესი და თითქმის უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს ცხოვრებას საზოგადოთ და თვითეულს ინტელიგენტს ცალკე სიცოცხლე მოჰკლებია, გული გასცივებია და ყოველიფერს უგუნებოდ ჰკიდებს ხელს, ან უკეთ ვსთქვათ, არაფერს არ ჰკიდებს ხელს, თუ გარემოება თვითონ შემთხვევით რასმეს ხელში არ მიაჩეჩებს.

1888 ú.

<u>ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვა</u>
(,,ივერია» №№ 213, 225 და 226)

გაზ. ,,ივერიაში» იბეჭდება ბ-ნ გ. მაიაშვილის მეტად საყურადღებო წერილი - ჩვენი ,,ძველი და ახალი თაობის» შესახებ. ავტორი იკვლევს მიზეზებს ჩვენი თაობის დაცემისას და ხატავს იმ საშინელ სურათს ამ უკანასკნელი ათის წლის დაქვეითებისას, რომელიც დაბადა და თავზედ წამოიგდო ცხოვრების მწარე განსაცთელმა და იმისმა უკუღმართმა ტრიალმა. ჩვენ ამ საგულისხმო საგანზე ცალკე განსაკუთრებული წერილი გვექნება შემდეგისათვის და ეხლა კი აღვნიშნოთ კეთილშობილი და მოაზრე მოღვაწის წერილის ის ნათელი აზრი, რომელიც გამოიხატება შემდეგში:

,,ისტორიის ზემოქმედება ერთიანი კრებულია თითოეული კაცის ცალკე ღონისა და უღონობისა და სხვა არა-რა. ამ მხრით თითოეულ კაცს დიდი და პატიოსანი საქმე აქვს წილხდომილი ისტორიაში: კაცს შეუძლიან ისტორიას დაეხმაროს, ხარიხები მოაშოროს და სიარული გაუადვილოს, შეუძლიან გაასწოროს გამრუდებული სვლა ისტორიისა, იქით მიჰმართოს გზა მისი, საითაც უკეთესია და სასურველია. ბოლოს და ბოლოს საზოგადო ანგარიშს არა აკლდება-რა, ამაოდ არა იკარგება-რა: არც ისა, თუ ვინმე მხნედ და მღვიძარებით ჩაერია ამ წუთი-სოფლის საქმეებში, არც ისა, თუ ვინმე სულითა და ხორცით მოშვებულმა თავი მოარიდა მამულიშვილობის მოვალეობას. ერთიცა და მეორეც, მოქმედებაცა და არ-

მოქმედებაც, ღონეცა და უღონობაც აუცილებლად დაეტყობა საზოგადო მდინარეობას ცხოვრებისას და ამ სახით თითოეულს კაცს ცალკე დააჩნდება ზოგადი ხასიათი ისტორიის ზედმოქმედებისა იმისდა მიხედვით, რა უფრო ჭარბად არის საზოგადოებაში, მოქმედება, თუ უქმობა, ღონე, თუ უღონობა».

და აი სწორედ, როდესაც ასეთი ბრწყინვალე აზრი იღვიძებს ჩვენში და იგი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს, ამ დროს ,,ივერიის» მეფელეტონე, ბ. სანო, რას ჩასძახის თავის მკითხველს საზოგადოებას, იმ საზოგადოებას, რომელსაც, თვით მეფელეტონის აზრით, ,,საღათას ძილში უპოვნია სიტკბოება, საზოგადო გულის პასუხები ამოურეცხია».

,,ჩვენ ,,ივერიელნი» მუხლს ვიდრეკთ წინაშე ჟამთა-ვითარებისა და ვერსაით ვერ გავქცევივართ, ვერ დავსხლეტივართ გარემოებათა მძლავრს კლანჭებსო». იმის მაგიერ, რომ ერთადერთი ქართული გაზეთი, შეძლებისადაგვარად, გულწრფელად და სინდისიერად ემსახუროს თავის ვალდებულებას და უკეთესი და სასურველი გზა და კვალი გაუკაფოს ჩვენს დაქვეითებულს ცხოვრებას, პირდაპირ გამოდიან და იძახიან: ,,ჟამთა ვითარების რისხვამ დაგვაშინა და სურვილითაც კი ვერ ვისურვებთ მისგან გაქცევასა და გარემოებათა მძლავრი კლანჭებისაგან დასხლეტასო». კარგია, თქვენმა მზემ, ასეთს სირინოზის ხმაზედ სიმღერა. კარგია ნამეტურ იმიტომ, რომ ამას არც ღმერთი გიწყენთ და არც კაცი.

თუ მთელი ჩვენი საზოგადოების ტვინი და ცხოვრება გაყინულია და ,,ამ საზოგადო მდგომარეობისა და ჟამთა ვითარების წინაშე მხოლოდ მუხლმოდრეკილნი დგეხართ» და ისე შესცქერით ცას, მაშ ადვილად წარმოსადგენია, განვითარების რა ხარისხზედაც უნდა იდგეს თქვენი საკუთარი გონებითი და ზნეობითი ძალ-ღონე. მაშასადამე, თქვენ, როგორც პირმშო შვილი ჩვენი გაყინული ცხოვრებისა...

თქვენ მიერ უთავბოლოდ წამოსროლილი სიტყვებით თავის თავად გაკეთდა ასეთი სათუო სილოგიზმი და იმის აზრის დასკვნას ვერსად წაუხვალთ ვერას გზით.

ახლა, ამის შემდეგ, ბ. სანოს კიდევ უკვირს, რომ ,,თეატრმა» მას სიტყვა ,,იცოხნება» მიაკრა პირზედ. ნუთუ სალიტერატურო ზნე-ჩვეულებასა და ღირსებას აკლებს რასმეს ის, რომ რაიმე ნივთსა და შემეცნებას თავის შესაფერი სახელწოდება მიასაკუთრო. აფსუსი კია, რომ ბ. სანო სალიტერატურო ღირსებაზედ ჩვენ გვიკითხავდეს მოძღვრებას, მაგრამ რა გაეწყობა: სანომ იცის, რომ ,,ქართველი საზოგადოების ტვინი საღათას ძილშია ჩაფლული», ხერხიანად სარგებლობს ამ გარემოებით და, რაც მოადგება ენაზედ, რასაკვირველია, მოურიდებლად ისვრის.

შემდეგ ბ-ნი სანო განაგრძობს:

,,ქართველმა მწერლობამ... უნდა ხან საფლავებისკენა პირი ჰქნას და არხეოლოგიურს გამოძიებით დაანახოს უტყუარი საბუთი ჩვენის დიდებისა(?), რადგან ხშირად ბევრი საფლავი უფრო ძლიერ აღძრავს საზოგადოებრივ თავმოყვარეობას... ხან უნდა ჩასჭიდოს ხელი ისტორიას და გამოჰკითხოს ის მიზეზები, რომელთაც ასე დაუნდობლივ დაამხეს ძირს აყვავებული და სპეტაკი (?) დიდება(?) ჩვენის ქვეყნისა, რადგან ხშირად მიზეზების გაგება უშველებელი ნაბიჯია, წარმატებისაკენ

გადადგმული. ხან უნდა მიჰმართოს იმ მასალას, რითაც სულდგმულობს ჩვენი ხალხი... ჩვენ შეძლებისდაგვარად ვემსახურებით საგანს სწორედ ამ მხრივ».

ტრაბახსა და თავისი თავის ქებას, მოგეხსენებათ, კიტრის ფასი აქვს, მაგრამ ასეთი რიხითა და თავმოწონებით ჯერ სანოს მეტს არ დაუჩემებია ჩვენში მოქმედება. თუ თავისი თავისა არა სჯერა, თავის ამფსონებს და ძმაბიჭებს მაინც ჰკითხოს ბ-ნმა სანომ, რომელი საისტორიო და საარქეოლოგიო, ანუ ხალხის ყოფაცხოვრებასა და გონების ვითარებაზე დასწერა რამე. გარდა ამისა, თქვენ თვითონ ბრძანებთ (უკაცრავად, იცოხნებას აღარ ვხმარობთ), რომ ,,დროსა და ჟამს ჩვენ ურჩობას ვერ გავუწევთ... ჩვენ ყოველთვის ვუყურებთ, ჩვენს თავს, როგორც მარტივს დღიურ მუშას» და სხვ... მაშასადამე, თქვენვე აღიარებთ, რომ მხოლოდ მარტივი დღიური მუშა, ესე იგი, ერთი საბრალო მაჩანჩალა რეპორტიორი ბრძანდებით და აბა, თქვენ რაკი არ იცით, სხვას ჰკითხეთ და გეტყვისთ, რომ რეპორტიორი ვერასოდეს ვერ მისწვდება ისტორიკოსის, მეცნიერის ჭკუა-გონებისა და ანალიზის თვისების ძალას. თუ ღმერთი გწამთ, ერთს ქერქში დადექით, მარტის დღესავით ფერს ნუ იცვლით. ვინ გატანსთ ძალას? თუ ,,უბრალო მარტივი დღიური მუშა» ბრძანდებით, ისტორიას და არქეოლოგიას ტყუილად ნუ ებღაუჭებით. თქვენ ამ მეცნიერების ინჩიც არ იცით.

ჩვენ რომ ამას წინათ საზოგადო საყვედური გამოვსთქვით ,,ივერიის» შესახებ, რომ იგი უფერულია და სიცოცხლეს მოკლებული-თქო, ბ-ნმა სანომ საბუთი მოგვთხოვა, ,,ვექილობის მოწმობა» და, მაშასადამე, ეჭვი შემოიტანა ჩვენი სიტყვების სიმართლეზე, მაგრამ თქვენ გაგიკვირდებათ, რომ ამ სანოს მიერ შეყვარებულს ,,ვექილობის მოწმობას», ორიოდე წინადადების შემდეგ, თვით ბ-ნი სანო გვაძლევს ხელში: ,,უფერულია ჩვენი შრომა, მაგრამ რასა იქთ, როდესაც თვით ცხოვრება, ერთიან გახუნებულაო»... ჩვენც ამას ვამბობდით, რომ უფერულია და, მაშასადამე, უსიცოცხლო თქვენი შრომა, თქვენი სასაცილო ფრაზების რიხინი და გვიკვირს, ჩვენ რაღას გვიკიჟინებდით. კაცს სრულიად დაწყვეტილი უნდა ჰქონდეს ლოგიკური მსჯელობის სიმები, რომ თვითეული ნაბიჯის გადადგმაზედ პითიასავით ასე ეწინააღმდეგებოდეს თავის თავს და საკუთარს პირადობას იმათრახებდეს.

ჩვენი საზოგადოება ,,საღათას ძილშია ჩავარდნილი» და თქვენც, ბ. სანო, ,,წარმატების უშველებელი ნაბიჯის» გადასადგმელად და ეროვნული გრძნობების გასაღვიძებლად ზღაპრები და ლეგენდები უმღერეთ მას, რადგანაც, თქვენის აზრით, ,,ლეგენდებისა, ანდაზებისა და ზღაპრების შეკრება და ბეჭდვა უპირველესი საქმეა ჩვენის მწერლობისა»... ნეტავი თქვენ, რომ თქვენი ნიჭის შესაფერ ხელობისათვის მიგიგნიათ. ზღაპრების და ლეგენდების მნიშვნელობას ჩვენც ვაფასებთ ჩვენი ვინაობის გამოსაკვლევად, მაგრამ თქვენს ხელში ეს საქმეც სრულიად გაჭუჭყიანდა.

ახლა ერთს წუთს ყური დაუგდოთ, თუ როგორ ესმის ბ. სანოს ევროპის საპოლიტიკო საქმეები. ,,დღეს ბედი მთელის ევროპისა და ნახევარ

აზიისა იმაზე ჰკიდია, თუ როგორ გათავდა ეს გასაშტერებელი ამხედრება დიდთა და პატარა სახელმწიფოთაო!..»

,,ივერიის» ,,მარტივს დღიურს მუშას» გადაუწყვეტია ბედი მთელი ევროპისა და ნახევარ აზიისა. იმის სიტყვით, დიდთა და პატარა სახელმწიფოთა ერთმანეთზედ ამხედრებით ევროპის ბედი და, მაშასადამე, მთელი დაწინაურებული კაცობრიობის განათლება, ანუ ცივილიზაცია, შეიძლება, ძირიანად აღმოიფხვრას დედამიწის ზურგიდგან. ამგვარი უაზრობა ჯერ, ვგონებ, არც ერთს ჭკუათმყოფელს არ წარმოუთქვამს დედამიწაზედ. სრულიად უვიცი ევროპელთა საშინაო ყოფა-ცხოვრებაში, იგი შემდეგ ასე განაგრძობს:

,,ევროპიელ მკითხველს ესმის თავზარდამცემი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ცა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკისა, და ამიტომ გულის ძგერით ადევნებს თვალს ყოველსავე ღრუბელს, რომელსაც კი პოლიტიკური ქარიშხალი გადაატარებს ამ ცაზე. და კაი, ყველასთვის სანდომი გაზეთიც ის არის, რომელსაც უფრო მეტი შეძლება და უნარი აქვს, რომ არ გამოეპაროს არც ერთი საყურადღებო ამბავი სახელმწიფოთა ავკარგიანობისა და სახელმწიფოთა კაცთა გარჯა-მოღვაწეობისა».

ეს ყალყზედ შემდგარი გაკრიალებული ფრაზების პერიოდი რომ ყირამალა წამოვიღოთ და მდაბიო, გასაგები სიტყვებით განვმარტოთ, აი, რას დავინახავთ: თვითოეული სახელმწიფო გარდაქცეულა მხოლოდ სამხედრო ბანაკად; ჰაერში გაისმის მხოლოდ იარაღის ჟღერა; ყველა მოელოდება საშინელს სისხლის ჰღვრას: მთელი ევროპის საზოგადოება სამხედრო საქმეებით არის გატაცებული და კაი, ყველასთვის სანდომი გაზეთიც ის არის, რომელიც მხოლოდ ომზე ლაპარაკობს და სახელმწიფოების სამხედრო ძალებს ერთმანეთს უდარებს და უწონავს.

აი, სწორედ ამერიკის აღმოჩენა ამასა ჰქვიან! ქვეყანას დღემდე ასე ეგონა, რომ ევროპაში ყოველ სახელმწიფოს სამხედრო საქმეებზედ ბევრად უფრო რთული და ღრმა მნიშვნელობის საქმეები შინვე აქვს, და რომ ევროპის საზოგადოება შინაურ, კულტურულ, მოქალაქებრივ ბრძოლას უფრო მეტს ყურადღებას აქცევს, ვიდრე საგარეოს; გარდა ამისა, ევროპაში სახელმწიფოთა შორისაც ბრძოლა მარტო ფარითა და ხმლით კი არ არის, არამედ უფრო მომეტებულად კაპიტალისტური წარმოებითა და მრეწ-ველობით, რომელსაც თავის საკუთარი კანონები და ძალ-ღონე აქვს აღიარებული დღევანდელ მსოფლიო ყოფა-ცხოვრებაში.

აი, ცხოვრების ამ უკანასკნელ საქმეს, მეტად მძიმესა და მნიშვნელობით სავსე კითხვებს აძლევს უპირატესობას და იმის რთულ შინაარსიანობას დაბრძენებული გონებით ჩაჰკვირვებია დღეს ევროპაში მკვირცხლი ტვინისა და ჭკუა-გონებით განვითარებული კაცობრიობა.

უმეტესი ნაწილი ევროპიელთა ჟურნალ-გაზეთებისა სულ იმას როდი გაიძახის: «სისხლი, სისხლიო». იგი ემსახურება ერთ აღებულ საზოგადო პრინციპს, ამ პრინციპის თვალით უყურებს, ზომავს და იკვლევს ქვეყნის საშინაო სამოქალაქო კითხვებს, ეკამათება თავის მოპირდაპირეთა ბანაკის გაზეთებს და ესარჩლება ერთ-ერთ სასურველად დასახულ იდეალს. ბ. სანოს გაკრიალებული, ყალბი ფრაზების აზრი რომ ნამდვილი იყოს, მაშინ

ერთი სახელმწიფოს ყველა ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ მეორე, სხვა სახელმწიფოს ყველა გაზეთების მოკამათე უნდა იყოს, მაგრამ მისდა საუბედუროდ და კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ეს ასე არ არის: ევროპის ყოველ სახელმწიფოში დაწინაურებული საზოგადოება სხვადასხვა, თითქმის ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ ბანაკად არის დაყოფილი, თვითეულ ბანაკს თავისი საკუთარი დედააზრი ასულდგმულებს და, თავისი პრინციპი რომ დაიცვას, თავისი საკუთარი გაზეთი აქვს, რომლის საშუალებით ებრძვის სხვა პრინციპების, სხვა დასების გაზეთებს.

ევროპიელთა აზრის ამნაირ ვითარებაზედ თქვენ, რასაკვირველია, დაახლოვებული წარმოდგენაც არა გაქვთ.

სანოს აზრით, დღეს ევროპის ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ შეთოფ-იარაღებაზე, ბისმარკის ცხვირის დაცემინებაზედ, ბულანჟეს ,,კალმის ხელის მოკიდებაზედ» ლაპარაკობენ და სხვაზედ არასფერზე.

,,გაზეთების ფურცლები აჭრელებულია საპოლიტიკო ანდაზებით, ანეგდოტებით, მოთხრობებითა და დამჯდარ მოსაზრებით. მკითხველი თან ერთობა ამისთანა ნაწერებით, თან ჭკუასა სწავლობს და საქვეყნო საქმეებზედ ფიქრობს».

ახლა ხომ მაინც ხედავთ, სადამდის მივიდა ბ. სანოს გაკრიალებული ფრაზების გრუხუნი. შეთოფ-იარაღების საპოლიტიკო ანდაზები, ანეგდოტები, მოთხრობები ევროპიელი ჟურნალ-გაზეთების მკითხველს ჭკუას ასწავლის და საქვეყნო საქმეებზედ აფიქრებსო.

... მიკვირს, ჩვენი განთქმული მამულისშვილი და სასიქადულო მოღვაწე ბატ. ილ. ჭავჭავაძე თავის ნათელს ყურადღებას რატომ არ აქცევს, რომ თავის გაზეთის ფურცლებზედ ასეთს უაზრობას აძლევს ადგილს...

1889 ú.

<u>თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა</u>
(წიგნი მეორე)

1

ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში ერთი ფრიად ნიჭიერი და სიმპათიური მწერალი-მწიგნობარი შეეძინა ჩვენს ახალ ლიტერატურას, რომლის მოედანი კაი ხანია უიმედოდ იყო დაცარიელებული. მარა ამ მწერალს არ დაცალდა და ულმობელმა სიკვდილმა შარშანწინ უცბათ ხელიდან გამოგვტაცა სწორედ იმ დროს, როცა ეს მშვენიერი ყვავილი თავის სანეტაროდ გაშლის წუთებში იყო... მე მოგახსენებთ პუბლიცისტის - არჩილ ჯორჯაძის შესახებ, რომელმაც ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა ათი-თორმეტი წელიწადია მას შემდეგ და საპატიო ყურადღებაც მიიქცია თავისი ნაწერებით, რომლებიც ცალკე წიგნებათაც დაისტამბა ამას წინათ.

სამწუხაროდ პირველი წიგნი განსვენებული პუბლიცისტისა, რომელიც ეროვნულ პრობლემას უტრიალებს გარშემო, ხელთ არა მაქვს ამჟამად და ვერაფერსაც ვიტყვი იმის შესახებ. რაც შეეხება მეორე წიგნს, იგი ფრიად

საინტერესო საგანზეა დაწერილი, რომელშიაც ავტორს ჩვეულებრივად ჩაუქსოვია თავისი სათაყვანებელი სამშობლოს ღრმად და ძლიერად მოსიყვარულე გული, სინდისიერი დაკვირვებით გაუზომ-აუწონია ის, რასაც ხელს კიდებს და გულის დამშვიდებით, როგორც შეფერის ძველი ალბანეთის შვილს, დინჯად და ნათლად მოუთხრობს მკითხველს დიდად საინტერესო მომენტებს ქართული ახალი ლიტერატურისა და პუბლიცისტიკისას.

არჩილ ჯორჯაძის მეორე წიგნის საგანია ქართველთა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია და ამისათვის იგი შეხებია ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი მომენტების გათვალისწინებას და, შეძლებისდაგვარათ, მის დაფასებასაც. დიდი, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ავტორის ეს ნაშრომი იმიტომაც, რომ ქართველ მკითხველს ცოცხალი ქართული ენით გონების თვალის წინ ფართედ უშლის სამშობლო ქვეყნის უანგარო მოღვაწეთა სურათებს და ამით უღვიძებს და უცხოველებს მის გულში ლიტერატურის დიდ უანგარო სიყვარულს. ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი საიმედო სტუდენტობა და მთლად ასაკში და ცნობაში მოსული მოზარდი მოსწავლე ახალგაზრდობა, დარწმუნებული ვარ, დაიტაცებდა ასეთ წიგნს და დიდ ესთეტიურ სიამოვნებასაც განიცდიდა მისი წაკითხვით. და მეც ვალდებული ვარ მეტი სიმპატიით მოვეპყრო ასეთ ნაშრომს.

ამ მეორე წიგნში ავტორს პირველ ფურცლებზედვე მოუქცევია თავისი საინტერესო სტატია: «მეოთხმოციანნი» და «მეოთხმოცდაათიანნი», სადაც იგი საუბრობს «ტეტიათა მოტრფიალეთა» ჯგუფზე და იმ სოციალ-პოლიტიკურ პირობებზე, როცა მარქსიზმმა იჩინა თავი ჩვენს ცხოვრებაში. მხოლოდ ჩემში გაკვირვებას იწვევს ის, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის ფილოსოფოსი არა ხმარობს ქართულ ლიტერატურაში პირველად ჩემ შემოტანილ ზედ გამოჭრილ სახელწოდებას, რომელიც, უკვე კაი ხანია, მიღებულია ლიტერატურაში და ჟურნალ «იმედის» ჯგუფს ,,ნაროდნიკულს» უწოდებს. გაზ. ,,კოლხიდაში» ამას წინათ ისტამბებოდა ბ. ნიკო თავდგირიძის სტატია: ,,ჩვენი ახალთაობის უკუღმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები», სადაც იმასაც ნათქვამი აქვს, რომ ,,ტეტიათა მოტრფიალე» უფრო მახვილად ხატავს ჩვენებურად რუსულ ,,ნაროდნიკობას», ვიდრე უცხო სიტყვა. «ნაროდნიჩესტვო » იყო მთელი მოძღვრება, საფუძველი, რომელზედაც უნდოდათ აეშენებიათ სხვადასხვა მოწინავე დასთა ჯგუფების სისტემები, რომელნიც რუსეთის ისტორიაში სრულიად განსხვავებულს, არა ევროპულ, გზას ხედავდენ. ამ გზას გრძელი ისტორია აქვს: იწყება მეთვრამეტე საუკუნეში და დიდი უპირატესობა ეძლევა სლავიანოფილებისა და გერცენის ნაწერებშიაც. რუსეთის ,,ზაპაზდნიკებიც» იგივე «ნაროდნიკები» იყვენ, მხოლოთ ევროპის ხმელეთის პოლიტიკური წესწყობილების მოტრფიალენი, შემხარებელნი. ამ საფუძველზე აშენდა რუსეთში ლიტერატურა, პუბლიცისტიკა, ლირიკა, ბელეტრისტიკა, ფილოსოფია და, ასე გაშინჯეთ, სოციოლოგიაც... წმინდა რუსული სოციოლოგია, რომელიც, აქვე ვიტყვი ბარემ, ერთს უშველებელ სასაცილო რასმე წარმოადგენდა... აბა, ახლა ამას უნდა ამოუყენოთ ჩვენ გვერდში ჩვენებური‘«ტეტიათა მოტრფიალენი!» განსვენებული არჩილიც სწორეთ ასე მოიქცა...

დღეს მაინც ისეთ ხანაში ვართ, რომ ჩვენი თავის გაცნობა, ჩვენი კულტურული ვინაობის გარკვევა ფრიად და ფრიად საჭიროა, რომ ჩავუკვირდეთ ჩვენს ღრმა, დიდ შეცდომებს, ჩვენს ქარაფშუტულ ცხოვრებას, რომელშიაც დავლიეთ დღენი ჩვენნი, ჩვენს დაცემას და დაბეჩავებას. მარა ჩვენი ლიტერატურის და ინტელიგენციის მიმართულებათა კლასიფიკაციის პრინციპს გზა-კვალი აურევია არჩილისთვის.

არჩილს უკვირს, რომ მკვლევარნი და პუბლიცისტნი ჩვენებურ დასთა გაჩენას იწყებენ გასული საუკუნის სამოციან წლებიდან. მაშ, ნეტავი, საიდან უნდა დაიწყონ? დასთა გაჩენა ჩვენშიაც გამოიწვია ცხოვრების ძირითადმა რეფორმამ - ყმების გათავისუფლებამ. ამან აამღელვარა მთელი ჩვენი ცხოვრება, ააღორძინა ქართული ლიტერატურაც, აღძრა ათასი საჭირბოროტო საკითხები და საქმეები და აი, ნიადაგი, სადაც და რომლის გარშემოც უნდა გაჩენილიყო სხვადასხვა დასებიც. საქართველოში დაიწყო სრულიათ ახალი ცხოვრება და ეს ახალი ცხოვრება მოითხოვდა ახალ წარმომადგენლებს შრომისასაც და ახალი აღებმიცემობისათვისაც. და ამ ორი ისტორიული ფაქტორის ვითარების თანახმად უნდა გარკვეულიყო საზოგადო სახელმძღვანელო აზრები, დასთა საზოგადო მოღვაწეობა მწერლობასა და ცხოვრებაშიაც.

«კვალის» ჯგუფს განსვენებულმა გიორგი წერეთელმა «მესამე დასი» უწოდა და ამან მაინც ძალიან არივ-დარია საქმე.

პირველად გიორგი წერეთლის სტატია რომ დაისტამბა, მეც გავკვირდი. იგი იმ ხანებში თბილისიდან ქუთაისს ეწვია და მე ვინახულე გიორგი სასტუმრო «ჩტდტჰბყზ ყჯვტჰფ»-ში, სადაც იყო ბინად ჩამომხტარი. მე განვუცხადე ჩემი გაკვირვება და ვუთხარი მას, რომ ჩვენი, ე. ი. «კვალის» ჯგუფი, თუ მაინც და მაინცა, მეოთხე დასად უნდა მოიხსენიოს კაცმა, რადგან პირველი დასი ილია ჭავჭავაძის - «საქართველოს მოამბის» ჯგუფია, მეორე დასი - ნიკო ნიკოლაძის - «კრებულ-დროების» ჯგუფი, მესამე - 80-იან წლების ‘«ტეტიათა მოტრფიალენი» და მეოთხე დასია «კვალის» ჯგუფი-მეთქი.

_ არაო, მითხრა გიორგიმ. მე ლიტერატურის ისტორიასთან საქმე არა მაქვსო. მე სახეში მყავს დღეინდელი დასებიო: ჩვენი დროის «ივერია» წმინდა თავად-აზნაურობის (!) დასიაო, არის კიდევ ახლა იაკობ გოგებაშვილის (თუმცა იმ დროს იმათი ორგანო მან ვერ დაასახელა) გლეხების მაღმერთებელი, შენი «ტეტიათა მოტრფიალენი» - მეორე დასიაო და მესამე დასი ჩვენ ვართ _ «კვალელებიო». მე გავჩუმდი, სიტყვა აღარ მითქვამს იმისთვის. ამ ლაპარაკის დროს ჩვენთან იყო «კვალის» თანამშრომელი ბ. ყარიბი, რომელიც იმედია, დამიმოწმებს ამ სიტყვებს, თუ ახსოვს.

ამის შემდეგ არ გასულა ბევრი ხანი, როდესაც გიორგი წერეთელმა «კვალში» დასტამბა ხელმოუწერელი სტატია, მგონია, 1895 წ., საცა ამტკიცებს, რომ ილია ჭავჭავაძე, «საქართველოს მოამბის» ხანაში იყო გუმანიზმის მქადაგებელიო და «დროება-კრებულის» ახალი სოციალ-ეკონომიური მიმართულება იყო პროგრესიული, განსხვავებული ფრაქციაო. აი, ეს სტატია გადაუთარგმნია თავიდან ბოლომდე

განსვენებულ ალექსანდრე ხახანაშვილს, თავის ფრიად საყურადღებო ნაშრომში1 და წყაროს ჩვენება დავიწყებია, რაც ყოველთვის შესაძლებელია ამგვარი მუშაობის დროს. აი, სწორედ ამას აუბნევია არჩილიც და ამბობს: «ასე რომ, ბ. ხახანაშვილის ანგარიშით, პირველ და მეორე დასს მესამოცე (უნდა იყოს - სამოციანი) წლების მოღვაწენი შეადგენენ, ხოლო მესამე დასს კი «კვალის» ჯგუფიო». ამ ჩემი შენიშვნის შემდეგ იმედია, გასაგები იქნება მკითხველისათვის, თუ საიდან მომდინარეობს ალექსანდრე ხახანაშვილის წიგნის ძველი თაობის ორ დასად გაყოფა და რომელი დრო ქონდა სახეში გიორგი წერეთელს, «კვალის» ჯგუფს» «მესამე დასი» რომ უწოდა (საბუთიანია ეს სახელწოდება, თუ უსაბუთო, ეს სხვა საქმეა).

თუმცა გიორგი წერეთლის სტატიის ადრე «კვალის» დაარსებისთანავე, 1893 წლის აპრილში, ჩემ კრიტიკულ სტატიებში: «ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა», რომელსაც გაკვრით არჩილიც ასახელებს, ვწერდი შემდეგს: «ქართველი ლიბერალების (სამოციანი წლების მოღვაწეებს ვუწოდე ლიბერალები) საზოგადო აზრების განხილვის დროს არ არის მისაღები მარტო ნიკო ნიკოლაძის შეხედულება საზოგადო-ეკონომიური ვითარების შესახებ. ქართველი ლიბერალების აზრის წინააღმდეგია, თუ არა ვცდები, იმისი აზრი ამ საგანზე. ის ნამდვილ მოქალაქეთა, მრეწველების დაცვას უფრო ემსახურებოდა და ეს არის, ჩემი აზრით, უმთავრესი მუხლი, რომელზედაც დაისახა ნიკო ნიკოლაძის წინააღმდეგ კამათი ჩვენებურ და რუსეთის ლიბერალთა შორის, როგორც მაგალითათ, ნ. შელგუნოვისა. ჩვენ იმდენად ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ნიკო ნიკოლაძის აზრი ამ საგანზე, რომ განზრხვა გვაქვს განსაკუთრებული წერილიც ვუძღვნათ მის მოღვაწეობას და იმ აზრსაც მაშინ გავარკვევთ.

ნიკო ნიკოლაძემ ჟურნალ «მოამბეში» 1894, თუ 1895 წელს, ახლა კარგად არ მახსოვს, დასტამბა თავისი დიდად საყურადღებო სტატია, სადაც ეხებოდა ჩვენში მრეწველთა კლასის გაჩენის და აღორძინების დიდ საჭიროებას, და მეც ამ სტატიამ აღმიძრა სურვილი გამომეთქვა ჩემი შეხედულება ნიკო ნიკოლაძეზე «კვალის» ფურცლებზე.

არჩილ ჯორჯაძესაც აქვს მეორე წიგნში ცალკე სტატია ნიკო ნიკოლაძეზე, რომელზედაც ამ ჩემი სტატიის დასასრულს გამოვთქვამ კიდევ ჩემს შენიშვნებს. აქ კი დავუბრუნდები მის პირველ სტატიას.

ამგვარად, თუ დავადგებით ისტორიულ გზას, იგი მიუცილებლად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მესამე დასს უნდა ვუწოდოთ მეოთხე დასი და ამ საქმეში არევ-დარევას უნდა ბოლოც მოეღოს აწი მაინც.

2

განსვენებულ არჩილ ჯორჯაძეს ამ მეორე წიგნის პირველ სტატიაში გაკვრით აქვს ჩემზე ნათქვამი შემდეგი: «გ. წერეთლის გვერდით, თანდათან, ჩნდებიან სხვა მწერლებიც, რომელთაც შეაქვთ მწერლობაში ახალი მოტივები სოციალური ცხოვრების განსამარტავად. ამ მხრივ საყურადღებოა რამდენიმედ ბ. ხომლელის წერილები, რომლებიც სალიტერატურო ისტორიის კრიტიკოსად გამოდის ‘კვალის» ფურცლებზე... ბ. ხომლელს, სხვათა შორის, არაფრად მიაჩნია ის

საზოგადოებრივი მოძრაობა, ‘ნაროდნიკობა», რომელზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წინა წერილებში»... მერე ჩემი სტატიიდან მოაქვს ციტატა და ასე ამბობს: «ასე რომ ბ. ხომლელი ოთხმოცდაათ წლამდი ჩვენს ცხოვ-რებაში არავითარ ახალ მოძრაობას არა ხედავს». ოთხმოცდაათ წლამდეო, რომ წერს, ალბათ, კორეკტურული შეცდომა თუ არის, თვარა, როგორ მოხდა, რომ ბ. არჩილ ჯორჯაძემ ჩემი სტატიები წაიკითხა და დაავიწყდა ის, რასაც ვამბობდი ქართველ ლიბერალებზე: «ამ რიგათ, დავასკვნი მე ჩემ სტატიაში ლიბერალებზე, დიდი ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ბატონ-ყმობის მოსპობის დროს ქართულმა ლიტერატურამ ჩვენს ქვეყანას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეკონომიური ვითარების შესახებ იმ ლოღიკურ წინააღმდეგობას, დაუკვირვებლობას, რომელიც უნებურად მოუვიდათ მაშინდელს მოღვაწეებს, ჩვენ დავინახავთ შემდეგ სანუგეშო სურათს. ძველი ცხოვრების შერყევისთანავე, ქართველმა ერმა შესძლო და წამოაყენა, თავის საჭიროებისდაგვარად, შესაფერი საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც აყვენ ახალს, ფეხ-ადგმულს ცხოვრებას, მასში ღრმად ჩაიხედეს და თანდათან, ნელ-ნელა შექნეს შინაარსიანი ლიტერატურა, დიდად საყურაღებო თავისებური ხასიათი დააჩინეს ლირიკულს პოეზიას, შეამუშავეს სამეცნიერო, მოწიფული ლიტერატურის შესაფერი საუბარი, მოფინეს ქვეყანას ნათელი და პატიოსანი აზრები და, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, თუმცა სუსტად, მარა მაინც დასახეს პროგრამა სამოქალაქო დედააზრებისა და მოღვაწეობისა»...

ამ სიტყვების შემდეგ, ახალ მოძრაობას მე თუ არა ვხედავ ჩვენს ცხოვრებაში, აბა, სხვა ვინ უნდა ხედავდეს, აღარ მესმის. ლიბერალების ღვაწლი დიდი ღვაწლია ქართველთათვის და ამის მსგავსი ჯერ არაფერი მომხდარა ჩვენს ცხოვრებაში. თუ რამე კია ჩვენში გაკეთებული, იმათი მეოხებით არის გაკეთებული. ჩვენ მხოლოდ ვაგრძელებთYდა ვაწარმოებთ იმათ დაწყებულ და გაკეთებულ საქმეებს და ახალი რამ მათსავით არაფერი გაგვიკეთებია ჯერ-ჯერობით.

«არავითარი ახალი თაობა არ იცის ჩვენმა ცხოვრებამ ჯერ»-მეთქი, რომ ვამბობ იმ წერილში, ეს ძველი თაობის, ე. ი. ლიბერალების ღვაწლის უარის ყოფა კი არ არის, არამედ ‘ტეტიათა მოტრფიალეთა», - რომელთაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში «ახალ-თაობას» ეძახდენ. ისეთ ყმაწვილკაცებს, რომელნიც უარს ყოფდენ გაევროპელებას, ხელოვნებას, მეცნიერებას, მრეწველობას, ახალ მანქანებს და იარაღებს, დიდ-დიდ საერო სიმდიდრეს და მაღალ კულტურას, სამაგიეროდ მივყავდით, იცით სად? სოფლად, ტეტიებთან, რომ იქ იმათგან გვესწავლა ჭკუა და გვემწყესა ღორები და ცხვრები...

ასეთ ყმაწვილებს მე თაობას ვერ ვუწოდებდი, რადგან თაობა სულ სხვანაირად მესმის და განმარტებულიც მაქვს იმ წერილში ეს სიტყვაც სწორედ ისე, როგორც უნდა გვესმოდეს და წარა-მარათ, უგანაჩენოდ არა ვხმარობდეთ მას.

«ტეტიათა მოტრფიალენი» იყვნენ წმინდა წყლის რეაქციონერნი, შედარებით 60-იან წლების ლიბერალებთან და ნიკო ნიკოლაძის ჯგუფთანაც ხომ, რასაკვირველია, ისინი სულ უკან, წყვდიადისკენ ეწეოდენ ჩვენ ცხოვრებას სოფელში მიპატიჟებით, რადგან არა სწამდათ

ეკონომიურად გაწალდული ევროპული გზა, ევროპულ პოლიტიკურ წეს-წყობილებაზე სჯა-ბაასს გულღიად დასცინოდენ, «ჩვენ რა გვედარვინ-ბოკლებაო», ე. ი. რად გვინდა მეცნიერებაო, როცა კუჭი შიმშილით გვეწვისო და სხვა, რაც მე უკვე დავამტკიცე ჩემს სტატიაში, და ეს აზრი პირველად მე გავარკვიე ქართულს ლიტერატურაში, რაზედაც უნდა შეეჩერებია მკითხველის ყურათღება ბ. არჩილ ჯორჯაძეს. მარა, რაღაც მიზეზისა გამო, ეს მას არ უნებებია და ტეტიათა მოტრფიალეთა ,,ნაშრომებში» ეძიებს ახალ გზას, რომელსაც დაკავშირებია მე-20 საუკუნის დასაწყისს გამოსული ახალი დასი. იქნება მას სახეში ის დასი ყავს, რომელსაც თვითონ ეკუთვნის? მე ეს არა მჯერა. მარა თუ ეს ასეა, მაშ, შორს წასულა ეს დასიც სოციალური კითხვების გადაწყვეტაში და გზა დაგვილოცნია იმისთვისაც...

ადვილად შესაძლებელია, ბ. არჩილ ჯორჯაძე, როგორც კეთილი, სათნო და პატიოსანი გულის პატრონი, «ტეტიათა მოტრფიალეთა» აშკარა დემოკრატობამ მოხიბლა და, სწორედ ამიტომაც, იგი უკავშირებს იმათ თავის დასს?1 მარა გავკადნიერდები და აქვე მოვახსენებ მის მეგობრებს, რომ იმ ჯგუფის დემოკრატობა მე არა მწამს, რომელი ჯგუფიც, გინდა პოლიტიკური პარტია, დროთა ბრუნვას არ მიყვება, უარყოფს ევროპულ აზრთა განვითარებას, კაცობრიობის წინსვლელობის პროცესს არ უწევს ანგარიშს დიდი ღვიძარებით და ენერგიით, ქვეყნის შინაური ცხოვრების ტრიალს არ უთანხმებს პროგრესიული ვითარების გარდაქმნას. იმისი დემოკრატობა, ჭეშმარიტად, ფრიად საშიშარია და დიდ უბედურებასაც უქადის ქვეყანას ამისთანა დემოკრატობა...

უარს ყოფდა ევროპის ეკონომიურს ვითარებას და თავიანთი წარმტაცი პროზისა, თუ ლექსთა საშუალებით სოფლელთა ცხოვრებას გვიხატავდა და იქაურ მესაკუთრეთა სადა ყოფას შეხ

განსვენებული არჩილ ჯორჯაძე წერს: «ბ. ხომლელის აზრით, «ახალი თაობა მხოლოდ მის დროში გაჩენილაო» და ჩემი სტატიიდან მოაქვს ციტატა, საიდანაც სრულებითაც არა ჩანს ის, რომ ვითომც «ახალი თაობა ჩემს დროში» გაჩენილიყოს. მოტანილი ციტატიდან მხოლოდ ის მტკიცდება, რომ ჩემს სტატიაში, დასახელებული მიზეზების წყალობით, ეკონომიური ყოფა ჩვენი ერისა სრულიად შეიცვალა, წინ წავიდა და საქართველოში, ვისაც კი აჩნდა სიცოცხლის, სიფხიზლის და ნიჭის ნასახი, ყველა «გაევროპელების» გზას დაადგა-მეთქი. მარა, დამეთანხმებით, რომ ეს კიდევ არ ნიშნავს ახალთაობის გაჩენას ლიტერატურაში, რომელიც არის საგანი იმ ჩემი წერილებისა.

მე ჩემს წერილებში, მგონი, გარკვევითაც მაქვს ნათქვამი, თუ რას ვეძახი თაობას. ძველი თაობა, ე. ი. ჩვენი ქვეყნის ლიბერალობა წარმოადგენდა ევროპის დიდად განათლებულ და დაბრძენებულ-ლიბერალთა საპოლიტიკო პროგრამის სახეს. მარა უარს ყოფდა ევროპის ეკონომიურს ვითარებას და თავიანთი წარმტაცი პროზისა, თუ ლექსთა საშუალებით სოფლელთა ცხოვრებას გვიხატავდა და იქაურ მესაკუთრეთა სადა ყოფას შეხაროდა...

ერათადერთმა ნიკო ნიკოლაძემ შეიგნო ჩვენი ქვეყნის დიდი საამდროვო მოთხოვნილება, აყვა დროთა ბრუნვას, ჩვენშიაც და რუსეთშიაც დაიწყო მეტად გაბედული ქადაგება, რომ ქვეყანა, მიუცილებლად, ეკონომიურადაც უნდა გაევროპელდესო და ამისთვის იდევნებოდა იგი ჩვენშიაც და რუსეთშიაც ასე დაუზოგველად და უმოწყალოდაც... თითქმის ყველა დასებისგან...

შემდეგი დასი «ტეტიათა მოტრფიალენი» იყვნენ, მარა ესენი, როგორც მოგახსენეთ, უარს ყოფდენ ქვეყნის გაევროპელებას პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც. შემდეგ კი დასები, იცოცხლეთ, ქამა სოკოსავით გაჩდენ და მოედვენ ჩვენს გასაწყლებულ ქვეყანას, მარა ამით ქართული ნორჩი ლიტერატურა გაამდიდრეს კი არა, სულერთიანად წალეკეს. ისე, როგორც სოფლად გლეხებმა ცეცხლს მისცეს წვითა და დაგვით აშენებული სკოლები ერთ დროს...

მერე ეს ხომ, ასეწოდებული, «ერთობის» დრო გახლავთ და მე კი, გულდამწვარი, დღესაც ახალთაობას მესიასავით მოველი, რომელიც ლიტერატურაში მხურვალედ მოითხოვს სრულს და ჭეშმარიტს ევროპულ მოქალაქეობრივს და თანასწორობის იდეის განხორციელებას, და ამას იგი გულწრფელად დაუწყებს სამსახურს ქვეყნის და ერის სახსნელად და სადღეგრძელოდ.

3

ამ მეორე წიგნში აქვს არჩილ ჯორჯაძეს მოთავსებული ნიჭიერად დაწერილი სტატია «პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე», რომელიც, როგორც თვით ავტორიც ამბობს, «არ გვაძლევს სრულ სურათს ილ. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობისას», მარა მაინც რამდენიმედ შუქს ფენს მის საზოგადოებრივ, პუბლიცისტურ მოღვაწეობას და ახასიათებს მას თითქმის სინამდვილითაც.

სამოციანი წლების ლიბერალთა უნიჭიერესმა ბელადმა _ ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს «დროების» № 27-ში დასტამბა თვისი ფრიად საყურადღებო სტატია: «სად არის ქართველი და ქართველობა?», რომლის ბადალი ევროპულ საქმეთა შესახებ დაწერილი ძვირად შეგვხვედრია ჩვენს ლეტერატურაში. არჩილს ამ სტატიიდან მოაქვს ციტატები და სამართლიანად წერს: «აქ ავტორი თითქმის იმდენადვე ძლიერია, როგორიცაა ის თვის ხელოვნურს ნაწარმოებში. და ვკითხულობთ რა ამ გულწრფელ, გულის სიღრმიდან გადმონაჩქეფ სიტყვებს, ჩვენდა უნებლიეთ გვაგონდება «გლახის ნაამბობში» დაწერილი სამი სტრიქონი, რომელიც ჩვენს მოვალეობას სამშობლოსადმი გვაცნობებენ: «სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნის არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა, მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არ ჩანანო»...

ევროვნული პროგრამა, ილიას მიერ შემუშავებული ქართულს ლიტერატურაში, უცვლელად მიღებული აქვს არჩილ ჯორჯაძეს. ხოლო, რაც შეეხება ეკონომიურ პროგრამას ილია ჭავჭავაძისას, იგი ამაში არ ეთანხმება ილიას და ამბობს: «უმთავრესი საგანი ჩვენი უთანხმოებისა ეკონომიური ნიადაგია. ჩვენი ავტორი წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან გონია, რომ ამ წყობილების

დაურღვევლად შესაძლებელია საერთო ეკონომიური კეთილდღეობა. ჩვენ კი გვგონია, რომ საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალი საზოგადოების დაფუძნებას, იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა შრომაზე იქნება დამყარებული და ამისთვის, რაც უფრო მალე დაირღვევა ჩვენებური წოდებრივ ურთიერთობაზე აშენებული საზოგადოებრივი აგებულება, იმდენად მეტს მოიგებს ჩვენი ხალხი და ჩვენს ეროვნებასაც უფრო მკვიდრი, შეურყეველი ნიადაგი ექნება საფუძვლად»...

ერთხელ, მახსოვს, სასწავლებელში მიღებული ვიყავი, თუ არა, კარგად ვერ მომიგონებია ახლა, რომ სინამდვილით მოგახსენოთ, მამაჩემმა ხონის სანახავად წამიყვანა. მშვენიერი ივნისის დღე იყო და ხონის ბაზარში მისეირნობდენ ერთად მამაჩემი და ხონის საკრებულო ტაძრის მოძღვარი ვასილ ქუთათელაძე. მე იმათ უკან მივყვებოდი. ამ დროს ელვის სისწრაფით ჩამოიქროლა ვიღაც უცხო ელვარე ადამიანმა, რომელსაც მოძღვრებმა გზა უთავაზეს და ვასილმა სალამიც მიუძღვნა მას.

_ სპირიდონ! _ მიუბრუნდა მამაჩემს ვასილ ქუთათელაძე. _ აი, ჩვენი ნიკო ნიკოლაძე არ არის, რომ ამბობენ. _ მე გული დამწყდა, რომ უცნობს ვერ შევხედე კარგად, მარა ვასილ ქუთათელაძის სიტყვებს დიდხანს გაქონდა ბჟუილი ჩემს ყურებში და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ვინ იყო ეს‘«ნიკო ნიკოლაძე», კაცი, რომლის მსგავსი მე არ მენახა ჩემს დღეში ქუთაისშიაც...

ეს ის დრო იყო, როცა ნიკო ნიკოლაძე «კრებულ-დროებას» მეთაურობდა და მკითხველ საზოგადოებაშიაც დიდი სახელი ქონდა გავარდნილი.

ახლა იმ დროის მეთაურ მწერალ ნიკო ნიკოლაძეზეც ამავე მეორე ტომში არჩილ ჯორჯაძეს მოუთავსებია თვისი დაუსრულებელი წერილი.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ერთი უდიდესი მნიშვნელობის საგანია ქართველი მწერლისთვის, რომელსაც აინტერესებს ახალგაზრდა საქართველოს აღორძინების ისტორია და თავგადასავალი.

ამ მწერლის დასაფასებლად საჭიროა მიმართოთ, არათუ იმ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც უწერია ნიკო ნიკოლაძეს თვისი სტატიები. უნდა გადაათვალიეროთ აგრეთვე ფრანგული ჟურნალ-გაზეთები, გერცენის «კოლოკოლი», სადაც სტატიებს წერდა ჩვენი თანამემამულე. ამავე დროს იგი რედაქტორობდა და სტამბავდა საზღვარგარეთ საკუთარ ორგანოსაც რუსულ ენაზე «სოვრემენოსტი». იგი მუშაობდა «ოტეჩესტვო ზაპისკი»-ში, ნ. მიხაილოვსკის დროს, და სხვა სატახტო ქალაქის ორგანოებში. საქართველოში იმისი სტატიები იბეჭდებოდა ‘«კავკაზკი ვესტნიკ»-ში; იმისი საკუთარი «ობზორ» და”«ნოვოე ობოზრენიე» ხომ ყველა ინტელიგენტმა იცის. ერთი სიტყვით, აუარებელი მასალაა გადასათვალიერებელი, რომ ამ კაცის ღვაწლი სავსებით და ნათლად გაითვალისწინოს მკითხველმა. ამას არჩილიც გრძნობს და სამართლიანად ამბობს, რომ «ყველა ამ მასალის შეგროვება მეტად მოუხერხებელია და იქნება შეუძლებელიცო ამ ჟამათ». აბა, ახლანდელი «ბუმბერაზები» ამოდენა სალიტერატურო შრომას როგორ გაართმევენ თავს, ისიც ერთი კაცის დასაფასებლათ!..

ჩვენ ამაშიაც არ ვეთანხმებით ნეტარხსენებულს ნიჭიერ პუბლიცისტს. რუსეთში ახლა ისეთი დროა, რომ შეიძლეს გამოცემა ნ. ჩერნიშევსკის, გერცენის და სხვების ნაწერებისაც და ნიკო ნიკოლაძის ნაწერების შეგროვება და გამოცემაც არ უნდა შეადგენდეს «მოუხერხებელსა და შეუძლებელ» საქმეს. ჩვენ პირადად, ნამდვილი წყაროებიდან ვიცით, რომ თვით ნიკო იაკობის ძე მოუცლელობის გამო, ამ საქმეს ვერ მოკიდებს ხელს და ისე კი სხვა, გარეშე პირს, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, ვერ მოუხერხებია ეს დიდი და სანაქებო საქმე. და რატომ, მერე?

იმიტომ, რომ ჩვენი ყოველდღიური პრესა საქმის გასაკეთებლად ქართველს არ იწვევს, არ ამხნევებს. იგი მზა-მზარეული ლოზუნგების ღეჭვას, ურთიერთშორის ამტყდარ პოლემიკას უნდება...

თქვენ, უეჭველია, გახსოვთ უკვდავი შჩედრინის სატირა, რომ ქალაქ გლუპოვის ოლქის სასამართლოში დაწესებული იყო ჩვეულება _ არაფერი საქმე არ განეხილათ, არამედ შეკრებილიყვნენ მხოლოდ და მარტო კანონების საკითხავათ. აი, სწორედ ასეა ჩვენშიაც. საქმე, საქმიანობა, კი არავის აინტერესებს, მხოლოდ გაზეთები გამოსცენ, შიგ ავ-ყიობა გამართონ, ერთმანეთი გამოლანძღონ და დაამცირონ. წუთიერი, უნიადაგო სურვილები გამოაცხადონ და ილაზღანდარონ. აი, ეს მიაჩნიათ ჩვენებურ «გაზეთჩიკებს», ჟურნალისტის დიდ საქმედ... ასეა, თუ ისე, ჩვენ, მადლობა ღმერთს, ილია და აკაკი ჯერ არ დაგვიწყებია. მარა, რაც შეეხება ნიკო ნიკოლაძეს, ახლანდელი «პარტიების» მეოხებით, ვინ გინდათ, ვის ინატრებთ, რომ არა ლანძღავდეს მას, თვარა პირუთვნელ, მიუდგომელ განსჯას ვიღა ჩივის...

ამიტომ, განსვენებული არჩილ ჯორჯაძის სტატია ნიკო ნიკოლაძეზე, რომელიც მხოლოდ ნაწყვეტია და მეტი არაფერი, მაინც სასიამოვნო მოვლინებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწერლობაში. ნიკო ნიკოლაძე, მიუცილებლად, ჩვენი განახლებული ლიტერატურის და გონების მოძრაობის ერთი უნიჭიერესი, თითქმის გენიოსი მესვეურთაგანია. ქართველებს გარდა, იმის მადლიანი კალმის ნაწარმოებს ყავს ურიცხვი მკითხველი სომეხთა, რუსთა და უცხოთა შორის, რომელნიც დიდი სიყვარულითა და აღტაცებით მოიგონებენ ხოლმე ამ კაცის სახელს და საქართველოსთვის თავდადებულს მოღვაწეობას. რაც უნდა მკაცრი კრიტიკით შეხედონ მის საპუბლიცისტო ლიტერატურის სარბიელზე გასაოცარ მოღვაწეობას, ნიკო ნიკოლაძე, ვითარცა დიადი მღელვარე სულის და ძლიერი, მდიდარი ენთუზიაზმით აღსავსე პუბლიცისტის სახელი მაინც უკვდავი დარჩება მადლიერი ქართველი ერის ხსოვნაში. ნიკო ნიკოლაძე ეკუთვნის დიად, რთულ-ბუნებოვან პირთა კატეგორიას და იგი, ვითარცა ასეთი, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულია დიადი, ძლიერი შემოქმედებითი, სამხატვრო, ცოცხალი ტალანტით, რომლის უტყუარი ნიშანი, სხვათა შორის, არის მისი ქართული საპუბლიცისტო მანერა წერისა, ბასრი, სამართებელსავით მჭრელი ტალანტი «კრებულ-დროება», «შრომასა» და «მოამბეში» ნამეტურ, ფრიად მიმზიდველი და წარმტაცია ამ პუბლიცისტის სხარტი, მოქნილი, დახვეწილი, ნიავსავით სუბუქი, მასთან მკვეთრი და მჭექარე, ცოცხალი სალიტერატურო ფორმების ხმარება, მახვილი და წარმტაცი ენა, და, ამიტომაც, ნიკო ნიკო-

ლაძე ქართულს პუბლიცისტიკაში სწორედ ისე, როგორც აკაკი ქართულს ლირიკაში, ერთი დიადი, გენიოსური გამომხატველთაგანია და შემქნელი ქართული ახალი საპუბლიცისტიკო ენისა. მაშასადამე, არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ პირუთვნელმა სალიტერატურო კრიტიკამ ნიკო ნიკოლაძე ჩასთვალოს ქართლოსიანთა ერის ახალი ლიტერატურის ერთ უდიადეს, უშესანიშნავეს მნათობად...

«ვეფხისტყაოსანი»

1

ერთხელ, მე და განსვენებული ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი) სტუმრად ვეწვიეთ ილია ჭავჭავაძეს. ზამთრის საღამო იყო და ილია, როცა მარტო დაგვხვდებოდა თავის კაბინეტში ძალიან კარგ გუნებაზე შეიქნებოდა და ქართულ ლიტერატურაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს.

ქართული პოეზიის დაუშრეტელ, ჭაბუკურ სიცოცხლეს და მზიურობას სულერთიანად ჩაყლაპული ვყავარ. თუ დღევანდელი კულტუროსანი ადამიანი აღტაცებაში მოჰყავს ჰომეროსს, სო-ფოკლეს, დანტე ალიგიერს, ფირდოუსს, შექსპირს, სერვანტესს, გოეტეს, რატომ არ უნდა განცვიფრდეს კაცი შოთა რუსთველითა და მისი თანამედროვე მწერლებით, მე-18 საუკუნის ქართველი დიდი მწერლების მოღვაწეობით და, აგრეთვე, ალექსანდრე ჭავ-ჭავაძით, ნიკოლოზ ბარათაშვილით, გრიგოლ ორბელიანით და გიორგი ერისთავით? რატომ არის, რომ ჩვენი კრიტიკოსები მხოლოდ ახლანდელ მწერლებზე წერენ კრიტიკას და ისეთ გენიოს მგოსანს, როგორც შოთა რუსთაველია, ჯერ ქართველი კრიტიკოსი არ გამოჩენიაო! შოთა რუსთველის «ვეფხისტყაოსანს» გაოცებაში მოყავს ინგლისელები, ფრანგები, უნგრელები, რუსები, იტალიელები, გერმანელები, პოლონელები და ჩვენ კი ჩვენ, ქართველნი...

ნიკომ ორაზროვნად გადმომხედა და თვით ილიას არაფერი უპასუხა, მე ვერ მოვითმინე და მოვახსენე პოეტს: დიდი თამარის ეპოქის ბრწყინვალე მწერლობა, არა მარტო თქვენისთანა მოღ-ვაწეებს, რომელნიც ქართველ ხალხზე ფიქრს ჩაუყლაპავს და მოსვენებას არ აძლევს, არამედ ჩვენც, ახალგაზრდებსაც ძალიან გვაფიქრებს, მაგრამ ყოვლად უძლურნი ვართ. ვინ არ იცის ქართველი მწერლების საშინელი სიღარიბე და სისაწყლე. ისინი ლუკმა პურზე ფიქრსა და ზრუნვას უნდებიან და სად აქვთ იმდენი დრო და მოცლა, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის ღრმა შესწავლას შეუდგნენ, გაიგონ მისი სული, ფილოსოფია და იგი კრიტიკულადაც შეაფასონ. ასეთი ლიტერატურული შრომა სპეციალისტი-პროფესორის შრომას მოითხოვს. ქართველებს კი არც უნივერსიტეტი გაგვაჩნია და არც ისეთი სპეციალისტი-პროფესორი გვყავს-მეთქი. ბევრი ვიბაასეთ იმ საღამოს ამ საგანზე.

ამ საგანზე გაცხოველებული სჯა-ბაასი, დიდი ლაპარაკი შეიქნა. ნამეტურ გასულ საუკუნის 80-იანი წლებიდან. იმ ხანებში, ძარღვიანათ ამუშავდა ქართველი კაცის გრძნობა-გონება და საზოგადო მოძრაობამაც ფრთა გაშალა. შოთაზე ალაპარაკდა ყველა დიდ და მდიდარ ოჯახში, სწავლულების კაბინეტებსა და

საზო-გადოებაში, თეატრებსა და სასტუმროებში, სტუდენტობასა და ასაკში მოსულ ყმაწვილკაცობაშიაც, ქალი და კაცი...

რუსი პუბლიცისტები, მაშინდელ რუსულ გაზეთ «კავკაზ»-ში ვრცელ წერილებს წერდენ შოთასა და იმის‘«ვეფხისტყაოსან»-ზე. აკაკი თბილისსა და ქუთაისში თავისი მომხიბვლელი ენითა და ხმით ლექციებს კითხულობდა «ვეფხისტყაოსნის» გმირობაზე და თეატრებში ამ ლექციების მოსასმენად ხალხს ტევა არ ქონდა. აკაკი ამტკიცებდა, რო «ვეფხისტყაოსნის» გმირი ტარიელი, მტკვრის ნაპირების, ქართლ-კახეთის შვილიაო. ავთანდილი _ რიონის ნაპირების და ფრიდონი _ პონტოს ნაპირებისო.

ილიამ გაზეთ «ივერიაში» გააკრიტიკა აკაკის ლექცია. ფსიქო-ლოგიური კრიტიკა ყველაზე უპირველესად უნდა არკვევდეს და აჩვენებდეს ადამიანის ხასიათის ძირითად საფუძვლების გამოხატვას, ე.ი. გამოხატოს ისეთი ხასიათი, რომელიც ყოველთვის არსებობს სხვადასხვა ჰავაში, სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა მიწა-წყალზე. დიადი გენიოსური სალიტერატურო, მსოფლიო ნაწარმოებნი იმით არიან მუდამ ცოცხალი და უკვდავნი, რომ ისინი გამოხატავენ საერთო, საკაცობრიო ტიპებსო. და შოთაც ისე, როგორც ჰომეროსი, სოფოკლე, ფირდოუსი, შექსპირი და გოეთე თავიანთ ნაწარმოებში ხატავენ მხოლოდ და მარტო საკაცობრივო ტიპებს, რომელნიც საერთონი არიან ყველგან და ყოველთვისო...

ამაზე აკაკიმ ილიას ძალიან მახვილგონიერად უპასუხა: კი, მართალია, ეს გენიოსი მწერლები იძლევიან «გაკვეთილს, რომელიც გასაგებია ყველგან და ყველასთვის», მაგრამ, ძირითადი ტიპების გარდა, თუ მწერალმა ინდივიდუალური ხასიათის გამოხატულება, ყველა თავისი წვრილმანებით განსხვავებული, განსაკუთრებული ელემენტებითაც არ მოგვცა, მაშინ, ცოცხალი პიროვნების მაგიერად, ხელში შეგვრჩება უსულ-გულო ჩონჩხი, აბსტრაქტული ტიპიო.

და, აი, როცა ყოველთვიური ჟურნალიც გაჩნდა ჩვენში, «მოამბის» ფურცლებზე (1895 წლიდან, ¹ XI) დაიწყო კრიტიკა «ვეფხისტყაოსნისა», რომელიც ეკუთვნოდა ალექსანდრე სარა-ჯიშვილის ნიჭიერ კალამს. ყველას სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა ტანში და გაფაციცებითაც კითხულობდენ ამ კრიტიკას. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო. ამ დიად საქმეს ხელი მოკიდა უკვე დაბძენებულმა, მსოფლიო ლიტერატურის მცოდნე, გემოგახსნილმა ქართველმა კაცმა, რომელსაც ნივთიერი გაჭირვება და სისაწყლე ხელს არ უშლიდა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

კრიტიკოსი იგონებს 1883 წელს იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარ კომისიას, რომელიც «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის აღსად-გენად და შესასწორებლათ იყო მოწვეული. საქართველოს თითქმის ყველა ცნობილმა მწერალმა და ქართული ენის ზედ-მიწევნით მცოდნემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ კომისიის შრომაში, რომელიც ღირსეულადაც დაგვირგვინდა ამ ნაწარმოების მდიდ-რული გამოცემით, გიორგი ქართველიშვილის საფარით. ამ კომისიამ «ვეფხისტყაოსნის» თვრამეტი ხანა გამოაცხადა ყალბად.

«ვეფხისტყაოსნის» ქართველი კრიტიკოსი წერს: პოეტის სახსოვრისათვის უარესი შეგინება _ მისი სიტყვის შეცვლა და აზრის დამახინჯებაა. ამიტომ, ქართველი საზოგადოება თავისი უდიდესი პოეტის თაყვანისცემას უკეთ ვერ გამოაცხადებდა, ვინემ მისგან აგებული წმიდა ტაძრის გასუფთავებით». და კრიტიკოსი შეუდგა «ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილების გამორჩევას და დიადი ნაწარმოების‘«გასუფთავებას», თავის ძალღონითა და შეძლებით, რადგან, ავტორის

აზრით, ზოგიერთი ყალბი ადგილი «ვეფხის-ტყაოსნის» მდიდარ ახალ გამოცემასაც შერჩა.

«ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილების გამორჩევა შეუძლებელი არ არის. ამისთვის უნდა თვით პოემა გქონდეს შეთვისებული, მისი აზრი და არსება შეგნებული. მისი ენა და სტილი შესწავლილიო».

თავისი სტილითYაპოკრიფი უფრო ადვილადაც გაირჩევა რუსთველის ნაწერისაგან. «რუსთველის სტილი ბროლსავით მჭიდ-რო და ნათელია; მისი მოთხრობა ანკარა წყაროსავით მორბის, არსად არა დგება და არ გუბდება: მჭიდროება და სინათლე _ აი, რუსთველის სტილის კანონი.

დარწმუნებით ითქმის, რომ, სხვა განსხვავების გარდა, _ თუ‘«ვეფხისტყაოსანში» რომელიმე ხანა მეტად გაპტყელებული და გაზვიადებული, ძალდატანებული და ხერხიანი, დუნე და მკრთალი შეგხვდა, რუსთველის კალამს არ ეკუთვნის თვით მაშინაც, როცა რომელიმე ხანა თავისი აზრითა და პოეტური ღირსებით მაღლა დგას, ხოლო სტილი ხსენებულ კანონს არ ეთანხმება; შეუმცდარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგ ხანა აპოკრიფულია. ყალბისმქმნელი მოლექსე სტილის სიმარტივეს და ზომიერებას ერიდება იმიტომ, რომ ეგ სიტყვის სიღარიბე და პოეზიის სისუსტე ჰგონია».

აი, ამ მეთოდითა და ღონისძიებით შეუდგა ალექსანდრე სარაჯიშვილი «ვეფხისტყაოსნის» ტექსტიდან ზოგიერთი ჩამატე-ბული ყალბი ადგილების გამორჩევას და მოგვცა მისი დაწვრი-ლებითი განხილვაც.

მოგეხსენებათ, შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ პოემაში პოეტურად გამოხატა თავისი დიადი შემოქმედების სული. ამ სულით მგოსანმა ქართველობას უანდერძა დრო-ჟამისაგან წარუშლელი, უკვდავი განძი და იდეალი _ მიჯნურობა, მეგობრობა _ ძმად-ნაფიცობა და პოეზია. რა ტანჯვა და ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო ეს სააქაო ცხოვრება ქართველისათვის, რომელსაც თავზე გასაგ-ლეჯათ იმთავითვე ეხვია უთვალავი მტერი _ აზიის მოხეტიალე, დამშეული, აყრილი ნადირი ხალხები, რომ ქართველის გამწარებულ სულს დამამშვიდებელ მალამოდ არ მოვლენოდა რუსთველის იდეალი _ მიჯნურობა, მეგობრობა _ ძმადნაფიცობა და პოეზია. ეს ციური დიდი მნათობი _ შოთა რუსთველის‘«ხელისხელ საგოგმანებელი მარგალიტი» უქარვებდა ქართველს გულში დანთებულ ცეცხლს და იყო მისი მალხინებელი და ნუგეშისმცე-მელიც. ამიტომაც, სალაშქროდ გაკრული ქართველობა, მუდამ «ვეფხისტყაოსნიდან» გაზეპირებულ ლექსებს მღეროდა და, განშორებული უსაყვარლესი დედ-მამისა და თავისი მამულის მიდამოებისაგან მცირე აზიის, სპარსეთის, ინდოეთის, არაბეთის, პალესტინის უდაბურ ადგილებში ღვრიდა სისხლს.

პოეტი რომ წერს: «ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები», _ არ გამართლდა არც ერთი ისტორიული, ან ლიტერატურის მოწმობით და ჯერ არსად უპოვიათ არც სპარსული დედანი «ვეფხისტყაოსნისა», არც მისი ქართული თარგმანი პროზათ, თუმცა მაგის მძებნელი არ გვაკლდა...

2

ალექსანდრე სარაჯიშვილის ნაშრომი _‘«ვეფხისტყაოსნის» ყალბი ადგილები», ჟურნალ‘«მოამბეში» ისტამბებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ეს დიდი და ვრცელი ნაშრომი, ავტორს რომ არ გადაეჭარბებია, მართლაც ჩინებული რამ იქნებოდა. განსვენებულ კრიტიკოსს ზომიერების მნიშვნელობა ხელოვნებასა და

ლიტერატურაში აშკარად ესმოდა, მაგრამ საქმით მან ვერ დაიცვა ეს ზომიერება და გადაამლაშა.

კრიტიკოსი ძალიან მკაცრი და პირდაპირ ულმობელია იქ, საცა‘«ვეფხისტყაოსანი» მის შემუშავებულ იდეალს _ სტილზე ცოტათი მაინც დაშორდება და ფეხი აუსხლტება. სტილის მჭიდ-როება და სინათლე არ აქვს ხანას, ის ყალბიაო და ამ გზაზე დამდგარმა მოხსნა თავი... გუდას...

კრიტიკოსმა მკაცრად დაგმო და ყალბად გამოაცხადა ბევრი საგანი, ბევრი ხანა, ისეთიც კი, რომელიც‘«თავისი აზრითა და პოეტური ღირსებით მაღლა დგას, თუმცა სტილი მჭიდროების და სინათლის კანონს (რუსთველის სტილი) არ ეთანხმება».

კრიტიკოსი საერთო უტყუარ კანონად აცხადებს იმ განსხვა-ვებულ განკერძოებულ წესდებას და კოდექსს, რომელსაც მისდევდა ზოგიერთი შემომქმედი-მხატვარი და ის როდი აგონდება, რომ გენიოსი თვით ქმნის ახალ-ახალ სალიტერატურო ფორმებს, ახალ-ახალ სტილს, რომლისგანაც გამოყავთ შემდეგ ახალი სალი-ტერატურო წესი და რიგი. აქ იწყება დოქტრინერობა და მხოლოდ და მარტო ცალიერი ფორმის თაყვანისმცემელი გამოვდივართ და, ამიტომაც, ორტოდოქსალობის ჭაობში ვარდებით.

გარდა მაგისა, შოთა რუსთველი ხომ ორ დღეში ვერ დაწერდა ამოდენა პოემა-რომანს? უეჭველია, მგოსანი ერთი და ორი ათეული და მეტი წლის განმავლობაშიაც ქმნიდდა ამუშავებდა თავისი შემოქმედებითი ტალანტის ნამოქმედარს, აი, სწორედ ისე, როგორც გერმანული ლიტერატურის გოლიათი გოეტე, ოცი წლის განმავ-ლობაში ქმნიდა თავის შესანიშნავ ნაწარმოებს _ «ფაუსტს». მერე, რას ამბობენ ამის შესახებ ევროპის განთქმული კრიტიკოსები, რომელნიც მსოფლიო ლიტერატურაში ღრმად ჩახედულნი არიან. ისინი ერთხმად ამტკიცებენ დიდი გოეტეს _ «ფაუსტის» პირველი ნაწილის შეუდარებლობას შემოქმედებითაც და სტილითაც და მეორე ნაწილის სისუსტეს. ეს გარემოება წარმოდგა იმისაგან, რომ პირველი ნაწილი «ფაუსტის» პირდაპირი შემოქმედებითის ნიჭით არის დამუშავებული და მეორე ნაწილი კი _ ცნობიერებისა და ჭკუის შემწეობით არის დაწერილი. ამიტომაც, პირველი ნაწილი ამ საუცხოო სალიტერატურო ნაწარმოებისა შეუდარებელი გამოვიდა, ხოლო მეორე ნაწილი კი _ სუსტი. შემოქმედებითაც და სტილითაც პირველი ნაწილი მეორისაგან სხვავდება.

მაშასადამე, თვით ისეთ დიად მგოსნებზეც, როგორც გოეტე და შოთა რუსთველია, გავლენა და ზედმოქმედება მოუხდენია დრო და ჟამს. სიჭაბუკის ჟამს დაწერილი სულ სხვა შემოქმედებისა და სტილის გამოდის ნაწარმოები, უფრო დაბძენების დროს დაწერილი სხვა და მოხუცებულობაშიაც შესულს სულ სხვა სტილის ნაწერი გამოუდის. ან ასე შორს წასვლაც რა საჭიროა. შეგვიძლია მოვიტანოთ მაგალითები აქ მშობლიური ლიტერატურიდანაც.

ავიღოთ ილია ჭავჭავაძე და აკაკი. განა ილიას პოემა _ «კაკო ყაჩაღი» და პოემა‘«განდეგილი» ერთი და იმავე სტილითაა დაწერილი? ან აკაკის პირველი, ჭაბუკური ლექსები და ამავე მგოსნის პოემები _ «თორნიკე ერისთავი», ან‘«ნათელა» ერთი და იმავე სტილითაა დაწერილი? ავიღოთ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი. ამათი ნაწერი ჟურნ. «ცისკარში» სულ სხვა სტილითაა დაწერილი, ვიდრე ის ნაწერები, როცა მათ ისინი 50 წლისანი წერდენ. მაშასადამე, დრო-ჟამის

განმავლობაში ერთი და იმავე ავტორის შრომის პროცესში შემოქმედების ძალისა და სტილის შემჭიდროება და სინათლეც იცვლება...

ეს მე დაურღვეველ ჭეშმარიტებათ მიმაჩნია და უნდა დამეთან-ხმოთ, რომ მარტო ასეთი კრიტიკით მიდგომაც არა კმარა.

3

«ვეფხისტყაოსანი» რომ გენიოსის ნაწარმოებია, ამაში ეჭვი არ შეაქვს არც ერთ სკეპტიკს, რომელიც კი გამოჩენია კრიტიკოსათ ამ ნაწარმოებს ლიტერატურაში, მაგრამ განა ამით უნდა კმაყო-ფილდებოდეს სერიოზული სალიტერატურო ისტორიული კრიტიკა ჩვენ დროში? არა, ნამდვილი, ცოცხალი და ჭეშმარიტი ტალანტით დასაჩუქრებული მწერალი, მხატვარი ღრმად უნდა იქნეს შეს-წავლილი, აწონ-დაწონილი და შეფასებული. ისტორიულმა კრიტიკამ თავისი თვალი ღრმად და დიდად უნდა გაახილოს და ახსნას შემოქმედების სული, ხასიათი და მიმართულება, რა დროს გაჩნდა, გაიფურჩქნა, აყვავდა და გაიშალა ამ დიადი ქართველი მწერალის შემოქმედება, საიდან წარმოიშვა ასეთი ხასიათის შემოქმედება და რა გავლენა მოახდინა მან ქართველობაზე, რომელი ჰავისა და მიწა-წყლის, რა მემკვიდრეობისა და იდეების შვილია იგი და რა გრძნობებსა და შთაბეჭდილებას იწვევდა იგი თავის თანამედროვე და შემდეგ თაობათა შორის. უნდა გაირკვეს, მიუცილებლად, სიღრმე და ძლიერება ავტორის შემოქმედებისა, იდეალი მისი, და ბოლოს, როგორი დასკვნა, რა ჯამი უნდა გაუკეთოს შთამომავლობამ «სულ მნათი» შოთა რუსთველის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ვიმეორებ, ეს არის ჩემი კრიტიკის უმთავრესი საფუძვლები...

და მეც ამ სიბერის ჟამს, როცა ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას, სულითა და გულით მოწადინებული ვარ გამოვთქვა, სტამბის საშუალებით, ჩემი საკუთარი აზრი, რომელიც დიდი ხანია ჩემს არსებაში ღრმად მიტარებია და, რის გამოთქმასაც ვერა ვბედავდი, უფრო იმიტომ, რომ ვისმე უსუსურობასა და მეტიჩა-რობაში არ ჩამოერთმია.

მაგრამ, ვიდრე‘«ვეფხისტყაოსნის» შესახებ ჩემი საკუთარი აზრების გამოთქმას შევუდგებოდე, მსურს მკითხველს წარვუდგინო თავდაპირველად აზრი შოთა რუსთველზე მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისეთი ღრმა მცოდნისა, როგორიც ბრძანდება საქრთველოში დიდი მოღვაწე _ დიადი გერმანეთის უკვდავი შვილი _ უნიჭიერესი არტურ ლეისტი.

«საქართველოში, კათოლიკე მისიონერების გარდა, მოქმედობდენ სხვა ძალებიც ქვეყნის კულტურულად დაწინაურებისათვის. ეს ძალები თითონ ქართველები იყვნენ, რომელნიც დამოუკიდებლათ ცდილობდენ სამშობლოს გაევროპელებას. საქმე ისაა, რომ საქარ-თველოს ტრადიციაც უწყობდა ხელს დამოუკიდებელი ლიტერა-ტურული მუშაობა ეწარმოებინა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შოთა რუსთაველმა ისეთი დიდი შემოქმედებითი სული ჩაბერა საუკუნეთა მთელ წყებას, რომ ქართველი ერის მოწინავე ელემენტებს სამუდამოდ გზა გაუკაფა ახალ და ახალ ჰორიზონ-ტებისაკენ. «ვეფხისტყაოსანი» მორალური და სულიერი იდეალებით გაცილებით მაღლა დგას მისი დროის აღმოსავლეთის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებზედ. მისი ღირსება მხოლოდ ის კი არ არის, რომ ასახავს თანამედროვეობას მთელი სიღრმე-სიგანით, არამედ ისიც, რომ შეუნელებლად მოუწოდებს განსრულების მაღალი მიზნისკენ. ამ მხრით, რუსთველის უკვდავ

პოემას ბევრი მსგავსება აქვს მისი თანამედროვე გერმანელ პოეტის ვოლფრამ ფონ ეშენბახის _ «პარსიფალთან». მხოლოდ აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთველი შეუდარებლად უფრო თავისუფალ შემოქმედად გვევლინება, ვინემ ეშენბახი, რომელიც თავს ვერ აღწევს რელიგიურ დოგმატებსა და საეკლესიო სწავლა-მოძღვრებათა ხლართს.

ეჭვს გარეშეა, რუსთველი ღრმად რელიგიური იყო, მაგრამ იგი არასოდეს არ იმოსება რომელიმე სარწმუნოების ტანსაცმელში. ის ხშირად ახსენებს ღმერთს, მაგრამ არასოდეს განსაზღვრულ სარწმუნოებას. შოთა იყო დეისტი და ამით მან საუკუნეებს გაუსწრო...

შოთა რუსთველის წინ ცხოვრობდა სპარსელი პოეტი ომარ ხაიამ, რომელმაც უარყო დოგმატიური სარწმუნოება, მაგრამ სა-ეჭვოა, რომ ამ პოეტის ნაწარმოებნი რუსთველს ცოდნოდა, რად-განაც იმ დროს საქართველოსა და სპარსეთს შორის ძალიან იშვიათი იყო გონებრივი, იდეური ურთიერთობა.

შოთა რუსთველის გავლენა საქართველოში არასოდეს არ შეწყვეტილა. თუ საღვდელოებამ აკრძალა მისი პოემა და მავნედ აღიარა, არა იმიტომ, რომ ის უზნეო ყოფილიყო, არამედ იმიტომ, რომ პოემის თავისუფალი აზრები შეუწყნარებელი იყო ეკლე-სიისთვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთველზე აღზრდილ ქართველობას არასოდეს არ დაავიწყდებოდა‘«ვეფხისტყაოსნის» იდეალები და მონღოლთა ბატონობის განმავლობაში მაღალ კულტურისაკენ მისწრაფებას ვერ ჩაკლავდა მის გულში ეს უსაშინელესი დრო საქართველოს ისტორიისა. მართალია, განათლება საერთოდ დაეცა, მაგრამ პიროვნებანი მაინც ბრწყინავდენ და იცავდენ ერის ღირ-სებას...».

იმ დროს, როცა შოთა რუსთველი ცხოვრობდა, ევროპის ხმელეთზე და საქართველოშიაც გამეფებული იყო ფეოდალიზმი და ქრისტიანობა, რომელიც ქადაგებდა ამ წუთისსოფლიდან გაშორებას და სულის ცხონებას საიქიოში. იმ დროს ევროპა, მართლაც წარმოადგენდა ნაკლებად დასახლებულს, ნაკლებად დამუშავებულს და ნაკლებად კულტურისანი ხალხით მოფენილ ქვეყანას.

აზიის აღმოსავლეთი, შედარებით, ბევრად უფრო დაწი-ნაურებული იყო. ქართული, სპარსული, არაბული, სირიული და ბიზანტიური კულტურა, გაცილებით უფრო ძლიერი, ყვაოდა და მდიდარიც იყო. საქართველოს დიდად დიდი გამანათლებელი და გამათბობელი კულტურული და ლიტერატურული ენერგია თვით უძველეს ქართლოსიანთა ერის კულტურის საშოდან წარმოიშვა ეგრეთწოდებულ აღორძინების, რენესანსის დროს. ეს იყო ნამეტურ დიადი თამარის დროს. ამიტომაც, ქართლოსიანთა ერის კულ-ტურისა და ლიტერატურის კარების გაღება ერთ უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი კრიტიკულად მოაზრე ადამიანისათვის.

მოგეხსენებათ, არაბების შემოსევამ საქართველოში მთელი რევოლუცია მოახდინა. საქართველოს ამ ხანებში, და უფრო ადრეც, ქონდა აბრეშუმის ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ბიზანტიასთან, ინდოეთთან და სხვ. აბრეშუმის ჭიის თესლი ინდოეთიდან შემო-იტანა ჩვენი დედაქალაქის დამაარსებელმა მეფემ _ ვახტანგ გორგასლანმა, როცა ურიცხვი ჯარისკაცით გაილაშქრა ინდო-ეთისკენ**1**. ამ ხანებში აყვავდა საქართველოში სწავლა-განათლება. ქვეყანა მოიფინა დაბალი, საშუალო და მაღალი სასწავლებლებით. აქ ასწავლიდენ: ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, მათემატიკას, ასტრონომიას, ენათმეცნიერებას. დიდი ისტორიკოსი _ შლოსერი

თავის შესანიშნავს _‘«მსოფლიო ისტორიის» მეხუთე ტომში წერს, რომ მთელ აღმოსავლეთის ქვეყნებში, ყველაზე განთქმული ობსერვატორია თბილისში იყოო.

იმ ხანებში, საქართველო სჭრიდა თავის სამეფოს ვერცხლის ფულს. 1840 წელს, პეტერბურგში, ამ საგანზე დასტამბა რუსულად დიდი წიგნი განთქმულმა ქართველმა ისტორიკოსმა _ ბარათაშ-ვილმა. 1870 წელს ეს წიგნი ფრანგულათაც დასტამბა პარიზში. საფრანგეთის მასწავლებელმა _ ლანგლომ (იხ. «ქართული ფულების ნუმიზიტიკური ფაქტები») დიდად შეაქო და განცვიფრებითაც მოიხსენია ქართველთა წარსული, როგორც დიადი და მდიდარი კულტურული ერისა. და, მართლაც, ტყუილად ხომ არ უწოდებენ ბიზანტიის ისტორიკოსები და მწერლები საქართველოს მეფეს _ ბაგრატ IV კეისართა-კეისარს, ე. ი., იმპერატორს, და ბაგრატ IV რომ დიდი ხელმწიფე არ ყოფილიყო, დიდი ბიზანტიის იმპერატორი რომანოზი (შვილი კონსტანტინე ბაგრიანოროდნისა) მას თავის ღვიძლ დას _ ელენეს ცოლათ არ მიათხოვებდა.

4

საიდან გაჩდა და წარმოდგა‘«ვეფხისტყაოსანი»? ქართულს ლიტერატურაში ეს საკითხი მეტის-მეტად გართულებულია. შოთა რუსთველის სიტყვები _

ესე ამბავი სპარსული,
ქართულათ ნათარგმანები,
ვპოვე და ლექსათ გადავთქვი» _

არ გამართლდა.

1889 წელს, გაზეთ‘«თეატრის» ჩემი რედაქტორობის დროს, ნიკო მარმა პეტერბურგიდან გამომიგზავნა სტატია, რომელიც მე დავსტამბე ამ გაზეთში. პროფესორი მარი იქ ამტკიცებდა, რომ დიდი ბრიტანეთის მუზეუმში ვნახე «ვეფხისტყაოსნის» სპარსული დედანიო. ეს მისი სიტყვები არ გამართლდა. განსვენებული ივ. სპ. ჯაბადარი პეტერბურგის ჟურნალ «სევერნი ვესტნიკ»-ში სტამბავდა სტატიებს _ «პისმა ო გრუზიი», სადაც იგი ამტკიცებდა სპარსელი დიდი მგოსნის, პოემა _ «მეჯნუნ და ლეილას» ავტორის _ ნიზამის ნათესაობას შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანთან», მაგრამ ავტორი შოთა რუსთველის ორიგინალობას არ უარყოფდა. იგი ამტკიცებდა მხოლოდ იმ აზრს, რომ ეს ორი დიადი მგოსანი ერთი დიდი სპარსული სალირიკო პოეზიის სკოლის შვილები არიანო... სპარსეთის პოეზიის გავლენის შოთა რუსთველზე ხსენებამ შეაშფოთა იმდროის ქართული ლიტერატურის მესვეურნი და ატყდა დიდი პოლემიკა. გაზ. «ივერიაში» ამ პოლემიკას უძღვებოდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც უარს ჰყოფდა ივ. ჯაბადარის აზრს და ესარჩლებოდა ძველადვე ჩვენში დამკვიდრებულ აზრს, რომ რუსთველი საბერძნეთის (ბიზანტიის) მართლმადიდებელი ქრის-ტიანობის შვილიაო...

გასული საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოში (ფშავში) აღმოჩენილ იქნა ხალხური თქმულება ტარიელზე და ნესტან დარეჯანზე. და ჩემში, პირადად, მას შემდეგ გამტკიცდა ის აზრი, რომ შოთა რუსთველმა ისარგებლა ამ ხალხური თქმულებით, თავი მოუყარა და შეაგროვა ეს ხალხური თქმულება «ვეფხისტყაოსანზე», რომელიც მან დიდი და მდიდარი მხატვრული სახეებითა და ფერადებით დაამუშავა, და ამნაირად, შ. რუსთველმაც გაიარა სწორედ ის პროცესი, რა პროცესის გზითაც მიდიოდნენ მსოფლიო ლიტერატურის სხვა დიადი

მგოსნებიც: ჰომეროსი, დანტე ალიგიერი, შექსპირი, გოეთე და სხვა. ჰომეროსმა საბერძნეთში ილიადა და ოდისეიზე შეაგროვა ხალხური თქმულება და ისე შექმნა მან თავისი შესანიშნავი ნაწარმოები. იტალიის დიდი მოაზროვნე _ მიქელ სქერილლო თავის შესანიშნავ სტატიაში _ «დანტე, როგორც სასახლის კაცი» _ ამტკიცებს, რომ დანტეს «ღვთაებრივი კომედია» დაფუძნებულია პირდაპირ ხალხურ თქმულებაზე. ავტორს ამ უკვდავ ნაწარმოებიდან ამოაქვს მრავალი ეპიზოდი, რომელნიც პირდაპირ დანტეს თანამედროვე ანეგდოტებზე არის დაფუძნებული. ეს ანეგდოტები, თურმე, დიდად გავრცელებული ყოფილა იმ საზოგადოებაში, საცა ხშირად დადიოდა მგოსანი. თვით გენიოსი შექსპირის განსაცვიფრებელი ნაწარმოები _ «ჰამლეტი» არ არის სრულიად ორიგინალური თხზულება, რადგან თვით ფაბულა, თავი და პირველი აზრი მისი იტალიელთა ერთი გადმოცემიდან აქვს აღებული ავტორს (იხ. ამ საგნის შესახებ ჩინებული სტატია გიორგი ბრანდესისა). აგრეთვე, გოეთეს _ «ფაუსტიც.» «ფაუსტის» პირველი ნაწილი სტამბიდან გამოვიდა 1808 წელს, როცა ახალგაზრდა გოეთე იტალიიდან ახალი დაბრუნებული იყო. დედააზრი‘«ფაუსტისა» ამ უმშვენიერესი ქვეყნის შვილების თქმულებიდან აქვს აღებული ავტორს. რას ამტკიცებს ისტორიიდან ეს ცოცხლად ამოღებული ფაქტები? ამტკიცებს იმას, რომ ეს საყოველთაო მსოფლიო ლიტერატურის ევოლიუციის კანონია. და ამ საზოგადო ევოლუციის კანონმა დიდი თამარის დროს, რენესანსის ეპოქაში, უკეთესი წარმომადგენელი პოვა შოთა რუსთველის შემოქმედებაში.

ილია ჭავჭავაძე ამ აზრის დიდი წინააღმდეგი იყო. განსვენებული მიმტკიცებდა, რომ შ. რუსთველის ნაწარმოები იყო ისე საოცრად გავრცელებული ქართველ ხალხში, რომ ფშავეთში ნახული თქმულება ტარიელსა და ნესტან დარეჯანზე აქედან წარმოსდგაო და არა პირიქითო. ილიას აზრით, თუ ეს ამბავი ასე არ აიხსნა, შოთა რუსთველის სიდიადე და გენიოსობაც დაიჩრდილება...

მაგრამ ის პატარა განმარტება, რომელიც მე ამ წამს წარვუდგინე მკითხველს ლიტერატურის ისტორიიდან, არ ამცირებს არავის, არც ერთ დიად მგოსანს: არც ჰომეროსს, არც დანტე ალიგიერს, არც შექსპირს და არც გოეთეს. მაშასადამე, არც ქართველს _ შოთა რუსთველსაც.

ამ საგანზე ახლა აქ მეტ ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, მგონია, მკითხველი, თუ დაჯერებული არ არი, ეჭვ მიტანილი მაინც არის პოეტის სიტყვებში _ «ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარ-გმანები» და, ჩემთან ერთად, იფიქრებს, რომ შოთა რუსთველს თვით ქართველთა დიდსა და მდიდარ კულტურულ ცხოვრებაში ექნებოდა ცოცხალი მასალა თავისი უკვდავი‘«ვეფხისტყაოსნის» შესაქმნელად.

ახლა მივუბრუნდეთ ჩვენს საგანს _‘«ვეფხისტყაოსნის» მოკლედ დახასიათებას.

5

«ვეფხისტყაოსნის» ავტორი ქართული კლასიკური ლიტე-რატურის ერთი უშესანიშნავესი ტალანტის პატრონი იყო. ამ ადამიანის გენიოსური კალმის ნაწარმოებს _ «ვეფხისტყაოსანს», რომელიც იმთავითვე დაუშრეტელი, ცოცხალი პოეზიის ცეცხლის, მუსიკის, სიბრძნის, სიხარულისა და სიყვარულის სამოთხის თაიგუ-ლად ითვლებოდა, ქართველებს გარდა, ყავდა და დღესაც ყავს მრავლის უმრავლესი, ურიცხვი მკითხველი და დამფასებელი სომეხ-თა, რუსთა, პოლონელთა, გერმანელთა, უნგრელთა, ბერძენთა, ფრანგთა და ინგლისთა შორის, რომელნიც დიდი სიყვარულითა და აღტაცებით ახსენებენ ამ საოცარ ქართველ პოეტს...

ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი მნათობის ლექსი გიგანტი კავკასიონის მთებიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერია, რო-მელიც ბუნების წიაღსა და სივრცეში მარგალიტებად ელვარებს, ეცემა ძირს, დედამიწაზე ქაფად იშლება და მზის სხივებზე წინწ-კლებად ლაპლაპებს. შოთა რუსთველის ქართული მხატვრული ენა ამაყი, ზვიადი, ძლიერი, თვალუწვდენელი კავკასიონია. მისი თასმასავით მოქნილი, დახვეწილი ლექსი მორაკრაკეა, ვით მთის მოჩუხჩუხე წყაროს წყალი. მგოსნის მდიდარი ლექსი მღელვარე «ფაფარ აყრილი» ფაზისია, «ტკბილად მოდუდუნე მტკვარი». შოთა რუსთველის მომხიბვლელი, მდიდარი სტილის გამოხატულებაა: მკვეთრი, ფოლადივით ძლიერი, სხარტი, შურდულივით მარდი და ელვარე. მგოსნის მღელვარე აღმაფრენა და გაქანება. მისი საოცარი ტალანტის დაუშრეტელი შემოქმედება, სულიერი დიადობით გამსჭვალული, ერთ დიად თაიგულად შეკრული, დიდსა და ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველის გულში და სამუდამოდაც იმორჩილებს მის არსებას და ატყვევებს...

აი, ასეთი სიტყვებით ხასიათდება შოთა რუსთველის უკვდავი პოეზიის არტისტული, წმინდა მხატვრული მხარე. მგოსნის ლექსი ავტორის საკუთარი დიადი და მდიდარი, მშვენიერი სულის საუკუნოდ შენახვისა და ათას თაობათა გადაცემის ერთი გასაოცარი თილისმაა. სწორედ ამიტომაც, ავტორი პირუთვნელმა ისტორიულმა კრიტიკამ უნდა ჩათვალოს ერთ უდიდეს, უშესანიშნავეს მნათობად.

ამასთანავე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ «ვეფხისტყაოსანი» იძლევა ლიტერატურული ტიპების განხორ-ციელების საუკეთესო ნიმუშებსაც. ეს ნაწარმოები ერთ დიად, მთლიანსა და მდიდარ ფსიქოლოგიას წარმოადგენს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში, ვაჟებისა და ქალების სულიერი არსების, ხასიათებისა და მოქმედების უფრო ღრმად და უკეთესად გასაგებად. ბუნების სიტურფისა და სხვადასხვა ქვეყნების მდიდარი აღწერილობანი, ნადირობა, ღრმა სიყვარულის სულიერი აღმო-ხატვა, გასაოცარი, მდიდარი მგზავრობანი ავთანდილისა და უღრმესად დატანჯული ტარიელის სულიერი კაეშანი იშვიათი ლიტერატურული ხელოვნებით არის აღმოხატული და გამოთქ-მული, პოემა-რომანის დიდი იდეა, ლოგიკური სისწორითაა დამუშავებული. ნაირ-ნაირი, მდიდარი სანახაობით, სხვადასხვა კონტრასტებით და ათასი მხატვრული ფერადებით, დიდი პოეტური აღწერილობებით შ. რუსთველი ადამიანს საშუალებას აძლევს სულიერად დატკბეს სრული ესთეტიური სიამოვნებითა და ნეტა-რებით და სულით და გულით შეიყვაროს ის ვაჟები და ქალები, რომელთაც აღწერს პოეტის კალამი...

იმ წყვდიადით მოცულ საშუალო საუკუნოებში, როცა საერო მწერლობაც კი ამ წუთისოფლიდან განდგომას, სრულ გან-დეგილობასა და განშორებას ქადაგებდა და ადამიანს საიქიოს სულის საუკუნოდ დამკვიდრებაზე უთითებდა, შოთა რუსთველის «ვეფხისტყაოსანი» ნამდვილ ჭეშმარიტ რევოლუციას წარ-მოადგენდა.

მგოსანმა მხატვრულად აღწერა სხვადასხვა ქვეყნის მდიდარი არე-მარენი, მდიდარი ბუნების ხელუხლებელი, ხალასი სიტურფე და მშვენიერება, ქალწულოვან ასულთა _ ნესტან-დარეჯანისა და თინათინის მომხიბვლელი სილამაზე. ნესტან-დარეჯანი ამქვეყნიურ ედემში მოვლინებული უაღრესად დიადი, ღრმა და ძლიერი სიყვარულია, რომელსაც შეუძლია აამაღლოს, გაწმინდოს, გაას-პეტაკოს და უკვდავყოს ადამიანი. სიყვარულის გარეშე ყოველივე

ფუჭია და ამაო. ქართველმა მგოსანმა ესეც არ აკმარა განდე-გილობის მოტრფიალე ქრისტეანობას. შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლებს არსად პატივისცემით და მოწიწებით არ იხსენიებს. ის კი არა, მოციქულებს პირდაპირ მწარედ დასცინის, როცა წერს:

«ვით ეჟვანნი,
ისე ჟღერდენო...»

6

შოთა რუსთველის _ «ვეფხისტყაოსანში» მოთავსებულია საშუალო საუკუნოების ფილოსოფიისა და არაბული ასტრო-ნომიიდან ცნობანი. იგი ამითაც ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია და მისი საშუალებით შეგვიძლია სრულად გავეცნოთ საშუალო სუკუნეთა ეპოქას. ამ ნაწარმოებში, თამარ მეფის დროის აღორძინების, რენესანსის ახალი ხანა პირწმინდათ იხატება. «ვეფ-ხისტყაოსანში» მგოსანს ღრმად და ძლიერადაც აქვს აწერილი მდიდარი ბუნების და ხილული ქვეყნის მშვენიერება და სიკეკლუცე. შოთა რუსთველი ბუნებისა და ადამიანის, _ ბუნების ამ ულამაზესი შვილის სიტურფითა და სილამაზით, მისი სულის სინაზითა და სინარნარით არის მოხიბლული. იგი ღრმად გვიჩვენებს ნაწარმოების გმირთა არსებას, სულისკვეთებას.

პოემა-რომანის უმთავრესი გმირია ტარიელი. და ამ დიადი გმირის სულისკვეთება და საშინელი ტანჯვა ისეთი ძლიერი და ღრმა კოლორიტით არის მხატვრულად აღწერილი, რომ მკითხველი ერთბაშად იხიბლება მისი ახალი, არაჩვეულებრივი ჰანგებითა და აღმაფრენით...

მთელი თავისი სხივოსნობით, ტარიელი სამყაროს და ხმელეთის მანათობელია. იგი ავთანდილისთვის დაბადებულია მზედ. მისი მოშორება და გაყრა _ დღის დამღამებელია. ტარიელი ჩირაღდნად ანთებული ლამპარია, უმშვენიერესი სანახავი.

როგორც ჩონგურზე სიმის გამოცვლა იმწამსვე გამოიწვევს ჩონგურის ხმის გამოცვლასაც, სწორედ ამნაირადვე ნესტან- დარეჯანის გადაკარგვამ ტარიელის მთელი არსება ძირეულად შეცვალა და გადაასხვაფერა. იგი მთელი თავისი არსებით ძლიერად დაიტანჯა. მისი სათაყვანებელი სატრფო დაკარგულია, ამიერიდან იგი ვეღარ გაიგონებს ნესტან-დარეჯანის უმშვენიერეს, უნარნარეს, ცოცხალ ხმებს, იმის სულის თქმასა და ჩურჩულს, იმის მხიარულ პირმცინარე სახეს ვეღარ მოკრავს თვალს, ვერ შეეხება იმის სათუთ და მიმზიდველ არსებას. ტარიელი, ამიერიდან, მონაწილეობას ვეღარ მიიღებს თავისი სატრფოს სიცოცხლესა და არსებობაში...

აი, ამ დღიდან ტარიელმა სრულიად დაკარგა გულის მხი-არულება და აღტაცება. მას სიცოცხლის უმთავრესი ძარღვი ჩაუწყდა და იმაზე აღარც მოქმედებდა უცოდველი, წმინდა ჰაერის ქროლვა-თამაში, სინათლის, სიცოცხლის, მრავალგვარი, მრა-ვალფეროვანი და მდიდარი ცხოვრებისა და ბუნების ჰარმონია. ამ წუთისოფლის ბუნების ნაირ-ნაირი სანახაობა სრულიად უმნიშვ-ნელოდ და უაზროდ იყო მის წინ გაშლილი.

ნუთუ დასაჯერებელია, რომ ტარიელი თავის სათაყვანებელ სატრფოს ვეღარ იხილავს? ნუთუ უმდიდრესი სასახლის კარები ამიერიდან იმისთვის აღარ გაიღება?

...ტარიელის მუდამ დღე-ღამე მომტირალი თვალების წინ გადაიშლებოდა გაზაფხულით ამწვანებული ტყე და ველი, მთა და ბარი, კლდე და ღრენი, მდინარენი და ზღვაც, საიდანც აღარ ისმოდა მისი სმენისათვის სასიამოვნო და მიმზიდველი, ტკბილი გასაგონი ამბავი. ეს მზესავით უმშვენიერესი ჭაბუკი, უცხო რამ თვალ-ტანადობით ნახატი, შემკული მეფურის დიდებითა და ძლიერებით, მთელი უმდიდრესი ინდოეთის მემკვიდრე, რომელსაც ცა და ქვეყანა შეხარის, სულ ერთიანად გამოიცვალა და გაველურდა...

...ტარიელი წააწყდა და გაიცნო უგონიერესი, უნიჭიერესი, «მზის დასაგვანი» ჭაბუკი ავთანდილი, რომელმაც მას გადაკარგული სატრფო მოუძებნა და ტკბილი სიცოცხლეც მიანიჭა. უკვდავმა მეგობარმა _ ავთანდილმა ტარიელს თავზე დაადგა დიდების, ძლიერების და ჭეშმარიტი სიყვარულის ბრწყინვალე გვირგვინი და ცხოვრებას კვლავ შეარიგა...

მაშასადამე, სრული ბედნიერება და სასუფეველის დამკვიდრება საშუალო საუკუნოების მშრალ მოჭირვებაში კი არ არსებობდა, არამედ სიყვარულში, რომლის დიადი ძალა სიცოცხლე და მადლი ადამიანს ამქვეყნად აცისკროვნებს, ამხნევებს, ამაღლებს, ამ-დიდრებს, ასპეტაკებს, ადიდებს და უკვდავსაც ყოფს. ტარიელზე სწორეთ ზედ გამოჭრით არის ნათქვამი მგოსნის ლექსი:

«ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოველმც შენი მონდობილი,
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა...

სადაურსა, სად წაიყვან,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,
    მაგრამ ღმერთი არ გასწირავს,
    კაცსა შენგნით განაწირსა»...

რაც უნდა მწარედ და ძლიერადაც დაიტანჯოს და აწამოს სოფელმა მებრძოლი ადამიანი, ღმერთი (ისტორია) მაინც «არ გასწირავს, მისგან განაწირს კაცსო», სწერს ჩვენი მგოსანი და ეს შესანიშნავი, დიადი ფილოსოფიის გამომხატველი ლექსი განზრახ შეთხზული, უბრალო ლექსი როდია, უგანაჩენოდ წამოსროლილი. არა, ეს არის დიდად დიდი, ღრმა, ძლიერი და დაუფარველი სიმართლის გამომხატველი ცოცხალი იდეა, რომელიც ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდასა და ყმაწვილში ზრდის და ასულიერებს გულდადებული, დისციპლინით სავსე შრომის გულითად სიყ-ვარულს, თვალში ამოჩემებული მიზნისადმი დაუღალავ, გულ-გაუტეხელ სამსახურს, მოზარდი თაობის სულის და ხასიათის სიმტკიცეს აწრთობს. ამ პატიოსანი, დიადი იდეის თავდადებული სამსახური და სიყვარული, ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდობას, მთელი ერის ახალ თაობას აჩვევს და აყვარებს პატიოსან, გმირულ საქციელსა და ყოფაქცევას...

ამიტომაც, ჩვენი ქვეყნის _ საქართველოს კომუნისტური მთავრობა დიდსა და პირდაპირ დაუვიწყარ ღვაწლს დასდებდა ჩვენი ერის კულტურულ განვითარების საქმეს, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსებდეს ცალკე კათედრას «ვეფხისტყაოსანზე» ლექციების საკითხავად და ამ დიდ საქმეს მიუჩენდეს, სპეციალურად, ერთ ნიჭიერსა და მსწავლულ პროფესორს სწორეთ ისე, როგორც ეს

არის შემოღებული იტალიის უნივერსიტეტში დანტე ალიგიერზე, გერმანეთში _ გოეტესა და შილლერზე...

<u>გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი</u>

1

21 წელია მას აქეთ, რაც ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა გიორგი წერეთელი. იგი დიდის დიდებით, ვაი-ვუითა და სიტყვების წარმოთქმით თბილისის მწერალთა პანთეონში დავასაფლავეთ; სწორეთ იქ, საცა დასვენებული გვყავს ჩვენი ნიჭიერი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, რომელთა საფლავი შემკობილია ძეგლით, აღნიშნულია რაიმე ნიშნით, რომ მათი საუკუნო განსასვენებელი ადგილი ქართველ საზოგადოებას არ დაეკარგოს.

მართალია, გიორგი წერეთელი არ იყო მდიდარი ქართველი, რომ თავისი საკუთარი მომჭირნეობით შეძენილი ქონება, დიდი დოვლათი დაეტოვებია, შეეწირა ჩვენთვისა და ჩვენი საზოგადო საქმეებისათვის, რომ ჩვენც, ქრთველებსაც, ნაცვლად ამისა აღგვემართა მის საფლავზე ძვირფასი ძეგლი და მოგვერთო დიდებულად «შავი სიკვდილი». მაგრამ მთლად მართალი არც ეს არის... დავივიწყებთ ჩვენ იმ ამბავს, რომ გიორგი წერეთელმა ოცი ათასი მანეთი მეტი ჩააბნია საკუთარი ფული, პირველად სტამბისა და გაზეთ «დროების» წარმოება რომ დაიწყო? მაგრამ ამას თუ დავივიწყებთ, ის მაინც მოვიგონოთ, რომ გიორგიმ ქართველობას დაუტოვა დიდი სულიერი საუნჯე, ისეთი ღირსეული თავ-მოსაწონებელი დიადი სიმდიდრე, რომელიც უდრის ილია ჭავჭავაძის, აკაკის და ნიკო ნიკოლაძის, ცალ-ცალკე, დანატოვარ საუნჯეს. როგორც აკაკია უპირველესი, დიადი, თითქმის გენიოსის საზღვარზე მისული ლირიკის სამფლობელოში, ნიკო ნიკოლაძე _ პუბლი-ცისტიკისა და კრიტიკის სფეროში, ისე გიორგი წერეთელს, როგორც ბელეტრისტს, ჯერ ბადალი არ ჰყავს ქართულ ლიტერატურაში. ეს ჩემი ღრმა რწმენაა და აზრი. და ამას ბარემ, ამ წამსვე, აქვე გავუთვალისწინებ მოკლედ მკითხველს.

მოსკოვში, მგონია, 1910 წელს, ნადიმზე აკაკიმ სიტყვა უთხრა რუსის მოსწავლე ახალგაზრდობას და თქვა, რომ იმ ეკლიან გზას, რომლის სათავეშიაც უკვდავების წყარო ჩუხჩუხებს, ჩემთან ერთად ჩემი ამხანაგები: გიორგი წერეთელი, სერგი მესხი და ნიკო ნიკოლაძე ადგაო. ამ პატარა წრეს თანამგრძნობიც მცირე ყავდაო.

ამ ისტორიული, პატარა წრის ერთი იშვიათი თავდადებული მოღვაწეთაგანი იყო გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი, რომელიც მოუცილებლად, ახლად აღორძინებული ქართული ლიტერატურის და გრძნობა-გონების მღელვარე მოძრაობის ერთი დიდად ნიჭიერი მესვეურთაგანი იყო. იმის ახლო მეგობრებს, ნაცნობებს, ნათესავებსა და მოყვრებს გარდა, იმისი ნიჭიერი კალმის ნაწარმოებებს ჩვენში ქართველებს, სომხებს, ებრაელებს და რუსებს შორისაც ბევრი მკითხველი ყავდა, რომელნიც დიდი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით მოიგონებენ გიორგის სახელს და მის თავდადებულ მოღვაწეობას. რაც უნდა მკაცრი კრიტიკით შეხედონ მისმა მოწინააღმდეგეებმა მის საპუბლიცისტო და საისტორიო ლიტერატურულ სარბიელეზე მოღვაწეობას, გიორგი წერეთელი, ვითარცა დიდად

მღელვარე სულის, ძლიერი ენთუზიაზმით აღსავსე ჟურ-ნალისტის, უნიჭიერესი ბელეტრისტის სახელი მაინც საუკუნოდ დარჩება მადლიერ ქართველთა ხსოვნაში.

გიორგი წერეთელი იყო ბუნებისაგან ძლიერი შემოქმედებითი, სამხატვრო ნიჭით უხვათ დაჯილდოებული ადამიანი. ამის უტყუარი ნიშანი, სხვათა შორის, იყო და არის იმისი მრავალგვარად მდიდარი, თასმასავით მოქნილი ცოცხალი სალიტერატურო ფორმების ხმარება, ძალიან სუბუქი და წარმტაცი ენა და, ამიტომაც, იგი ქართული სიტყვების საუკუნო, სამარადისო სიცოცხლის ერთი დიდი გამომხატველთაგანია. მაშასადამე, საკვირველიც არ უნდა იყოს, თუ პირუთვნელმა, ულმობელმა სალიტერატურო კრიტიკამ გიორგი წერეთელი ჩათვალა ივერიელთა ახალი ლიტერატურის ერთ-ერთ უშესანიშნავეს მანათობლად...

გიორგი წერეთლის მოთხრობებსა და რომანებში დახატული ცხოვრება არის ცოცხალი სინამდვილე, ქართველთა ყოველდღიური ძალა, რომელიც ნელ-ნელა მკვიდრდებოდა და გზას იკაფავდა, ყმების განთავისუფლების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის არე-მარეზე. მან ეს ცხოვრება თავისი ღრმა გამკვეთი, მახვილი ჭკუით, დიდად დაკვირვებული თვალებით შეამჩნია და მხატვრულად განცდილი კალმის საშუალებით გადმოიტანა ქაღალდის ფურცლებზე, დახატა ფრიად ფართე, მიმზიდველ, თავისუფალ ჩარჩოებში. ჩვენი შეუდარებელი ბელეტრისტის ნაწარმოებნი _ ეს ისტორიაა მთელი ჩვენი ერის ყოფნისა, ქართველთა სხვადასხვა წოდების, კლასის, წრის, ასაკის და სქესთა დამოკიდებულებისა, მთელი ქართველი ახალი საზოგადოებისა, რომელიც თანდათან კარგავდა ყმაწვილურ-ახალგაზრდული პერიოდების გატაცებას, ოცნებას, ლხენას, უდარდელი ქეიფის ხანას და შედიოდა უფრო მოწიფულ, მრა-ვალფეროვან, მრავალფერად აპრიალებული ცხოვრების კალა-პოტში...

ეს ის დროა, როცა ხალხის სრულიად ახალი დემოკრატიის ელემენტები აღარ კმაყოფილდებოდნენ ძველი, ჩვეული ყოველდღიური დამყაყებული ცხოვრებით. წრეების, ახალი საზოგადოების, ახალი ურთიერთობის შესადგენად და შესაქმნელად. გიორგი წერეთლის ბელეტრისტულ ნაწარმოებებში ვხედავთ ჩვენში პირ-ველად ქართველ კაცს, ცოცხლად სისხლსა და ხორცში მყოფს, რომელიც ცხოვრებას მოუგლეჯია იდილიურ, ზღაპრული ქვეყნის არე-მარედან და მთელი თავისი ავლადიდებით, ცოცხალი არსებით ჩაუყურყუმალავებია მწარე, რთულ თანამედროვე ცხოვრების აზვირთებულ სინამდვილეში, შეუბოჭავს იგი იქ ყოველ ნივთიერი საშუალებითა და პირობებით. აქ ვხედავთ სწორედ და ნამდვილადაც ქართველ კაცს, როგორიც არის იგი დღის სინათლეზე გამოსული სინამდვილეში, ყოველდღიური ცხოვრების ქარ-ცეცხლსა და ბრძოლაში, ჩვენი ქვეყნის აუცილებელ სოციალურ პირობებში ჩავარდნილს, რომლის ყოველი წარმოდგენის, ნიჭის, ფანტაზიის სხვადასხვანაირი მხატვრობით პირდაპირ იზიდავს ჩვენს ყუ-რადღებას.

გიორგი წერეთლის მხატვრობა, მთელი იმისი შემოქმედება ისეთია, რომ იგი ერთბაშად, სულ ერთიანად იპყრობს მკითხველთ გრძნობა-გონებას. ამ გრძნობა-გონებას უკავშირებს თავის მოთხრობებს და რომანებში დახატულ ამბებს და მოქმედ პირებს, გვინერგავს ამ პირების ხასიათების, ყოფა-ქცევის და საქციელის შებრალებას, თანაგრძნობას... იმათ ტანჯვას და სიხარულს, მწუხარებას და სიყვარულს ჩვენც ნათლად და გარკვევით ვგრძნობთ ჩვენივე საკუთარი სულით და გულით. ასეთი დიადი თილისმის ძალის, პირდაპირ ჯადოს პატრონი იყო

უკვდავი გიორგი და ამით მან მიაღწია მიზანს; მის ნაწერებს ვერ დაივიწყებს ვერასოდეს ქართველი, ვიდრე მისი სახსენებელი არ გამქრალა დედამიწაზე.

გიორგი წერეთელი დაიბადა ზემო იმერეთის საჩხერის მხარეზე, სოფელ გორისაში, რომელიც მდებარეობს შავი ქვის მადნებით მდიდარ სოფ. შუქრუთის ახლოს. მდინარე ყვირილის მარცხენა მხარისკენ. გიორგის მამა იყო ექვთიმე წერეთელი, კაცი მთელ იმ დროის თავად-აზნაურთა შორის დიდად ცნობილი და გონება-განვითარებული. ქართული ისტორიისა და ლიტერატურის დიდი მოტრფიალეც იყო. ამასთანავე ექვთიმე იყო გაუტეხელი შრო-მისმოყვარე, მტკიცე ხასიათის, ღვთის მოყვარე და სარწმუნოების ყოველი წესის შემსრულებელი; დიდი ზნეობის და ძალიან ლმობიერი, ნაზი, გულკეთილი იყო. იგი სულით და გულით იმას ცდილობდა, რომ ყველასათვის, განურჩევლად სარწმუნოების, სქესისა და ასაკისა, სარგებლობა მოეტანა ამ ქვეყნად და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა, გზას უკაფავდა ყველას. ექვთიმეს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული სწავლა-განათლებაზე და სულით და გულით მოწადინებული იყო განათლების სხივი შეეტანა ღარიბ მოსახლეთა ბნელს კუნჭულში და მუდამდღე იმას ცდილობდა, განათლების გზაზე დაეყენებია, როგორც თავისი მონათესავენი და მოყვრები, ისევე სხვებიც, დაშორებულებიც. ამ ასპარეზზე ექვთიმე წერეთელს დიადი სახელი ქონდა მთელს იმერეთში გავარდნილი და იქ ბევრიც იყო ისეთი პირი, რომელთა პირველი მასწავლებელი ექვთიმე წერეთელი ყოფილა. აღზრდის საქმეში ექვთიმეს სასტიკი მოპყრობა სწამდა ძველებური ანდაზის მიხედვით _ შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრათ გამოგადგებაო. ექვთიმეს დასახასიათებლად, იმის უკვდავ შვილს _ გიორგის თავის ნაწარმოებში _ «ჩვენი ცხოვრების ყვავილი» ბევრი მასალა შეაქვს. გიორგის მშობელი დედა აღარ ახსოვდა, რადგანაც იგი ადრე გარდაეცვალა და დედისაგან დაობლებული იყო. ამ მანდილოსანის შესახებ არაფერი ვიცით და ეს დიდი დანაკლისია გიორგის ბიოგრაფიისა. ამას ჩვენცა ვგრძნობთ.

სასწავლებელში წაყვანამდე გიორგის მამამისმა დააწყებინა ანბანი და წიგნის კითხვა. მამის ოჯახში გიორგი გავარჯიშდა წერა-კითხვის საქმეში და სასწავლებელში წაყვანის დროც მოახლოვდა. მამამ შეუკრა ბარგი-ბარხანა, რამდენიმე თვის საგზალი აკიდა ცხენებს საპალნეებათ. გიორგიც ცხენზე შეასკუპეს და დიდი საქარავნო გზით _ ულევით გაუდგნენ ქუთაისისაკენ. იქაურ გიმნაზიაში მამამ გიორგი მიაბარა და დააბინავა თავის საკუთარ სენაკში, რომელიც ჩადგმული ქონდა საკუთარ მიწა-წყალზე, ბაღის ქუჩის მარჯვენა მხარეზე. თუ როგორ იზრდებოდა გიორგი გიმნაზიაში, ამის შესახებ მდიდარ მასალას იძლევა ხელოვნურად აწერილი დიტოს ცხოვრება. (იხ. «ჩვენი ცხოვრების ყვავილი»).

1860 წელს, გაზაფხულზე, გიორგიმ გიმნაზიის კურსი ჩინე-ბულად დაასრულა და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა სწავლა-განათლების გასაგრძელებლად.

გასული საუკუნის სამოციან წლებში, რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია და მაშინდელი ახალთაობაც ბუნებისმეტყველების დიდი მოტრფიალე იყო და ჩვენი ნიჭიერი ჭაბუკი გიორგიც გაიტაცა ბუნებისმეტყველების უზომო სიყვარულმა და ამ ფაკულტეტზე ჩაეწერა. მთელი თავისი მგზნებარე არსებით ეს მხურვალე ტემპერამენტის ქართველი ახალგაზრდა მეცნიერებას ღრმად დაეწაფა და თავის ტოლ-ამხანაგებში მან პირველობა დაიჭირა. და ამ დროს, იგი ამითაც არ კმაყოფილდებოდა და თვალყურს, გულის ძგერით, აღელვებით და გაფაციცებით,

ქართველთა ცხოვრებასაც ადევნებდა და იმისი ჭირითა და სატკივარით ღრმად და ძლიერად იმსჭვალებოდა. დიდი სამომავლისო საზოგადო მოღვაწის ძარღვი, ტემპერამენტი და ტალანტი მაშინვე ცოცხლად ეტყობოდა გიორგის და ყველა მას დიდი ყურადღებით ექცეოდა. უნივერსიტეტში დიდსა და განსაკუთრებულ ყურადღებას ემბრიოლოგიას აქცევდა და იშვიათი ხალისითაც სწავლობდა. ასე გასინჯეთ, მეორე კურსზედვე თავისი საკუთარი თეორია შეიმუშავა შთანასახის განვითარების შესახებ და ოცნებით იყო დიდად გატაცებული მეცნიერებისათვის შეეწირა სრულიად თავისი სიცოცხლე და არსება. მაგრამ მისი მღელვარე სული, მუდამ შეუმჩნეველი, მოძრავი, გრძნობიარე ტემპერამენტი რომ კაბინე-ტური შრომით ვერ დაკმაყოფილდებოდა, ეს მალე გამოაშკარავდა.

1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა არეულობა მოხდა. ამ მოძრაობაში გიორგიმ მხურვალე მო-ნაწილეობა მიიღო, რის გამო მაშინვე დაიჭირეს, ორი კვირე პეტრე-პავლოვის ციხეშიაც დაამწყვდიეს და, იქიდან გამოშვების შემდეგ, უნივერსიტეტში შესვლაც სამუდამოდ აუკრძალეს.

სალიტერატურო ასპარეზზე გიორგი სტუდენტობის დროსვე გამოვიდა. 1862 წელს ერთი თერგდალეულის სახელით ჟურნალ «ცისკარში» დაიბეჭდა პოლემიკური შინაარსის წერილი. 63 წელს კი ილია ჭავჭავაძის ახალ ჟურნალ «საქართველოს მოამბეში» დაიბეჭდა მისი სტატია _‘«ცისკარს რა აკაკანებდა», გ.-თელის ფსევდონიმით. 1863 წელს გიორგი ეწვია საჩხერის მხარეს, თავის სოფელს გორისას. 1864 წელს იქიდან თბილისში ჩამოვიდა და ნ. ჯაბადარის პანსიონში ქართული ენის მასწავლებლად შევიდა. 1865 წელს თბილისში გაიმართა და მოეწყო სტეფანე მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბა, რომლის მოთავედ იყვნენ ნიკო ღო-ღობერიძე, ვახტანგ თულაშვილი და არქეოლოგოსი-ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. მათ განიზრახეს ქართული გაზეთის გამოცემა და ამიტომ მოიწვიეს გიორგი გაზეთის რედაქტორად, გამომცემლად კი სტ. მელიქიშვილი. დიდი მეცადინეობის შემდეგ, როგორც იქნა, ნებართვაც მიიღეს და 1866 წელს, მარტის თვეში, ქართველობას ეღირსა ყოველდღიური პრესის ორგანო და თბილისში გამოვიდა ქართული გაზეთი‘«დროება». აი, სწორედ ამ დროიდან იწყება გიორგი წერეთლის მუდმივი, შეუჩერებელი შრომა და ღვაწლი სალიტერატურო ასპარეზზე.

გიორგი, როგორც რედაქტორი ძალიან დიდ შრომაში იყო ჩასმული. იგი იყო რედაქტორიც, დამწერიც ყოველი სა-ხელმძღვანელო სტატიებისა და უბრალო შენიშვნებისაც. იყო კორექტორიც და გაზეთის პროვინციაში დამგზავნიც. და ამ შრომისათვის, დღედაღამ ჭაპანწყვეტისთვის მას ეძლეოდა სულ მცირეოდენი ჯამაგირი _ ოცდაათი მანეთი. ასეთი მცირე ჯამაგირით გიორგის, რა თქმა უნდა, არ შეეძლო თბილისში ცხოვრება და გაზეთის საქმესაც გაძღოლოდა. ამიტომაც იგი იძულებული იყო კერძო გაკვეთილებით დაეკმაყოფილებინა თავისი ცხოვრება. 1867 წელს გიორგის რედაქტორობით, და მშვენიერი მისი სტატიის ზედ დართვით, თბილისის წიგნების ბაზარზე გამოვიდა შოთა რუსთველის უკვდავი ნაწარმოები _ «ვეფხისტყაოსანი» და გიორგი ერისთავის სრული თხზულება ორ წიგნად. ეს იყო გ. ერისთავის ნაწერების პირველი გამოცემა.

1868 წელს გიორგიმ დააფუძნა მეორე გაზეთიც‘«სასოფლო გაზეთი» საკუთრად სოფლის ხალხისათვის. ასეთ დიდ ჯაფასა და შევიწროებაში იყო გაკრული გიორგი 1869 წლის ზაფხულამდე, როდესაც იგი მეტისმეტი შრომით დასუსტდა, დასნეულდა და იძულებული გახდა გაზეთი გარდაეცა სერგი მესხისათვის. ამავე

წელს იგი გაემგზავრა პეტერბურგს, იქ უნივერსიტეტში დაიჭირა ეგზამენი ქართული ენის მასწავლებლობაზე გიმნაზიაში და იქიდან დაბრუნებისთანავე განწესებულ იქნა ტფილისის რეალურ სასწავლებელსა და ქალების ინსტიტუტში მასწავლებლად.

ამ დროსვე მან აიღო იჯარით ერთი სტამბა, რომ ლიტე-რატურული შრომა უფრო გაეადვილებინა. 1871 წელს გიორგიმ დაიწყო შესანიშნავი ჟურნალის _ «კრებულის» სტამბიდან გამოცემა, რომელშიაც, გიორგისთან ერთად, გამუდმებით და თავგამოდებითაც დიდსა და მდიდარ მუშაობას ეწეოდა ჩვენი უნიჭიერესი კრიტიკოს-პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე.

გიორგის ცოცხალი იდეალი და უკვდავების წყარო იყო ევროპის დასავლეთი. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჩვენი ცხოვრება ევროპული მჩქეფარე და ამღელვარებული ცხოვრების გზაზე მიდიოდა და ღონესა და ნიჭს არ ზოგავდა, რომ ხალხი გა-მოეფხიზლებია და საზოგადოებისათვის ახალი დროის მოთ-ხოვნილება და მიდრეკილება დაენახვებია. ამიტომაც, 1873 წელს, ბევრ ჩვენებურ ყმაწვილ კაცებთან და ქალებთან ერთად, გიორგი გაემგზავრა საზღვარგარეთ, რომ ევროპელთა ცხოვრება ად-გილობრივად შეესწავლა. ჟურნალი «კრებული» მან კირილე ლორთქიფანიძეს და‘«სასოფლო გაზეთი» პეტრე უმიკაშვილს გადასცა. ამ ხანებში გიორგი შვეიცარიაში ცხოვრობდა და, რადგან ფულები შემოაკლდა, ჟენევიდან საქართველოში დაბრუნდა. აქ მან ბანკში დააგირავა საკუთარი ადგილ-მამული და ისევ შვე-იცარიაში წავიდა. შვეიცარიიდან გიორგი მიუნხენში გადავიდა და აქ 1875 წელს შეირთო პირველი ცოლი _ ოლიმპიადა, იაკობ ნიკოლაძის ასული, ნიკოს დაი. ამის შემდეგ, ფრანკფურტსა და მიუნხენში ცხოვრობდა უმთავრესად. ამ დროის განმავლობაში გიორგი ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობდა და იძულებული იყო მიემართა სხვადასხვა საშუალებისათვის თავის სარჩენად. სხვათა შორის, იგი გასაყიდად ატარებდა ნემეცურ წიგნებს და ავრცელებდა ახალ დაარსებულ ნახატებიან ნემეცურ გაზეთს («Uბერ ტონდერ წენრ») და თითო ხელისმომწერზე ეძლეოდა თითო მარკა (45კ) ჯილდოთ. ევროპის ხმელეთზე გიორგი ღრმად უკვირდებოდა და სწავლობდა დაწინაურებული ხალხის ცხოვრებას და მეცნიერებას. მაგრამ დიდ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისტორიას და არქეოლოგიას. საზღვარგარეთიდან გიორგი 1877 წლის დამდეგს ჩამობრუნდა საქართველოში და პირველ ხანებში თავისი ცოლ-შვილით ქუთაისში ცხოვრობდა.

2

1877 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი ატყდა და გიორგი ოსმალეთში გადავიდა, რადგან დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინაშე გიორგიმ საქართველოს პოლიტიკურად გათავისუფლების საკითხი წამოაყენა და ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა _ მოქალაქემ კინაღამ თავი შესწირა ამ საქმეს; ოსმალეთიდან რუსულ გაზეთს «გოლოს»-ს, რომელიც პეტერბურღში ისტამბებოდა, კორესპონდენციებსა და სტატიებს უგზავნიდა. რამდენიმე ხანი იგი ცხოვრობდა ბათომში. 1879 წელს გიორგიმ ჩაიბარა‘«ტიფლისკი ვესტნიკ»-ის რედაქცია და მთელი ოთხი წლის განმავლობაში იქ აწარმოებდა გაძლიერებულ ლი-ტერატურულ მუშაობას. 1883 წლამდე ერთი წუთიც არ შეუსვენია გიორგის. ამ დროს იგი შეუამხანაგდა ჩვენი ქვეყნის მდიდარ მემამულეს ივანე ბაგრატიონ-მუხრანელს, რომ ზემო იმერეთს, სახელდობრ ჭალის მთაში, ნავთის წარმოება დაეწყო. მაგრამ ამ საქმემ უზომო ფული მოითხოვა. უამისოდ საქმის წაყვანა

შეუძლებელი იყო და ნავთის წარმოებას გიორგიმ თავი მიანება. სწორედ ამ დროს მას მოუკვდა პირველი ცოლი და თავისი სამი პატარა ობოლი შვილებით ქუთაისს დაბრუნდა და აქ მსახურობდა რამდენიმე ხანს. 1883 წელს გიორგი დაინიშნა რკინიგზის აგენტად და ცდილობდა ხონში რკინიგზა გაეყვანა. გიორგი აქაც არ ტოვებდა საყვარელ კალამს და ლიტერატურას ემსახურებოდა: ამ დროს მან დასწერა‘«ლომკაცი»,‘«მამიდა ასმათი» და თანამშრომლობდა თბილისის ქართულს და რუსულს ჟურნალ-გაზეთებში. ამ დროსვე დასწერა გიორგიმ მოთხრობანი: «ოცი წლის წინათ»,‘«საჩინო» და‘«ედიშერ ქელბაქიანი».

1886-89 წლებში გიორგი თანამშრომლობდა გაზეთ «ივერიაში». რედაქციამ მაშინდელ პირობაზე კარგი გონორარიც აღუთქვა, მაგრამ ეს აღთქმა ცარიელი სიტყვები გამოდგა, რადგან ჩვენში სახელგანთქმული ლიტერატორის _ გიორგის ნაწერებს იშვიათად ბეჭდავდა და მისი ნაწერების რედაქტორობას ანდობდა რედაქციის სრულიად უმნიშვნელო და გაუნათლებელ‘«კრისებს». 1890 წელს ბათომში დაარსდა ქართველების არტელი და იქ ქუთაისიდან გიორგი მიიწვიეს, რომ არტელისათვის რიგიანი დაწყობილება მიეცა და პატრონობაც გაეწია მისთვის. ქართველთა არტელს ბედი არ უღიმოდა, რადგანაც ბევრი მეტოქე ყავდა და თვით არტელის წევრნიც ასეთ საქმეში სრულებით გამოუცდელნი იყვნენ და ამიტომ საქმესაც ვერ შოულობდნენ არტელისათვის. გიორგის თვეში დაუნიშნეს ასი მანეთი და არტელის მთელი არსებობა მას მოახვიეს თავზე. გიორგიმ გასაოცარი ენერგიით მოკიდა ხელი ამ საქმეს. სამუშაოც ბევრი უშოვა, საქმე სრულიად ფეხზე დააყენა და გაჩარხა; არტელს შემოსავალი დამაკმაყოფილებელი და რიგიანი ჰქონდა. არტელის ხელწასულმა წევრებმა, როცა ეს დაინახეს, იფიქრეს აწი მარტო, უგიორგოთ ჩვენც აღარა გვიჭირსო. ეს რომ შორს გამჭვრეტმა და ნაზი გულის პატრონმა გიორგიმ გაიგო, იმ წამსვე არტელს თავი მიანება და იქაურობას გაშორდა... 1890 წლის განმავლობაში ბათომიდან გიორგი მონაწილეობას იღებდა ჟურნალ «ჯეჯილში», სადაც იგი წერდა ისტორიულ მოთხრობებს (ჩვენი ძველი გმირები). 1891 წელს გიორგი თავისი შვილებით ქუთაისიდან თბილისში გადმოსახლდა და აქ მეორედ დაქორწინდა პოეტ მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის ასულზე, საქართველოში ცნობილ მოღვაწე-ანასტასიაზე. ამავე წელს, გიორგიმ განიზრახა ქართული ჟურნალის დაარსება. მისმა მეუღლემ ანასტასიამ, რომელიც 1890 წლიდან საყმაწვილო ჟურნალს «ჯეჯილს» სტამბავდა, 1893 წელს ყოველკვირეული ჟურნალი «კვალი» დააარსა და გიორგიმაც ძველებური ენეგიით და ტალანტით მოკიდა ხელი ლიტერატურულ შრომას და გამოცდილმა არწივმა ღონივრად ფრთებიც გაშალა... უკვე მოგეხსენებათ, თუ რა ღრმა და ძლიერი კვალი გაავლო «კვალმა» ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებას... მან შეაერთა და ერთად თავი მოუყარა ისეთ ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს, რომელთაც შექმნეს ახალი მკითხველების წრე, ახალი გუნდი მოღვაწეებისა და ასპარეზზე გამოიყვანეს სრულიად ახალი დასი, რომელმაც დაიჭირა მეთაურობის როლი ჩვენს მწერლობაში და მთლად ქართლოსიანთა ერის ცხოვრებაშიაც. 1892 წელს გიორგი აირჩიეს ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრად. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გიორგიმ ენერგიულად მოკიდა ხელი მთა-მადნების საქმეს ზემო იმერეთში, _ ჭალის მთაში. ჭალის მთაში წარმოების დაწყებით გიორგი ცდილობდა ხალხის ქონებრივად წინ წაწევას, რადგანაც სულ ხშირად იცოდა ამის თქმა: სანამ ჩვენი ხალხი ქონებრივად ცოტათი არ მომჯობინდება, სურვილიც რომ დაებადოს, მაინც ვერ დაწინაურდება გონებრივად. ამ საქმისათვის, და მართლაც,

ძალიან დიდი საქმისათვის მოსვენებაც არ ქონდა გიორგის. იგი ხშირად რუსეთში მიდიოდა, ხან ჭალის მთაში ამოყოფდა თავს თოვლიან და ყინულიან ზამთრის პირზე, დაყავდა სპეციალისტები მადნების საკვლევად და სხვა. გიორგი დაასნეულა ასეთმა თავდადებულმა შრომამ, უდროოდ ბოლოც მოეღო ამ შესანიშნავი კაცის ყოველიფრად დიდსა და მდიდარ ცხოვრებას.

გიორგი წერეთელი ქართული თეატრის აყვავების საქმესაც გულმხურვალედ ემსახურებოდა: პიესებსაც წერდა და ქართულ სცენაზეც თამაშობდა ხოლმე. გიორგის ლიტერატურული შრომა ძლიერ მრავალგვარი და მრავალფეროვანი იყო. იგი წერდა ლექსებს, პატარა სალირიკო ლექსებს და დიდ პოემებსაც, მოთხრობებსაც და რომანებსაც, სცენებსაც და დრამებსაც, სახუმარო გა-სართობებსაც და ფელეტონებსაც, არაკებსაც და სხვადასხვა ამბებსაც. პოლემიკურ და კრიტიკულ სტატიებსაც, ისტორიულს და არქეოლოგიურს წერილებსაც, პოლიტიკურსა და საბუ-ნებისმეტყველო წერილებსაც, ფილოლოგიურ და გრამატიკულ გამოკვლევებს, მოგზაურობასა და სხვა მემუარებსაც, ქართულადაც და რუსულადაც (იგი მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების წევრი იყო და ხშირადაც ათავსებდა ამ საზოგადოების გამოცემებში დიდად საყურადღებო გამოკვლევებს). უძლიერესი ტალანტი ქონდა მინიჭებული ბელეტრისტულ შემოქმედებაში და აქ მან ქართულ ლიტერატურას ღრმა კვალიც გაავლო. რეალურ (სიმბოლისტურ მიმართულებას) ქართულ ლიტერატურაში მან გაუკვლია გზა და ფესვებიც მჭიდროდ გაადგმევია1.

აი, რა დიდი ღვაწლით მოსილი მწერალი-მოქალაქე დაკარგა საქართველომ 1900 წლის 12 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე და 16 წუთზე. გიორგი დაკრძალულ იქნა 16 იანვარს დიდუბის ეკლესიის გალავანში დიდის ამბით.

3

ხელოვნების **ნამდვილ რეალურ გზაზე** საქართველოში იმ თავითვე დადგა გიორგი წერეთელი, რომლის სიტყვაკაზმულ ნაწერებში უმეტნაკლებოდ, დიდი სიცოცხლით დაიხატა, ფართეთ გაიშალა და დასურათდა ქართველთა ცხოვრების ახალი ვითარების თვისებანი და უცნობი მხარენი. ამ ბელეტრისტის პირველმა ნაწერებმა: «მგზავრის წიგნებმა» და «ჩვენი ცხოვრების ყვავილმა», ახალგაზრდა მწერალს ჯერ კიდევ მაშინვე რომანტიზმის უარის-მყოფელის სახელი გაუთქვა. ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა გასაოცარი სინამდვილით, ცოცხლათ არი დახატული.

ეს შესანიშნავი ნაწარმოები წარჩინებული ტალანტის მქონი მხატვრის ნაწარმოებია. კიკოლიკი სრული და ჭეშმარიტი, მასთან ცოცხალი თანამედროვე ტიპია იმ ერთი რიგი ინტელიგენციისა, რომელიც ლოგიკურად მოყვა ახალს, ბატონყმობა რომ გადავარდა, მას შემდეგ ჩვენში დატრიალებულ ცხოვრებას. და ჩვენს ვითარებაში ამ კიკოლიკის კატეგორიის ინტელიგენტებმა, - როგორც ამას ამბობს თვით ავტორიც, _კიდეც მოიკიდეს ფეხიც და გაიმარჯვეს ცხოვრებაში. შესანიშნავია, რომ ჩვენი ბელეტრისტი, ვით შეშვენის ყოველ ფხიზელსა და ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს, რომელიც მთელი თავისი ტემპერამენტითა და არსებით გატაცებულია მრავალგვარ საიმედო უმაღლესი სურვილებითა და სამერმისო იდეალებით, აღარ ზოგავს კიკოლიკს, ამ ნამდვილსა და ჭეშმარიტ გამომხატველს ახალგაზრდა ბურჟუაზიისას; დაცინის და თავისი ჩვეულებრივი მწარე სატირით ახასიათებს მას. ავტორი, მოგახსენებთ, იმ თავითვე დაადგა ხელოვნების რეალური მიმარ-თულების გზას... ეს მიმართულება ჩვენი ბელეტრისტისა უფრო

განმტკიცდა და გაღრმავდა მას შემდეგ, რაც იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა. მას მერმე ჟურნალ‘«კრებულს», რომელმაც ჩვენი დემოკრატიის სულიერ ვითარებაში დიდი როლი ითამაშა თავის დროს, დიდ ხანსაც აღარ უცოცხლია. სწორედ ამ დროს ევროპაში ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტი შეესწრო და პირდაპირ მოწმეც შეიქნა იმ დიადი და ნაყოფიერი მოძრაობისა, როდესაც‘«რუგონ-მაკარების» ავტორის სახელგანთქმული ემ. ზოლას თითოეული ახალი ნაწარმოები ერთ უშველებელ ქარიშხალს ტეხდა ხოლმე მთელ მსოფლიო ლიტერატურაში. ემილ ზოლას გენიოსობამ შესანიშნავი, დიდი და ღრმა კვალი გაავლო მთელ საზოგადო ლიტერატურის ისტორიას და იგი შეიქნა მოციქული ახალი, ძლიერი და ნაყოფიერი მიმართულებისა.

ქართველ ახალგაზრდა ბელეტრისტს მომადლებული ქონდა დასავლეთის საქართველოს შვილის მკვირცხლი, დაკვირვებული და ცოცხალი ნიჭი; ამასთანვე იყო გემოგახსნილი და კარგად მომზადებული, განვითარებული ლიტერატორიცა. ჯერ წინათვე ბალზაკის და ფლობერის რომანებით აღზრდილი რეალურს ნიადაგზე უფრო ძლიერად გაიტაცა ზოლამ და საქართველოში დაბრუნებისთანავე იგი შეუდგა იმ ცხოვრების საფუძვლიანად დაკვირვებასა და მტკიცედ შესწავლას, რომელიც მომავალში უნდა გამხდარიყო მასალად იმის შემოქმედებითი ნიჭის გარჯა-მოღვაწეობისა.

მართლაც, გ. წერეთელმა გაიცნო ისე დაახლოებით ყოველი კუთხე საქართველოს დასავლეთისა, ისე ზედმიწევნით შეისწავლა იგი, რომ მას, თამამად შემიძლია ვთქვა, ამ მხრით არ ყავდა ბადალი არც ერთ ჩვენს მწერალთა შორის. აი, ყველა ამ გარემოებას თან მოყვა გ. წერეთლის მეტად შესანიშნავი ნაწარმოებნი: «საჩინო», «ედიშერ ქელბაქიანი»,‘«მამიდა ასმათი», «რუხი მგელი» და რომანი‘«პირველი ნაბიჯი».

უნდა ვთქვა, რომ თავის მოთხრობათა ხელოვნურად გაშვენიერება-გამოჩარხვაში, ცხოვრების სინამდვილით, უმეტ-ნაკლებო და შეუფერავ გამოხატვაში, მოქმედ პირთა სულის მისწრაფებით და გულისთქმათა დახასიათება-გამოქანდაკებაში გ.წერეთელი, ვითარცა ბელეტრისტი, შეუდარებელია მთელ აწინდელ ქართულ ლიტერატურაში. ეს არის მიზეზი, რომ იმის ნაწერების წაკითხვას, ყოველთვის ძლიერი და ხანგრძლივი შთაბეჭდილება და ზემოქმედება მოსდევს ხოლმე. გ. წერეთელი, ვითარცა მწერალი, გულდამშვიდებული სკეპტიკია. იმისი ძლიერი ნიჭი ხშირად ისვრის ხოლმე მწარე ირონიისა და სარკაზმის ნაპერწკლებს. გიორგი წერეთელი, როგორც ვთქვი, ხატავს დასავლეთ საქართველოს შვილთა ცხოვრებას, რომელიც ღირსია და უნდა გახდეს საგანი უფრო ვრცელი და დიდი, ცალკე კრიტიკული სტატიისა...

4

გ. წერეთელი ჩემი ყმაწვილობის დროის ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალთაგანია. თუ მახსოვრობა არა მღალატობს, სასწავლებლის მეორე, თუ მესამე კლასში ვსწავლობდი, მისი მოთხრობა‘«ჩვენი ცხოვრების ყვავილი» რომ წავიკითხე. ეს მოთხრობა დასტამბული იყო მაშინდელ ჟურნალ‘«კრებულში».

ეს მოთხრობა შემიყვარდა პატარაობიდანვე. ალბათ, იმიტომ უფრო, რომ იქ მხატვრულად აწერილია მოწაფის ცხოვრება, ამასთანავე ახლო ნაცნობი, მშობელი ქვეყნის _ ქუთაისისა, მდ. რიონის და მისი მშვენიერი არემარის. განსაკუთრებით შემიყვარდა მოთხრობის გმირი დიტო. ავტორს იგი ჰყავს აწერილი ისეთი

სიტყვებით, ისეთი ძლიერი სტილით, რომ მან საუკუნოთ შემაყვარა ქართული წიგნი და თვით სიცოცხლეც.

გიორგი წერეთელი, ვითარცა რეალისტ-ბელეტრისტი, ჩვენი ცხოვრების ერთი დიდი კომენტატორია. და აქაც, ახლადგამოცემულ ნაწერებშიაც, სახელდობრ‘«**მგზავრის წერილებში**»,‘**«პირველ ნაბიჯში»,‘«მამიდა ასმათს» და‘«რუხ მგელში»** დიდი ანალიზით შეიარაღებული აზრებისა და განცდათა მხატვარია და გზადაგზა ძლიერადაც ანათებს და დაკვესილ ნაპერწკლებს ირგვლივ ჩინჩხლებათ ისვრის. წერის მანერისა და სტილისა გარდა, ავტორს მეთოდიც საოცარი მიმზიდველი და გამომეტყველ-დამტყვევებელი აქვს.

გ.წერეთელი საგანს რომ ხელს მოკიდებს, არ მოეშვება მანამდის, სანამ სულ არ ამოსწურავს. იგი ყოვლის მხრით თავს მოუვლის და გააშუქებს საგანს, მდიდარი აზრებითა და გრძნობებით ცოცხლად დაგიხატავთ და ამით ისე მიგიზიდავთ და გაგიტაცებთ, რომ თქვენც ძალაუნებურად ემორჩილებით ამ ნაზი და პირმცინარე იუმორით სავსე ტალანტის შემოქმედებას. გ. წერეთელი ამ ბელეტრისტულ ნაწერებშიაც, სწორედ ისეთივე ისტორიკოსი და ბუნების მეტყველია, როგორც სხვა ნაწერებშიაც, სადაც ჯდომაც, მეცა-დინეობაც და შემოქმედების ძალის თავისუფლად მოხმარებაც დიდხანს და ნიჭიერადაც შეუძლია.

ავტორს ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნების ყოველი ნაკვეთი მხატვრულად აქვს აღწერილი. მას არ გამოპარვია დასავლეთ საქართველოს არცერთი თვალსაჩინო მთა-ბარი, ხეობა, მდინარე და ხევიც; მცხოვრებლების ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ქართული ენის გამოთქმა და ყოფა-ქცევა, მთელი იმ დიდი არემარის ჭირი და ლხინი, სიხარული, სიყვარული, ბედნიერება და გაზაფხული აწერილია გზადაგზა‘«მგზავრის წერილების» პირველ ნაწილში. აგერ, ამ წამს ეს მწერალი თქვენი თვალის წინ ხატავს დიდი მთებიდან საშინლად მოღრიალე, მჩქეფარე მდინარეს ათასნაირი ვარდ-ყვავილებით, ტყე-ბუჩქებით, ნაძვითა და ფიჭვით... საოცნებოდ ზურმუხტის ფერად ამ ედემს მაღლიდან გადაფარებია სამხრეთის ცის უმშვენიერესი ლაჟვარდი. ეს არის კლასიკური კოლხიდა, სადაც ხარობს დაფნა, ფორთოხალი, ზეთის ხილი, მწიფდება ლეღვი, ბია (კომში), სხვადასხვა ყურძენი და გურიის საუცხოო თაფლიც მოდის...

როგორც ეს მდიდარი კლასიკური კოლხიდის ბუნება ახალისებს, აცქვიტებს ადამიანის ბუნებასა და არსებას, სწორეთ ისე გ. წერეთლის ბელეტრისტული ნაწერები ახალისებს, ასიამოვნებს და უტკბობს კაცს გრძნობა-გონებას, აფაქიზებს და აცოცხლებს მის სულსა და გულს, ათასნაირ პატიოსან და კეთილშობილ ფიქრებს აღძრავს მის არსებაში და იწვევს ლამაზი სიცოცხლის დაუშრეტელ სიყვარულს ამ განხორციელებული მშვენიერების ყურებითა და ცქერით.

არაფერი გადაჭარბებული, ზომიერებას გადაცილებული ამ აღწერილობაში არ არის. ახლა ნახეთ აქ წვრილად გაწკიპული ულვაშებიანი აზნაური, გახრეკილ ცხენზე მჯდომარე კუდაბზიკა. ეს კუდაბზიკა ნამდვილი შესანიშნავი ტიპია, რომელიც ევროპის კლასიკოს მწერალთა შემოქმედების ნაწრთობს მოგაგონებთ.

კუდაბზიკა თითქოს ეპიზოდური ფიგურაა, გაიფიქრებს მკითხველი. იგი ჭირდება ავტორს ნაწარმოების ფაბულისათვის. გ. წერეთლისათვის იგი ფრიად საჭირო, თითქმის არსებითი ფიგურაა, რომ უფრო ღრმა და ძლიერი კოლორიტებით გაარკვიოს თავისი ნაწარმოების საგანი, დახატოს თავისი ნაწერის გმირები სრულად, «კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა» მგზავრის წერილების სახით იწერება და პირველ ნაწილში ავტორი ხატავს ბატონყმობის გაუქმების

დროის სურათებს. ასეთი დიდი ფაქტებით ჩვენი მაშინდელი ცხოვრების სინამდვილე დიდ მასალას იძლეოდა.

«მგზავრის წერილების» მეორე ნაწილში ავტორს გან-საკუთრებული ძლიერებით ყავს დახატული კიკოლიკი, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში ერთ დროს დიდი როლი ითამაშა. ეს ნაწილი გაცხოველებულია კიკოლიკის სტუდენტობის დროის ცხოვრების აღწერით, უნივერსიტეტის სტუდენტთა ბაასებითა და კამათით მეცნიერების სარგებლობაზე, ხალხის სამსახურისათვის თავის დადებაზე, გარიბალდის და გარიბალდელების საარაკო ისტორიულ, გმირულ თავგადასავალზე. გიორგის თან ავტობიოგრაფიული ცნობებიც შეაქვს: საქართველოში გაზეთ‘«დროების» და სტამბის დაარსებაზე, ამხანაგურად მოწყობილ საფუძველზე.

მოთხრობაში **«მამიდა ასმათი»** ავტორი სიმბოლურად ხატავს დაქვრივებულ ლიხი-იმერეთის მანდილოსნის გაუხარელ ცხოვრებას. აქ, ამ ნაწერში, მან მოგვცა ერთიანი, მთლიანი, წმინდა ობიექტური მხატვრული სიმართლე, სადაც არ ჩანს ტენდენციის ნასახიც კი. გ. წერეთლის ეს ნაწარმოებიც ძლიერი ქართული სტილით არის დაწერილი და ამიტომაც ილია ჭავჭავაძემ იგი გაზეთ‘«ივერიის» პრემიათ გამოცა გაზეთში დაბეჭდვისთანავე.

მოთხრობაში **«რუხი მგელი»** მხატვრულად აღწერილია მდიდარი ჭალის მთის მონაწილეთა ახირებულობა და ოინები. ამ ოინების მსხვერპლი შეიქნენ სამსონ ჯიბიაშვილი და ავთანდილ კვიმატაძე, რომელნიც ავტორს დიდი სარკაზმით ყავს აწერილი...

რაც შეეხება რომანს _ **«პირველ ნაბიჯს».** ეს კი შეიცავს ერთ დიდ საერთო საკაცობრიო დრამატულ პოემას, რომლის მდიდარი მშვენიერი სტილი ქართული ხელოვნების მწვერვალზეა აყვანილი და სიტკბოების ნეტარების წყაროს წარმოადგენს. ბახვა ფულავა და ერემია წარბა ტიპებია, რომელთა თავგადასავალი, ტრაგიზმი, ჭეშმარიტად, დიდად წარუხოცველ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველის გულში.

ეს რომანი ლიტერატურულად კარგად არის დამუშავებული და გ. წერეთლის ბელეტრისტულ ნაწერებს შორის ბრწყინვალე გვირგვინათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ტიპები _ ბახვა ფულავა და ერემია წარბა ძლიერად, საუცხოოდ დახატულნი არიან და მათი სულის მოძრაობაც, ცხოვრების კონტრასტებიც ზედმიწევნით აქვს გადმოცემული. ჩვენმა უკვდავმა ავტორმა გამოიჩინა დიდი ტემპერამენტი და ფსიქოლოგიური სიმართლეც. ამ რომანში ავტორს არ ეტყობა არსად დაჩქარება, თითოეულ ნაკვეთს დიდად დამუშავებულს გვაძლევს. ავტორის ობიექტივიზმი აქ საოცარია და მხატვრული ზომიერება ყველგან დაცულია და ამიტომაც ეს ნაწარმოები1 ძალიან გვიადვილებს გიორგი წერეთლის შემოქმედებითი ტალანტის გაგებას და შე-ფასებას.

და გაზეთის ფარგალი განძრევის ნებას რომ მაძლევდეს, აქვე ვრცლად გავშლიდი დიდ კრიტიკულ სტატიას ამ ტიპების ასახსნელათაც. ავტორის მხატვრული კალამი აქ დიდად ნაყოფიერია და ისეთი სიამის მომგვრელი და სანეტარო, ვით პაპანაქება სიცხეში მაღალი მთების მწვერვალებიდან დაძრული გრილი ნიავი.

საერთოდ, გ. წერეთლის ყველა ბელეტრისტულ ნაწერებს მეტად ტკბილი, ცოცხალი, ძლიერი და ღრმა გამოხატულება და აზრი აქვს და ისინი ერთ დიდ, განუყრელ, ათასფეროვან, მშვენიერ ყვავილთა კონას, ვარდების ერთ დიდებულ

თაიგულს წარმოადგენენ. ყველა ეს ნაწარმოებნი და აქ გამოხატული სახე-სურათები ერთი მეორის ზედმიყოლებით ერთი დიადი რეალისტური შემოქმედებით არიან გაშუქებული და ადამიანის გრძნობა-გონებაში ღრმად და ძლიერადაც იჭრებიან, როგორც ერთი მთლიანი, დასრულებული, განუყოფელი, მდიდარი და სასიამოვნო საკითხავი ქართული წიგნი.

აი, ეს არის სწორედ ის სასწაული და დიდი საიდუმლოებაც, რომელიც უხვად აქვს მინიჭებული ნამდვილ და ჭეშმარიტ, პირმცინარე, ნაზი იუმორით სავსე ბელეტრისტ-მხატვარს...

გიორგი წერეთელს ბელეტრისტულ ნაწარმოებში გამოხატული ყავს უბრალო, სადა ადამიანის შვილები (ბახვა თხების მწყემსი იყო პატარაობისას და იმის წკრიალა ხმას თეკლათის უზარმაზარი წიფლნარით შემოსილი სერები ბანს აყოლებდნენ). რომანტიკოსი მწერალივით, ჩვენი ბელეტრისტი არ ეტანება არაჩვეულებრივი, იშვიათი ადამიანის, ბუმბერაზების ნაწარმოებში გამოხატვას. ლიტერატურაში არც საჭიროა ამგვარი ადამიანების გამოხატვა და იგი ზედმეტად მიმაჩნია... რატომ? იმიტომ, რომ არაჩვე-ულებრივი, იშვიათი ადამიანივით ვერ მოიქცევა და ვერ იცხოვრებს ჩვეულებრივი, ჩვენგვარი ადამიანი. პირველს სხვაგვარი ფსიხიკა და ტემპერამენტი აქვს და ჩვენ კიდევ სხვა. ჩვენ უფრო და გარდამეტებით ერთი მეორეს ვგავართ და, ამიტომაც ვინმე ჩვენგანის ლიტერატურაში გამოხატვა უფრო გვიზიდავს, გვაინტერესებს და გვიტაცებს, ვიდრე რჩეული, დიდი და მიუწვდომელი ბუნების და სახიათის ადამიანის გამოხატვა და მისი ცხოვრების თუნდ დიდი ხელოვნებით აწერა.

ამიტომაც, რეალიზმი გაცილებით უფრო ახლოა ჩვენზე, ვიდრე იდეალიზმი და რომანტიზმი. რასაკვირველია, ცხოვრების გამოხატვა ყოველი ლიტერატურული სკოლის მწერალს შეუძლია და რეალიზმი (სიმბოლიზმი) არა ქმნის მწერალს მხატვრად. მწერალს მხატვრად ქმნის მხოლოდ და მარტო შემოქმედებითი ტალანტი, მადლი, რომლითაც დასაჩუქრებულია იგი. ვინც მოკლებულია ამ მადლს, იგი ვერ შექმნის ნამდვილ, ჭეშმარიტ ხელოვნურ ნაწარმოებს, რაც არ უნდა კეთილი, პატიოსანი აზრები და იდეალები გაიხადოს თავისი მწერლობის მიზნად...

დასასრულ, უნდა ვუსაყვედურო ჩვენს მხცოვანს და დიდად მოღვაწე საზოგადოებას, რომ გიორგი წერეთლის ნაწერებს დართული არ აქვს ავტორის არა თუ ვრცელი ბიოგრაფია, უბრალო მოკლე აღწერაც კი იმისი ეკლიანი და მასთან მდიდარი ცხოვრებისა. ამ ნაწერებს წინ არ მიუძღვის, აგრეთვე, არც ვრცელი კრიტიკული შეფასება...

1922 წ.

ვაჟა-ფშაველა

დიდად სამწუხარო, გულის მომკვლელი ამბავი მოვიდა თბი-ლისიდან. იქ, ვერაზე, წმ. ნინოს საავადმყოფოში 27 ივლისს, ორშაბათს, საღამოს შვიდ საათზე, გარდაიცვალა ჯერ სრულიად ვაჟკაცი, ნიჭიერი ქართველი მწერალი _ ბელეტრისტი და ნამდვილი, ჭეშმარიტი ხალხური პოეტი ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა საუკეთესო შვილია იმ ფშაველებისა, რომელნიც ბინად-რობენ მდ. არაგვის ერთი ნაკადის გარშემო მთებში. იქაურს ქალსა და ვაჟს, როგორც გამიგონია ილიასა და ნიკო ხიზანიშვილისაგან, ლექსების თქმა ძალიან ემარჯვებათ. ვაჟას მამა და დედის ძმაც (ბიძა) მოლექსენი იყვენ. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პავლეს (ვაჟას მამა) შვილებს თითქმის ყველას ძალიან ემარჯვებოდათ ლექსების წერა და ვაჟას ორი ძმა _ ბაჩანა (ნიკო) და თედო ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო პოეტებიც არიან.

ამათ შორის, საქვეყნო სახელი და დაფნის გვირგვინიც ვაჟას ხვდა წილად თვისი ენერგიული და ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობისთვის.

ამავე დროს, ვაჟა «ახალგაზრდა საქართველოს» შვილია, აღზრდილი ილიაზე და აკაკიზე, რომელთაც‘«მამული ღვთად» ქონდათ საქვეყნოდ აღიარებული.

«ხარს ვგავარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! _
მძინარეც ამას ვდუდუნებ».

ვაჟა-ფშაველა ქართულ მწერლობაში სიმბოლისტათ არის ცნობილი, მაგრამ ამ სიმბოლიურ პოეზიას დიდი ახსნა და გარკვევა უნდა ჩვენში.

ვაჟა-ფშაველამ თავისი პროზით და ლექსებით გააცოცხლა მთის არე-მარე, იქაური ადამიანები, ცხოველები და მცენარენი. ყველა მათდამი სიმპატია და სიყვარული უდიდესი, ღრმა და ნაზი გრძნობით აქვს პოეტს გამოხატული.

ვაჟა-ფშაველა იმდენად ლირიკოსი არ არის, რამდენადაც ეპიკოსი. ვაჟა საქართველოში პირველი ეპიკოსია, რომელმაც ცხოვლად დახატა მთიელთა, თუშ-ფშავ-ხევსურთა გმირობა და მთელი თავგადასავალი.

ვაჟა-ფშაველა დაიბადა, აღიზარდა და ცხოვრობდა ამ ჩვენებურ მთიელთა შორის. იგი პირისპირ, განუშორებლათ განიცდიდა იმ გმირთა ყოველდღიურ ცხოვრებას, რომლის ნიჭიერი პოეტი და აღმწერიც შეიქნა იგი ჩვენს ახალ ლიტერატურაში. ამიტომაც, მას არ განუცდია, სხვა ახლანდელ მწერალ-პოეტებივით, პირდაპირი მიმბაძველობა და რომელიმე ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული სკოლის მოწაფეობა. სწორედ ამაში, ამ ორიგინალობაში არის იმისი ღვაწლი და დამსახურებაც.

მოგეხსენებათ, ქართველი ერის იმ თემმა, სადაც დაიბადა ვაჟა-ფშაველა, დღესაც არ იცის, თუ რა არის წოდება.

იქ ძველის-ძველი, უწოდებრივო, მწყემსებისა და მონადირეთა ცხოვრება დღემდე უნაკლოდ შენახულა, იდილიური ელფერით შემოსილა; ძველი თემობა დღესაც არ დაშლილა და ყოველი ადამიანი, ქალია იგი, თუ ვაჟკაცი, თვით დარაჯობს თვის პირად სიცოცხლეს და ქონებას.

მე მყავდა ამხანაგები: თუში _ დათიკო ქადაგიძე და ლეო ცისკარიშვილი. ამათზე გამბედავი, მამაცი და ნიჭიერი ყმაწვილები აღარ შემხვედრია ჩემ სიცოცხლეში...

სწორედ ასეთი იყო ჩვენი უკვდავი ვაჟაც. და, აი, ასეთი განუყოფელი, მთელი ბუნების და ხასიათის ადამიანი შეიქნა ბუნებრივად ჩვენი ეპოსის მამამთავარი, _‘«მთის არწივი» ვაჟა, როგორც მას სამართლიანად უწოდებენ.

ვაჟა-ფშაველა პირისპირ, მოუშორებლად ხედავდა იმ ცხოვრებას, რასაც ხატავდა და ერთ წუთსაც ვერ მოაშორებდა თვალს ამ ცხოვრებას, რომ არ ეგრძნო‘«სულით ობლობა» და სიკვდილი.

თვით სიკვდილის ჟამს, საავადმყოფოში კიდეც უთხრა, თურმე, სათნოების დას: თუ ღმერთი გწამს, ლოგინი იატაკზე გამიშალე და გარშემო ყავავილები დამაყარეთ. იქნებ, მაშინ მაინც წარ-მოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთაო.

აი, ასეთი ადამიანი გარდიიცვალა ასე უდროოდ. საუკეთესო მკურნალების შემოწმებითაც, ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა, რომელმაც მას ბოლო მოუღო, თურმე ცხრა-ათი წელიწადი ქონია ტანში გამჯდარი და, უსახსრობისა გამო, ვერ მოეხერხებინა თბილისს ჩამოსვლა და წესიერი წამლობა.

სწორედ აქ არის უშველებელი ტრაგიზმი ჩვენი გამწარებული სულისა, რომელიც აქ... «ვერ გამომითქვამს ენითა».

ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი) ფშავეთში, სოფელ ჩარგალში დაიბადა 1861 წელს. მამა იმისი პავლე რაზიკაშვილი, ჯერ მედავითნე იყო, მერე მთავრად აკურთხეს და, ბოლოს, ღვდლობაც მიიღო და თავის სოფელ ჩარგალში გაამწესეს.

პავლე ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, მწიგნობრობის მოყვარული. დედაც ნიჭიერი მანდილოსანი იყო; მრავლის უმრავლესი ხალხური ფშავური ლექსები ზეპირათ იცოდა და მას‘«ვეფხისტყაოსნის» კითხვაც დიდად ყვარებია.

პავლეს უფროსი ვაჟი, გიორგი სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იგი აცვიფრებდა ყველას თვისი ცოცხალი ნიჭითა და სიმამაცით. გიორგი, როგორც ბ-ნი გრ. ყიფშიძე წერს («სახალხო ფურცელი», [1] 348) საკმაოდ განვითარებული იყო მრავალი წიგნების კითხვით და რუსთა და ევროპული ლი-ტერატურაც შესწავლილი ქონებია. აი, ამ ოჯახში მიმდინარეობდა აღზრდა და განვითარება ვაჟასი.

მამამ მეორე ვაჟი _ ლუკა (ვაჟა-ფშაველა) სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. მაგრამ ლუკამ მეორე კლასიდანვე მიანება მას თავი და ახლად გახსნილ გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა, როცა განსვენებული, კეთილშობილი კაცი _ სემიონოვი იყო იქ დირექტორად. ამ სემინარიაშივე ასწავლიდა ქართულ ლიტე-რატურას განსვენებული არისტო ვასილის ძე ქუთათელაძე, ნაზი და სპეტაკი ბუნების პატრონი, ღრმა მამულიშვილი, რომელიც ვაჟას აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

ვაჟა-ფშაველამ საოსტატო სემინარიის კურსი ოთხი წლის განმავლობაში დაასრულა და მასწავლებლად დაინიშნა თავის სოფელ ჩარგალში, სადაც ქრისტიანობის აღმდგენელმა საზო-გადოებამ პირველ დაწყებითი სკოლა დააარსა.

მაგრამ ვაჟამ მასწავლებლობას თავი ვერ დაუდვა და პეტ-როგრადს გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად. აქ იგი გულმხურვალედაც დაეწაფა სერიოზული სწავლის მიღებას, გაიცნო გერბერტ სპენსერის, მაქ. კავალევსკის თხზულებანი, აგრეთვე ისმენდა სახელოვანი პროფესორების ლექციებსაც. სოფლის ღარიბი ღვდლის შვილი ნივთიერმა ხელმოკლეობამ აიძულა მიეტოვებინა უნივერსიტეტი, საყვარელი სტუდენტობა და საქართველოში ჩამოსულიყო. აქ მან მალე მიიღო ადგილი შინაური მასწავლებლისა ერთ კერძო ოჯახში ქართლისკენ. ამ მშვენიერ, მდიდარ ქართლში შეირთო მან მეუღლე და ოჯახობას მოეკიდა.

1885 წ. ვაჟა-ფშაველა ქ. შ. წ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში, სოფ. თონეთს, მანგლისის მახლობლად, დანიშნეს მასწავლებლად. ჩქარა

მასწავლებლობას სულაც მიანება თავი და, დედ-მამით დაობლებული, სამუდამოდ დაბინავდა ცოლ-შვილით სოფელ ჩარგალში.

თავის სამშობლო სოფელში იგი ცხოვრობდა ისე უბრალოდ, როგორც მისივე მეზობლები, ფშაველები, მისდევდა მეურნეობას და სამწერლო ასპარეზზედაც მუშაობდა ნაყოფიერად. ხანდახან თბილისს ჩამოხედავდა და თავის ახალ ნაწერებს ქართულ რედაქციებს მიუტანდა ძღვნად და ფეშქაშად...

ვაჟა-ფშაველას ავტობიოგრაფიული ცნობიდან ჩანს, რომ მას შეგირდობაშივე დაუწყია წერა 1877-78 წლებში, გაზ. «დროებაში». დაუწერია აქ კორესპოდენცია. ლექსების წერა კი დაიწყო 1880-81 წ. წ. ჟურნალ'«იმედში». ამ ჟურნალში დაისტამბა ორი იმის ლექსი: «დროება» და'«ყარსის ბოლოს».

ნიჭიერი მწერლის სახელი მან მოიხვეჭა 1884 წ., როცა საყმაწვილო ჟურნალ «ნობათში» დაისტამბა მისი ნაწარმოები «შვლის ნუკრის ნაამბობი».

როცა მთელ საქართველოში მარტო ერთადერთი გაზეთი «ივერია» ისტამბებოდა, ვაჟა-ფშაველას ჩვენ ვხედავთ ამ გაზეთში მომუშავეს. ხელმძღვანელი ამ გაზეთისა, დიდი მამამთავარი ქართული ახალი ლიტერატურისა, დიდი ქებით იხსენიებდა ვაჟას პოემებს, სადაც დახატული იყო მთიელთა გმირობა და თავ-გადასავალი. ილია, ისე ღრმად იყო დარწმუნებული ვაჟას პოეტური ტალანტის დიადობაში, რომ სიტყვის შებრუნება არ ხერხდებოდა მასთან... ილიას დიდი ქებით ვაჟას ტალანტის მოხსენიებამ ის სარგებლობა მოუტანა ვაჟასაც და ქართულ მწერლობასაც, რომ ვაჟა ამ გარემოებამ დიდი ხალისით და იმედით აამუშავა და ხალისი წერისა თითქმის გაუათკეცა იმ კაცს, რომელიც მიყრუებულ მთებში იყო გადავარდნილი და მიწის მუშაობას მისდევდა.

ილიამ გასამხნევებლად ჰონორარიც კი დაუნიშნა ვაჟა-ფშაველას და სტრიქონობით აძლევდა რედაქცია ჯილდოს, როგორც პროზის, ისე ლექსისთვის. პირველად სტრიქონში სამ-სამ კაპიკს აძლევდა, შემდეგ ჰონორარი გადიდებულ იქნა და ლექსებში შაური ეძლეოდა. ბოლოს ეგ ჰონორარი თვიურ ჯამაგირად გაუხადა ილიამ და თვეში ოცდახუთი მანეთი დაუნიშნა.

თუ არ ვცდები, ვაჟა-ფშაველა იყო ერთადერთი მწერალი, რომელსაც ამ პირობებში ეძლეოდა ჯამაგირი.

ახლა ადვილად წარმოიდგენთ, პატიოსანი, თავმოყვარე, ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი თუ რატომ იყო გაუტეხელი, დაუზარებელი და თავდადებული ქართული მწერლობისთვის და ჩვენ ამას უნდა ვუმადლოდეთ ილიას, და მხოლოთ მარტო ილიას...

მე, რასაკვირველია, დღესაც არ ვიზიარებ ჩვენი პატივცემული კრიტიკოს-ლიტერატორების აზრს, რომ ვაჟა უდიდესი **ეროვნული მგოსანია.** მაგრამ სხვაზე ნაკლებაც არ ვიცი, რომ იგი ფრიად თვალსაჩინო ბელეტრისტი იყო ჩვენი საყმაწვილო ლიტერა-ტურისათვის და **ხალხური მგოსანი**, რომელიც შეიქნა ქართული ეპოსის მამამთავარი.

ვაჟა-ფშაველა წერდა პატარა ზომის ლექსებს _ სიმღერებს, წერდა დიდ პოემებსაც და საბავშვო მოთხრობებს; აგრეთვე წერდა წერილებს მთიელთა ზნე-ჩვეულებათა შესახებ. მაგრამ, ვიმეორებ, ვაჟა-ფშაველა შესანიშნავია, როგორც ხალხური მგოსანი-ეპიკოსი.

ვაჟა-ფშაველას ნაწერები ბლომადაა გაბნეული ქართულს ჟურნალ-გაზეთში; ცალკე გამოიცა «თხზულებანი», ერთი ტომი,'«საყმაწვილო მოთხრობანი», «ამოდის, ნათდება», «ცრემლები» (ლექსთა კრებული), «ბახტრიონი». «ბახტრიონს» გარდა,

უნდა მოვიხსენოთ, «გოგოთურ და აფშინა», «ეთერი», «სისხლის ძიება»,‘«ალუდა ქეთელაური», და განსაკუთრებით, «გველის მჭამელი».

ამ ოთხი თვის წინათ ვაჟა-ფშაველა სამკურნალოდ თბილისს ჩამოვიდა. ქართველმა საზოგადოებამ ისარგებლა ამ შემთხვევით და მას 35 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის პატივსაცემად, 23 მაისს, დღესასწაული გაუმართა. მას შემდეგ იგი მკურნალებმა დააწვინეს... პირველად იწვა თვისი უმცროსი ძმის _ სანდროს სახლში, მერე კი _ წმ. ნინოს საავადმყოფოში დააწვინეს. იგი იქ მოათავსეს საუკეთესო ოთახში, საუკეთესო ქართველი მკურნალნიც სწამლობდენ და დიდი მზრუნველობითაც უვლიდენ მას, მაგრამ ვეღარაფერმა ვეღარ უშველა. ვაჟა-ფშაველა მოკლა წყალმანკმა.

ვაჟას დარჩა დაქვრივებულ-დაობლებული ცოლ-შვილი, ორი ვაჟი: ლევანი და ვახტანგი და ორიც ქალიშვილი: თამარი და მარიამი.

მიცვალებულის ცხედარი წასვენებულ იქნა ქაშვეთის ტაძარში და 2 აგვისტოს, კვირას დიდუბის პანთეონში დიდის ამბითაც დაკრძალეს.

კვირას მიცვალებულის წირვა დაიწყო დილის 8 საათზე. მწირველი ბრძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ლეონიდი. თანამწირველებათ: გორის ეპისკოპოზი ანტონი, არქიმანდრიტები ნაზარი და პიროსი და ქართველი სამღვდელოება.

წირვის დროს, ქართველმა მწერალმა _ მანდილოსანმა ეკატერინე გაბაშვილმა კუბო შეამკო დაფნის გვირგვინით.

წირვის დროს, ეკლესიაში მობრძანდა საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმი, წესის აგებაში მონაწილეობის მისაღებათ.

გრძნობიარე, შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ. წირვის შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა ლეონიდმა.

წირვის შემდეგ მიცვალებულს წესი აუგო საქართველოს ეგზარხოსმა პიტირიმმა სამღვდელოთა თანამწირველობით.

წესის აგების შემდეგ, კუბო ქართველმა მოღვაწეებმა და მწერლებმა გალავანში გამოასვენეს, სადაც წარმოითქვა ორი სიტყვა. პირველად სიტყვა უთხრა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელმა ლუარსაბ ბოცვაძემ, მეორე სიტყვა წარმოთქვა ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა _ დათიკო ქადაგიძემ.

სწორედ შუადღის 12 საათზე, ქაშვეთის ტაძრის გალავნიდან სამგლოვიარო პროცესია, ზღვა ხალხის თანხლებით, გაემართა გოლოვინის პროსპექტით, ვერის ხიდით, მიხეილის ქუჩით და დიდუბეში მივიდა ორ საათზე. აქ საფლავზე სიტყვები წარმოთქვეს: დიდუბის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა მირიანაშვილმა, ღვდელმა კელენჯერიძემ, ქუთაისის დრამატ. საზოგადოების წარმომადგენელმა გრიგოლ ლაღიძემ, მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელმა, ბ-ნმა სულთანოვმა, ქართველ სტუდენტთა წარმომადგენელმა ვ.კოტეტიშვილმა, თბილისის ქართველ მუშათა წარმომადგენელმა ახმედ ბეგ პეპინოვმა. ჭიათურის ეროვნული ჯგუფის მუშათა სახელით ა. იოსელიანმა, ჭიათურისვე მუშათა მეორე ჯგუფის წარმომადგენელმა ბ-ნმა ხიზანიშვილმა, განსვენებულის ძმამ, მგოსანმა ბაჩანამ (ნიკო) და ვაჟა-ფშაველას ვაჟმა, ლევანმა უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვებით დაიტირა თავისი უსაყვარლესი მშობელი მამა.

ნაშუადღევს სამ საათზე ცხედარი მშობელი ქვეყნის დედამიწას მიაბარეს და საფლავი ყვავილებით მორთეს.

1915 წ.

<u>დ ა ვ ი თ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი</u>

როგორც ჩვენ აწინდელ პუბლიცისტიკაში, ისე თანამედროვე ქართულ ბელეტრისტიკაშიაც თავი იჩინა სხვადასხვა, მრავალგვარმა მიმართულებამ. თითოეულმა ამ მიმართულებათაგანმა წინ წამოგვიყენა ქართულ ლიტერატურაში თავისი საკუთარი წარ-მომადგენელი, და არც შემინიშნავს ჯერ-ჯერობით ის ამბავი, რომ ერთი მიმართულება სასტიკად და ძლიერად სდევნიდეს მეორეს და, რაც ღონე აქვს, ცდილობდეს ლიტერატურაში მეთაურობის დაჭერას და გაბატონებას. პირიქით, შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ასეთი მოვლინება ჯერჯერობით ჩვენში სრულიად წარ-მოუდგენელიც არის, რადგან არცერთს ამ ახლად მოვლინებულ მიმართულებათაგანს ცალ-ცალკე იმდენი ღონე და შეძლება არ მოეძებნება, რომ საუკუნოდ გაანადგუროს და მოსპოს სხვა დანარჩენი მიმარ-თულებანი და ერთ, თავის მიერ არჩეულ საკუთარ გზაზე დააყენოს ქართველთა გრძნობა-გონება.

ჩვენ, ქართველნი მაინც იდეურ (იდეების) სფეროებში არ ვვარგივართ და შესამჩნევ ბრძოლასაც ვერ გავწევთ აქ. ქართველი ფილოსოფოსი, როგორც მოგეხსენებათ ჯერ ისტორიამ არ იცის, რადგან ლოგიკური განვითარება იდეებისა არ განგვიცდია და არც გვაინტერესებს ჩვენ. წარსულში ხომ წარმოუდგენელიც იყო ჩვენი ასეთი მუშაობა, რადგან ჩვენ მუდამ მტრებს ვიგერიებდით და ჩვენს ადგილ-მამულს, ჩვენს საცხოვრებელს გმირულად ვიცავდით. ჩვენ არ მოგვეძებნება აზრის ის დიადი და განსაცვიფრებელი დისციპლინა, რომელიც საშუალო საუკუნოების სქოლასტიკამ მიანიჭა ევროპელთა ტვინს და, ამიტომაც, ჩვენში რა მიმართულებაც უნდა დაიბადოს, ჩვენ იმას მოვეკიდებით ძალიან უგულოდ, უღონოდ, უგრძნობლად და უჭკუოდაც, იმის დამკვიდრების, გამარჯვების გულისთვის ბრძოლას ვერ გავსწევთ, მრავალგვარ სახიფათო გზას ვერ გავივლით და გაჩენისთანავე ჩავკლავთ ხოლმე. ამ დამღუპველ მისწრაფებაში ჩვენ დიდ ვაჟკაცობას ვიჩენთ და, წარმოიდგინეთ, ვამაყობთ კიდეც ასეთი საზიზღარი საქციელით. ამიტომაც, გადაჭრით ვამბობ, რომ გაბატონებით ვერც ერთი ბე-ლეტრისტული და ლიტერატურული მიმართულება ვერ გაბატონდება-მეთქი ჯერჯერობით. სხვა მიზეზებიც არის ამისა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აქ ახლა შორსაც წაგვიყვანს და მოუხერხებელიც არის...

ამჟამად ქართულ ლიტერატურაში არსებობენ იდეალისტებიც, რეალისტებიც, ეგრეთწოდებული, ფსიქოლოგიური მიმართულების წარმომადგენელნიც (ან. დეკანოზიშვილი და შ. არაგვისპირელი წინანდელ მოთხრობებში), სიმბოლისტებიც (ვაჟა-ფშაველა და იმისი ძმა,‘«ფითრის» ავტორი, თ. რაზიკაშვილი), და, ასე გასინჯეთ, დეკადენტებიც (შ. არაგვისპირელი უკანასკნელ მოთხრობებში და ეკლექტიკი-კრიტიკოსის გომართელის ბაირონი, _ «საყვარელი და სიმპატიური პოეტი» ი. ევდოშვილი). თითოეულ ამ მიმართულებას ჰყავს წარმომადგენლებად არა თუ ხანში შესული მწერალნი, არამედ ჯერ სრულიად ნორჩი, ახალგაზრდანი, რომელთაც ტუჩებზე დედის რძეც არ შეშრობიათ კარგად. რა თქმა უნდა, ეს ახალგაზრდანი ერთხელვე არჩეულ გზაზე სიარულს განაგრძელებენ და ჩვენს ლიტერატურაში თვისი შრომით და მოღვაწეობით ახალ

კვალს გაავლებენ; მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენს მწერლობაში შემოპარებულ დეკადენტობას უნდა შეუპოვრად ვებრძოლოთ... ამ დეკადენტებს თავისი მოსარჩლეც გაუჩნდათ. ეს გახლავთ ბ-ნი გომართელი, მათი კრიტიკოსი, რომელიც ცრუ გზაზე დაყენებას უპირებს ჩვენს რეალურ მიმართულებას. საჭიროა ბრძოლა, რომ რამენაირად დეკადენტობა აღიგავოს ჩვენი მშობლიური ლიტერატურის ნიადაგიდან...

სულ უწინ ასეთი ამბავი ჩვენში არ შეინიშნებოდა. უწინ თვით ქართველთა ცხოვრებაც იყო მეტად კარჩაკეტილი, სადა, უფერული, მარტივი და ბელეტრისტიკაც მარტივს, ერთხელვე გაკვალულს გზას ადგა. სხვადასხვა ბილიკები ქართულს ლიტერატურაში მხოლოდ ამ თხუთმეტი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ამ ათი წლის წინათ შევამჩნიეთ. წინათ შენიშნავდით, და ისიც ხილად მხოლოდ და მარტო იდეალისტებს და რეალისტებს, ანდა ერთსა და იმავე ბელეტრისტში იდეალისტიც იყო მოთავსებული და რეალისტიც (ილ. ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი და სხ.) და განსაკუთრებულს შემთხვევაში თუ მოხდებოდა ისე, რომ მწერალი ნამდვილსა და ჭეშმარიტს რეალისტს წარმოადგენდა (გ. წერეთელი, მელანია).

ჩვენში სხვდასხვა მიმართულებათა წარმოშობა, უკეთ ვსთქვათ, ასეთი გამრავალგვარება ლიტერატურისა შედეგია თვით ცხოვრების გართულებისა და გამრავალგვარებისა. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ძლიერად დაიძრა, ადუღდა, სრულიად ახალი ელემენტები გაჩნდენ მასში და ეს ელემენტები ებრძვიან ჩუმად, _ მაგრამ ძლიერად, ფარულად, _ მაგრამ მედგრად, ყოველ ძველს, წრეს გადასულს და ამყაყებულს. ყოველგან ყოველს წრეში, ყველა კლასებში გაჩნდენ ფაცა-ფუცა, მოუსვენარი ელემენტები, რომელთაც ციებ-ცხელება გასჩენიათ და ეძებენ ცხოვრების ახალს ნავთსაყუდელს და ასპარეზს... ეს ამბავი, რასაკვირველია, ჩვენი ახლად გამოფხიზლებული ერის სიცოცხლის და მოძრაობის ნიშანია, საბუთია იმისი, რომ ჩვენი ერი, დღევანდელი სოციალური პირობების თანახმად, სამოქალაქო მოქმედების ასპარეზზე გამოვიდა, ამოძრავდა და ამ მოძრაობის შეჩერება ამიერიდან ყოვლად შეუძლებელია. როგორც შეუძლებელია მთიდან მოხეთქილი ნიაღვრის შეჩერება... მიუცილებლად, ჩვენი ერის ცოცხალ და მოძრავ ელემენტებს ამოძრავებს, ამოქმედებს მხოლოდ და მარტო თავიანთი და კერძო ვიწრო ინტერესები და ინსტინქტები, რომელნიც გულჩვილ მორალისტებს გულსაც აურევენ, მაგრამ ის ხომ ნამდვილია, რომ რაც უნდა ჩაიდინონ მათ და სადაც უნდა გადაიხვეწონ ეს კერძო ინტერესების ყურმოჭრილნი მოსამსახურენი, იმათ მაინც და მაინც თან მიაქვთ ჩვენი ერის ზნე-ჩვეულების, კულტურის, ენის, სულის და ხასიათის საუნჯე და ამნაირად ჩვენ ნაციონალურ ცხოვრებას უფართოვებენ, უგანიერებენ და უძლიერებენ კალაპოტს და ამით მტკიცე საფუძველს უშენებენ ჩვენი ნაციონალური აღორძინების დიად საქმეს. ეს დროის ნიშანია. და ამ ფაცა-ფუცობასა და მოძრაობაში არაფერი მოულოდნელი და შემთხვევითი არ არის.

ბურჟუაზიულ საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნებრივად მეტად ინტენსიურია, მეტად ბევრს ენერგიას და ძალ-ღონეს ხარჯავს არსებობისთვის ბრძოლაში და, ამიტომაც, ძალიან მალე ცვდება, უძლურდება ხოლმე, იმაზედ უფრო გაცილებით ადრე და მალე, ვიდრე ძველი, დროს გადასული ცხოვრების საზოგადოებრივი ფორმები. მრეწველობის, წარმოების ძალთა საშინელმა, კოლოსალურმა ზრდამ და საარაკო პროგრესმა, რომელიც მოხდა ტექნიკასა და, საზოგადოდ, მეცნიერებაში ამ ერთი საუკუნის განმავლობაში, თანამედროვე კლასთა შორის გახეთქა უფსკრული,

რომლის მსგავსი ისტორიაში არ მოუხდენია არც თავზარდამცემ ომებს, არც სისხლით ატბორებულ რევოლუციებს. გარდა მაგისა, თვით კაპიტალისტურმა ხანამ გვიჩვენა, რომ რთული მრეწველობის განვითარებას მიჰყავს კაცობრიობა განახლებული ცხოვრებისაკენ, რომ საზოგადოებრივი შრომა სამერმისოდ სამართლიანი განაწილებისკენ მიდის და ისტორიაც უმზადებს ნიადაგს უფრო უმაღლესი ცხოვრების საზოგადოებრივ ფორმებს... ჯერ კაცობრიობას თავისუფლად ისიც კი ვერ ჩაუბარებია მტკიცედ და სამუდამოდ ხელში, რაც შეუძენია, რაც ძალ-ღონე და შეძლება მოუპოვებია და ადამიანის ფხიზელი აზრი ახლავე ახალ-ახალ და ბრწყინვალე იდეალებს ეტანება, რაღაც ახალი, სრულიად ახალ-ახალი იზიდავს, აღელვებს მას და ამ დაუშრეტელ წყურვილს თანდათან უფართოვდება კალაპოტი, უგანიერდება მსვლელობა და, ბოლოს, მოქალაქობრივ სახეს და მნიშვნელობასაც ღებულობს. სოციალური ცხოვრების უფსკრულებიდან ამოხეთქა ისეთმა აზრის მუშაობამ, რომელსაც თქვენ გვერდს უგრძნობლად ვერ აუვლით, თუ გულმკერდი სამოქმედოდ გიცემსთ.

მაგრამ რიგზედ ჩარაზმული თანდათანი და ძალიან მარტივი თავისი საფუძვლებით სოციალურ მოვლენათა ლოგიკა იმ წამსვე ერთბაშად როდი ჰპოულობს ხოლმე ადგილს ადამიანთა გონებაში. სოციალური მოვლინებანი შორიდან მოსჩანან და შორიდანვე განირჩევიან, მაგრამ ყოველ აღნიშნულ მომენტში ადამიანს წარმოუდგება ერთ უდიდეს, რთულ პრობლემად, რომლის ახსნას და ნათლად გარკვევას თხოულობს გამწარებული ბრძოლა არსებობისათვის. ისეთს გარდამავალ ხანებში, როგორც მაგალითად, ეს ჩვენი დროა, როდესაც ყოველი ძველი აზრი, შეხედულება და ჩვეულებრივი ცხოვრების პირობანი ჰქრებიან, ცხოვრების სახელმძღვანელო აზრთა და საგანთა გარკვევა დღეს კაცს უჯდება ძალიან ძვირად, მეტის-მეტად გამწარებულ სულიერ ბრძოლას და დიდ შრომას თხოულობს. მეტად გართულებული დღევანდელი ცხოვრება და ახალახალი იდეალები მომავლისა დიდ ტვირთად აწვებიან კაცის გრძნობა-გონებას და აგდებენ საშინელს განსაცდელში და გამოურკვეველ ყოფაში. ცხოვრების სიღრმეში დაფარული ჭეშმარიტება კაცის სურვილისამებრ როდი იჩენს ხოლმე თავს. სანამ იგი თანდათან გაირკვეოდეს და ჩამოყალიბდებოდეს გარკვეულ, ყველასათვის გასაგებ ფორმებში, კაცი, დაღლილი და წელში გაწყვეტილი ამდენი ტანჯვითა და შრომით, ცხოვრებას გაურბის და ეტანება ისეთ არემარეს, რომელიც, მისი აზრით, ამ წუთისოფლის ბნელეთის და ბოროტების სრული წინააღმდეგია. მისტიციზმი, მეტაფიზიკური მიმართულება გონებისა, ათასნაირი უტოპიური აზრები, სრული დეკადენტობა _ ჩვეულებრივი თანამგზავრები არიან ხოლმე ასეთი ხანებისა. ისტორიამ იცოდა ასეთი დრო წინათ და იცის ახლაც, რასაკვირველია...

ერთი ნიშნობლივი, დამახასიათებელი თვისება ჩვენი დროისა, როგორც გარდამავალი ხანისა, არის მეტად ავადმყოფი ელფერი და ხასიათი კრიზისისა, რომელიც დასდებია ჩვენს ფაცა-ფუცა და ამღელვარებული ცხოვრების შვილებს. დღევანდელ კლასთა შორის ატეხილმა ბრძოლამ და ამ ბრძოლისგან გამოწვეულმა გამოცოცხლებამ და მასთანვე გაურკვევლობამაც წარმოშვა ნერვებაშლილი თაობა, თაობა სუსტი ნებითა და ხასიათით, მაგრამ მეტად მდიდარი ფანტაზიორობითა (არ ვამბობ ფანტაზიითა) და უნიადაგო ოცნებებით, რომელსაც ცხოვრებაში გამოსვლისთანავე დაეტყო გრძნობა-გონების სისუსტე, სიჩლუნგე და სრული გამოთაყვანება. ამ თაობას არ გააჩნია ნამდვილი, ცხოველი საქმიანობის

სიყვარული, რადგან არ უვარჯიშებია გრძნობა-გონება მეცნიერებაში, ბუნებისმეტყველების, სპეციალური სატექნიკო სამრეწველო მომზადებით არ უწვრთნია გონება ლაბორატორიებში და კაცობრიობის ძლიერების განმახორციელებელი მანქანების მოძრაობაში, რომელნიც იძლევიან ჭეშმარიტ განვითარებას, ხასიათის და ენერგიის წვრთნას და ზრდას, აჩვევენ ადამიანს სულდათქმულს, დაბრძენებულ სჯას, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დისციპლინას და ზრდიან ნამდვილ მოქალაქედ...

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ვინც უნდა ემსახუროს საქართველოს ერს, მას ბუნებრივ ნიჭთან ერთად უნდა ჰქონდეს დიდი, ძალიან დიდი მომზადება, მან უნდა შეიგნოს ერის და ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, დღევანდელი, ცოცხალი საჭიროებანი და ცოდნით აღჭურვილს, ნამდვილი ფაქტებით და სასტატისტიკო ცნობებით შეიარაღებულს, შეუძლია ნამდვილი საზოგადო მოღვაწეობის დროშა დაიჭიროს ხელში და ერს ემსახუროს, თორემ შესანიშნავი სტატიის‘«რა ეკონომიურს მდგომარეობაში ვართ?» (იხ. შარშანდელი «ივერია») ავტორის, ცნობილის ეკონომისტის ბ-ნ ვ. წ-ის თანახმად, ჩვენ ახლა ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ ცალიერი სიტყვების რახა-რუხით ვერავინ ვეღარ მოგვატყუებს, რაც უნდა თვალთმაქცურად იფართიფურთონ...

ერთი დიდი მიზეზი ასეთი მოვლინებისა, როგორც ვთქვით, თვით ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მარხია, რომელსაც მორალური ტანმრთელობა ძალიან აკლია, ხასიათით დაძაბუნებულია და დაავადმყოფებული... ჩვენი ინტელიგენციის თითო-ოროლა ცოცხალ, მომქმედ და ჭეშმარიტი ცოდნით შეიარაღებულთ ჩვენ არ ვეხებით აქ. ისინი, ეს არის, ახლა იწყებენ მოღვაწეობას და იმათი, როგორც მათივე მიმდევრების საქმე, სამერმისოა, ჯერ წინ არის და, მაშასადამე, მომავალს ეკუთვნის. ჩვენი დახასიათება პირწმინდად შეეხება სულ სხვა ჯგუფს‘«ვითომ და მოღვაწეებისას», რომელნიც აღნიშნავენ ამ ჩვენი დროის, დღევანდელ დღის გარდამავალ ხანას. ესენი ძალიან მოგვაგონებენ უტოპისტებს და ევროპელ დეკადენტებს... ის თაობა, რომლის თვალშიაც‘«ბუნებამ უკვე მოსჭამა თვისი დრო» (გიუსმანი), პოეზია და სიყვარული უბრალო ქარაფშუტობაა, რომელიც წარმოუშობავს უვიცობას (ვერლენი); ასეთი თაობა, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ მიგვაჩნია დაღუპულ თაობად. ჩვენ, რასაკვირველია, ამ სიტყვებით იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ მთელი, ეგრეთ წოდებული, დეკადენტური ლიტერატურა, რომლის წარმომადგენელნი გაკვრით ვახსენეთ ამ წამს, დაავადმყოფებული წარმოდგენის და ფანტაზიის ბოდვად მიგვაჩნდეს. არა. თუ ჩვენ გულწრფელად ჩავუკვირდებით ამ ლიტერატურის შინაარსს, აქაც უეჭველია პროტესტის, შეხლა-შებრძოლების ხმა ისმის გამწარებით, რომელიც ძველ ცხოვრებას და აზრს გამოუცხადა განახლებულმა ამ დროის სულმა და მოთხოვნილებამ და რომელიც ნერვებაშლილ, ხასიათით მოსუსტებულ არსებათა გარდა, იწვევს და იზიდავს სამოქმედოდ ტანმრთელ სულით და ხასიათით მტკიცე ადამიანებსაც... მაგრამ გზები და ბილიკები, ფორმები და იარაღები, რომელთაც ხმარობს აზრი, აქაც და იქაც, მეტად გარკვეულია, რადგან თვით საგნის სირთულემ დაჰბადა სწორედ ასეთი მოვლინება...

ამიტომაც, სულ წინა-პირველად ლიტერატურაშიაც, ნამეტურ ქართულს ლიტერატურაში, სადაც ყოველისფერი ლამის არის ზღაპრად იქცეს, ჩვენ ვეძიებთ მხოლოდ და მარტო რეალობას, ცხოვრების სინამდვილით, შეგნებით და დიდი ხელოვნებით გამოხატვას, და ასეთი სალიტერატურო ნაწარმოები, ამ უკანასკნელ

დროს, ჩვენში ხომ სანთლით საძებარია და ძნელი გამოსანახავიც არის ბელეტრისტიკის ამდენ მიმართულებათა დომხალ-დუმხალში.

ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ჟურნალმა «მოამბემ» გაგვაცნო სრულიად ახალი მწერალი, რომელიც მარტო და მხოლოდ მის მიერ არის შობილი, სალიტერატურო ასპარეზზე გამოყვანილი და, ჭეშმარიტად, კარგი, საიმედო მწერალიც არის. მე მოგახსენებთ დ. კლდიაშვილზედ. იგი წარმოადგენს დღეს ჩვენს ლიტერატურაში ახალ შესანიშნავ მოვლენას, როგორც თავისი ნიჭის ცხოველმყოფელობით, ისე თავისი ორიგინალობით, მოთხრობათა შინაარსის სიახლითა და საინტერესო, მეტად სასიამო საკითხავი ამბების დახატვითა. ეს სურათები, რომელსაც ჰხატავს ავტორი, ცხოვრებიდან დიდის ცოდნითა და შეხამებით აქვს მას დახატული. ამასთანავე ამ სურათებში იგი ჰხატავს ყოველთვის ახალს, ჩვენთვის საამოდ გასაგონ ამბებს და გვიშლის თვალის წინ მთელს ქვეყანას თავისი თავგადასავლით, ავით და კარგით...

ორი მოთხრობა დასახელებული ბელეტრისტისა:‘«სოლომონ მორბელაძე» და‘«სამანიშვილის დედინაცვალი» წარმოადგენენ ჩინებულს და ნიჭიერად დაწერილ სალიტერატურო ნაწარმოებს. დ. კლდიაშვილს ჩვენ ვალდებული ვართ თავაზიანად მივეგებოთ, რადგან მას პირველადვე, მწერლობაში გამოსვლისთანავე, ეტყობა უტყუარი ნიშანი ნიჭიერებისა, დიდი დაკვირვებისა და მხურვალე სიყვარული იმ საქმისაც, რომლისთვისაც მას ხელი მოუკიდია. თუ ჩემი წარმოდგენა და აზრი ნამდვილად მიხატავს ავტორს ისეთს, რომ იგი მთელი თავისი სულითა და გულით მოწადინებულია ემსახუროს ლიტერატურას, თავის არჩეულ დიდ საქმეს, ეს, უეჭველად, დაეტყობა მის ნაშრომს, მის გონებრივ ნამოქმედარსაც. ამ შემთხვევაშიც ჩვენ გვმართებს დიდი სიფრთხილე, თავაზიანობა, თანაგრძნობა და გულწრფელი სიყვარული, რომ ახლად მოვლენილ მწერალს თავისი შესაფერი ადგილი მივუჩინოთ ქართულ ლიტერატურაში.

ჩვენ ვჰკითხულობთ და ვუკვირდებით დ. კლდიაშვილის ნაწერებს ჟურნალ «მოამბეში» და მკითხველების სასიხარულოდ უნდა ვთქვათ, რომ ავტორს ეტყობა ცოცხალი ნიჭი და სიყვარული თავისი საქმისა. ამ ტალანტის განსაკუთრებული ნიშნებია _ შორს გამსჭვრეტი ღრმა დაკვირვება, რეალიზმი, ჩაფიქრებულობა და რაღაცნაირი ნაზი იუმორი და პოეტური ნაღველი, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი სურათი, ავტორის მიერ ხელოვნურად ჩამოსხმული. რომელიც გინდათ აიღოთ მოთხრობის სურათი, სადაც მომქმედ პირთა ცხოვრება, ხასიათი და საქციელი იხატება, თქვენ ხედავთ საგანს პირდაპირ, დიდის მოხდენით და მხატვრობით თვალ წინ გადაშლილს. ეს გარემოება ამშვენებს და აძლევს ერთიანობას დ. კლდიაშვილის მთელ ნაწარმოებს და ამ ნაწარმოების გმირებს ჰფენს რაღაცნაირ მიმზიდველ ელფერს, თითქოს ამ მომქმედ პირთ, ამ გმირებს თქვენ ახლო ხედავთ, გაგონდებათ იმათი სახე და საქციელი და ძალიან გსურთ კარგად ჩაუფიქრდეთ, მოიგონოთ ეს გმირები, რომ მთელის ხატებით წარმოიდგინოთ გონებაში წინათ ნახული და გაგონილი. დიახ, ესეთი ძვირფასი შთაბეჭდილება აქვს ამ ნიჭის განსაკუთრებულ ერთს თვისებას-მეთქი, სახელდობრ, ჩუმს, წყნარს, ჩაწყვდიადებულ ნაღველს _ იუმორს ავტორისას, რომელიც სიახალგაზრდავის ნიშანია და ანიჭებს ახალგაზრდა ავტორის ნაწერებს მეტად ლბილსა და წმინდა, კეკლუც ლირიზმს. ამიტომაც არის, რომ იმისი ნაწერების წაკითხვის შემდეგ თქვენ კმაყოფილი რჩებით, კარგ გუნებაზე დგებით და გემატებათ ცხოველი ინტერესი, წყურვილი კვლავ წაიკითხოთ ავტორის ნიჭის

ნამოქმედარი. ეს ხომ უტყუარი ნიშანია მხოლოდ და მარტო ჭეშმარიტი ტალანტისა. აი, ეს გულწრფელი და სერიოზულ გუნებაზე მყოფობა ახალგაზრდა ბელეტრისტისა, არა ჰღლის მკითხველს, თავს არ აბეზრებს. პირიქით, აყვარებს ავტორს და ავიწყებინებს კაცს იმის შემოქმედებითი ნიჭის იმ მცირე ნაკლს, რომელიც აქა-იქ შეხვდება.

იმერეთის წვრილფეხა, თავით ფეხამდე გატყავებული ერთი ნაწილი აზნაურიშვილებისა, იმათ ყოველდღიური ცხოვრება, წვრილმანი ინტერესები, რომელნიც ბოლოს უღებენ იმათაც და მთელი ქვეყნის კეთილდღეობას, _ აი, ნამდვილი ნაწრეტი და ნაშობი ჩვენი პატარა, მაგრამ ერთ დროს ფეოდალიზმით ძლიერ ჩვენი ქვეყნის არემარისა. ეს წვრილფეხა აზნაურიშვილობა ბატონ-ყმობის გადავარდნამდისაც თავდაყირა ეკიდა და, ყმების გათავისუფლების შემდეგ, სულ ერთიანად ყირამალა დააყენა თანდათან ჩვენში განვითარებულმა ახალმა ცხოვრებამ, რომელსაც ნელ-ნელა მოჰყვა აღზრდა და განვითარება აღებ-მიცემობისა და მრეწველობისა. ფრიად საინტერესო, დიდი კომიზმით აღსავსე და თან სატირალი ამბები ხდება ყოველ დღეს ამ ჩვენი ცხოვრების გამოცალიერებულ ერთს კუნჭულში. ცხოვრებამ, კუჭისა და ჯიბის გამოცალიერებასთან ერთად, გამოუცალიერა უმრავლესობას ამათთაგანს გონება, ნიჭი, სინდისი და წაართვა ხალისი თავისი გარჯა-მოღვაწეობით ცხოვრებისა. ამათ მამა-პაპათ თავიანთი დროის შესაფერი ჭკუა მაინც ჰქონდათ, სინდისი და ზრდილობა, ამათ კი ყოველისფერზე ხელი აუღიათ, და მაინც გაიძახიან, იოლად უნდა ვიცხოვროთო. ნეტა, რითი, რა საშუალებით?.. იმათი სიტყვა სიტყვა არ არის, მათი საქმე საქმეს არა ჰგავს, შინ და გარეთ იმათგან ყველანი თავმობეზრებულნი არიან დღეს და მიდიან... მიდიან იქით, სადაც უშველებელი უფსკრული მოელით და მეტი არაფერი.

ამ ვაი-უშველებელსა და ალიაქოთში სასიამოვნო და სასარგებლო ამბის მეტი არა ხდება-რა ქვეყნისთვის საზოგადოდ, ფილოსოფიურად რომ შევხედოთ. მაგრამ თვით ბუნება და ხასიათი ამ ალიაქოთის და ხრწნილების პროცესისა მეტად საინტერესოა და იმის დასახასიათებლად ხშირად ნამდვილი ნიჭი სატირიკოსისა და მხატვრისა ფრთას გაშლის ხოლმე და დაგვანახვებს თავისი ძლიერების უნარს.

ქალაქმა შეარყია დღევანდელი სოფელი, სააღებ-მიმცემო, სავაჭრო ასპარეზზე გაიტაცა ჩვენი გლეხი და ერთი ნაწილი აზნაურებისაც; ახლა მათ შორის ბევრია ფულიანი კაცი, რომელიც გაცილებით უფრო კარგად და სუფთად ცხოვრობს, ვიდრე იმისი ნაბატონარი. აუტანელი შეიქნა ამ შერცხვენილი ნაბატონარის ცხოვრება, ქალიშვილს იგი ვეღარ ათხოვებს, ვაჟიშვილს ვეღარ აქორწილებს, თუმცა დიდგულობა და ამაყობა არა თუ არ მოჰკლებია, იმაზე უფრო მეტიც აქვს, ვისაც კეთილშობილებასთან ერთად ქონებაც დიდი შეუძენია. რა ჰქნას, რა დარჩენია ამ უბედურს, ამ‘«ნაცარ-ქექიას», თუ არ გაძვრა-გამოძვრა სადმე და რამენაირად თუ ვისმეს არ წაჰგლიჯა და ვინმე არ მოატყუილა, თუ ვისმეს არ უმაჭანკლა და ლუკმა პურის შოვნაში ისე ძაღლ-უმადურად არ დალია თავისი საჯაყი სიცოცხლე. ბრძოლა არსებობისთვის, რომელიც უფრო ძლიერ გამწვავდა და გართულდა თანამედროვე ცხოვრების ამ შეცვლილ ეკონომიურ პირობებში, ამუშავებს მათ შორის დღეს ჩვენში სრულიად ახალ-ახალ ტიპებს, რომელთა ცხოვრება და სულიერი ბრძოლა თხოულობს დიდ დაკვირვებას, ნიჭს და შესწავლას. ბელეტრისტიკის დანიშნულებაა ფეხდაფეხ მიჰყვეს ამ ევოლუციას და წინ დაგვიხატოს აზვირთებული ცხოვრების მოვლენანი და ამბები, რომელნიც

დაუწყნარებლივ მუდამ ცვალებადობაში არიან. აქ ტრიალებს მთელი ცხოვრების ჩარხი, აქ არის, აგრეთვე, მთელი ძარღვი აბობოქრებული ცხოვრებისა და აქ უნდა განარჩიოს ნიჭიერმა და მადლიანმა მწერალმა ისინიც, ვინც ცხოვრებას თავში მოექცა, და ვინც შეიქნა ნაძირალი და დამარცხებული...

დ. კლდიაშვილი, რასაკვირველია, პირველი არ არის ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც შეეხო ამ თავისებური წოდების ცხოვრების დახატვას. ილია ჭავჭავაძიდან დაწყებული დღევანდლამდე, დ. კლდიაშვილამდე, არცერთ ქართველ ბელეტრისტს, გ. წერეთლის გარდა, არა აქვს ფართედ და შეგნებით წინ წამოყენებული და გათვალისწინებული ის ძლიერი და რთული ბრძოლა, რომელიც გამოიწვია ცხოვრების თანამედროვე ევოლუციამ. იმ მწერლების მიერ დახატულ გმირებს აკლია სიცოცხლე, სისრულე, სული და ხორცი, უფრო აჩრდილებსა და კარიკატურებსა ჰგვანან, ვიდრე ნამდვილ დასრულებულ, ხელოვნურად დახატულ, მხატვრულ ტიპებს. იმ ჩვენს ძველ ავტორებს რომ კითხულობთ, თქვენში იბადება და ჩნდება რაღაც სიბრალულის, შეცოდების გრძნობა, ან უსაგნო, ბრიყვული დაცინება და ზიზღი ამ თავად-აზნაურებისა, რომელთა ცხოვრებიდან ავტორებმა ასე ბევრი რამ იცოდენ, ასე ბევრი გაეგონათ და ენახათ, კარგად განვითარებულნიც იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ მოგვცეს ნამდვილი სურათები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა, ვერ მოგვცეს ნამდვილი ტიპები, ვერ შექმნეს ცოცხალი ხასიათები, იმდენად საინტერესო და განსხვავებულნი, რომ არ დასჭირვებოდათ ფერ-უმარილი, ჭრელა-ჭრულები და ფერად საღებავთა მეტი შესქელება. სანტიმენტალიზმი, გაზვიადება საქმისა იმ მწერლების ნაწარმოებში ყოველთვის აფუჭებს საქმეს და, ბოლოს, მხატვრობის ასე აბუჩად აგდება სახელს უფუჭებს იმათ საუკეთესო ნაწარმოებებსაც კი...

დ. კლდიაშვილი ჰხატავს ცხოვრების სინამდვილეს, იგი განშორებულია სანტიმენტალიზმსა და გაზვიადებას და ავტორი ჭეშმარიტი მწერალის ტაქტით და საქციელით ფერ-უმარილებს, ზღაპრულ ამბებს და წამატებულ ფარჩის ბაღდადებს... ძალიან შორს გაურბის. ამასთანავე, სრული ობიექტურობა, ნაზი იუმორი ავტორისა მისი მოთხრობების შინაარსს ღრმა და ძლიერ ინტერესს აძლევს, და ის პოეტური, ცოცხალი სული, რომელიც მოჰბერს ხოლმე ყოველგან კლდიაშვილის მიერ დახატულ სურათებს, ჰხდიან ამ სურათებს მხატვრულად დასრულებულ ნაწარმოებად.

ჩვენ გარემოება ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევეხოთ «სოლომონ მორბელაძეს» და‘«სამანიშვილის დედინაცვალს», როგორც ტიპებს, რომელთაც აქვთ დიდი საზოგადოებრივი და სალიტერატურო მნიშვნელობა. სხვა დროს, როდესაც ავტორის ტალანტი სავსებით გაიშლება, როდესაც იგი გაბედულად და ღრმად განკვეთს თანამედროვე ჩვენი ცხოვრების ახალ პირობაში გაჩენილს ფაცა-ფუცა პირების საქციელს და მოქმედებას, ჩვენ ვუძღვნით დ. კლდიაშვილის ნაწერებს ვრცელ განხილვას. მანამდე მივაქცევთ ახალგაზრა ბელეტრისტის ყურადღებას ერთს უბრალო სალიტერატურო გარემოებაზე. ავტორი უფრო უმთავრეს გმირებს ხატავს შესანიშნავი რეალიზმით და კომიზმით, მეორე ხარისხის მომქმედი პირები დაჩრდილულია, სუსტად არიან დახასიათებული, სიცოცხლეს მოკლებული და ერთიანობას, რომელიც ხელოვნურ დამუშავებას მოსდევს, თითქო რაღაც აკლიაო. ავტორმა ძალა არ უნდა დაატანოს თავის ნიჭს და თავისუფლად მიჰყვეს ხოლმე მის მდინარეობას. მაშინ იგი თავისთავად დახატავს შესანიშნავ სურათს და ხასიათს, რომელიც ძლიერიც იქნება და მართალიც...

შესანიშნავია‘«მოამბეში» დაბეჭდილი დრამატიული პიესა _ «ირინეს ბედნიერება», სურათი სოფლის ცხოვრებიდან, ორ მოქმედებად. პირველ მოქმედებაში დიდი ხელოვნებით არის დახატული აბესალო სალამთაძე, რომელსაც სულით და გულით მოუწადინებია ცოლად შეირთოს ფილიპე ბარბაქაძის ლამაზი ასული ირინე. ირინეს კი ახალგაზრდა, პავლე როდამიშვილთან აქვს სიტყვა მიცემული. ერთს დღეობაზე ბარბაქაძისას საიდგანღაც გაჩნდება აბესალო თავისი ამფსონებით და შეზარხოშებულ რაინდისაგან ირინე თავს ვერ დააღწევს ვერას გზით. აბესალო თითქმის გაგიჟდა იმ დღეს ირინეს «ეშხით» და ფილიპე ბარბაქაძეს ხელად განუცხადებს, რომ «იმედი მაქვს სიძედ არ დამიწუნებ და შენი ქალიშვილის მთხოველი ვარო... მწარე გულით ვარ მოწადინებული შვილად მიმიღო, ანდა ჩემი თავი უნდა მოვიკლაო!..» ფილიპე ძალიან გახარებულია, რომ ირინეს თავი სთხოვა ცოლად ამისთანა შესანიშნავმა ვაჟკაცმა, დიდი ოჯახისა და გვარისშვილმა აბესალომ სალამთაძემ, და თავის ქალიშვილს ირინეს უცხადებს ამ სასიხარულო ამბავს. ირინე უარს უპასუხებს:‘«არ მიყვარსო», მაგრამ მამას სასაცილოდაც არ ყოფნის ეს გარემოება და ამ სიტყვებით შეუბღვერს ირინეს:‘«ჩუ, აბა, ჩუ!.. ხმა არ ამოიღო!.. დიახ, მანამდე ნუ გათხოვდები, სანამ ვინმე არ შეიყვარო ქალიშვილობაში და კისერზე არ მოეხვიო ისე მაგრად, რომ ვერსად გაგექცეს!.. დიახ! შენმა სიცოცხლემ! არ მიყვარსო?!.. არ გიყვარს, მერე შეგიყვარდება _ მანამდი რომელი თავმოყვარე ქალიშვილი დეიწყებს შენსავით ასე მოურიდებლად სიყვარულზე ტარტალს... ამას მოველოდი მე შენგან?!.. ამის იმედი მქონდა მე შენი?! მარა სულელი და უჭკუო მე ვარ, ამდენი ლაპარაკის ნებას რომ გაძლევ... შენი უჭკუობისთვის ამნაირ ბედნიერებას რავა დაგაკარგვინებ?! მერე მადლობასაც-კი მეტყვი!» ფილიპემ ირინე მიათხოვა აბესალომს, პავლე როდამიშვილს კი გადაუწყდა სიხარული და დარჩა ხელცალიერი.

მეორე მოქმედებაში დახატულია ცოლ-ქმრის, აბესალოსა და ირინეს ერთი მეორესთან დამოკიდებულება. აბესალომმა გაუძაღლა სიცოცხლე არა თუ ირინეს, თავის მოხუცებულ მშობლებსაც _ ეკასა და სამსონ სალამთაძეებს. თავის ატეხილი და დაჟინებული სურვილების შესრულების შემდეგ ირინე აბესალომისათვის შეიქნა მეტი ბარგი და შეიძულა ცოლი. ამასთანავე ხალხში ხმებია გავრცელებული, რომ ვითომც ირინე ღალატობდეს ქმარს და აბესალომსაც ეჭვი აქვს როდამიშვილზე. აღარავისთვის დამალული არ არის ამათი ამბავი. ერთს მშვენიერ, ირინესათვის კი უბედურ დღეს სიმამრი და როდამიშვილი მოულოდნელად‘«ეუს ეხ მაცჰინა»-სავით ესტუმრებიან სამსონ სალამთაძის ოჯახს და, აი, სწორედ აბესალომიც მაშინ გამართავს ერთ უშველებელს ალიაქოთს. ამ ალიაქოთში ცოლ-ქმარნი ერთმანეთს შეხვდებიან და გაიმართება უმართებული სიტყვებით ერთი მეორის შემკობა. გულმოსული აბესალო იშიშვლებს ხმალს და მოჰკლავს თავის ცოლს ირინეს.

აბესალომ სალამთაძის მსგავსი ხალხს იცნობს ჩვენი ლიტერატურა. ეს იერემია წარბას («პირველი ნაბიჯი» _ გ. წერეთლისა) და მისი აჩრდილის ტარიელ მკლავაძის («ჩვენი ქვეყნის რაინდი» _ ნინოშვილისა) ახლო მონათესავეა. მაგრამ აბესალომს ნიჭიერმა ავტორმა მაინც შთაბერა ახალი სული და ცხოვრების განსხვავებულ გარემოებაში დაგვიხატა იმისი ხასიათი და საქციელი.

აბესალომი ერთი განებივრებული, გრძნობააშლილი, შექეიფიანებული ვაჟკაცია, რომელსაც მასპინძლის, ფილიპე ბარბაქაძის კარ-მიდამო, ეზო-გარემო და სტუმრები არაფრად მიაჩნია და პიესის პირველი მოქმედების დასასრულამდე

მისდევს-მოსდევს ბარბაქაძის ასულს _ ირინეს და მოსვენებას არ აძლევს. აბესალომ სალამთაძეს გზა-გზა შეხვდება გონიერი და ზრდილობიანი ყმაწვილი კაცი _ ბიქტორი, რომელიც ემუდარება დაწყნარებას, მაგრამ თავხედი მაინც არ იშლის თავის საზიზღარ საქციელს და მეორე ოთახში გაუვარდება საწყალობელ ირინეს. იქ ირინეს საქმრო როდამიშვილი შეხვდება მას გულმწყრალი და შეწუხებული, რომლის მიმართ აბესალომი ურცხვად და დაურიდებლად ასტეხს ერთ უშველებელ ხარხარს.

«ხა, ხა, ხა!.. ხა, ხა, ხა! ძალიანია, შენ ნუ მომიკვდები, ძალიანია. ვიღაცა ჩანჩურა როდამიშვილის გულისთვის ყოველივე სიამოვნება უნდა მოვიკლოთ. აბა, კაცი მხოლოდ ის ყოფილა _ ჩვენ არაფერი!» აბესალომი დაიჭერს ირინეს, რომელიც, რაც ძალი და ღონე აქვს, იწევს, უარსაც ეუბნება, მეტი ლეკური აღარ შემიძლია, რადგან დავიღალეო.

«აბა, თუ დაიღალეთ, აგერ დაბრძანდით და დაისვენეთ, აბა, ყმაწვილებო, სულიკო, ისე ტკბილად, ნაზად, რომ ყველას გვიამოს! დასხედით! დასხედით! ჩვენსკენაა ლხინი წამოსული»...

ამას როდამიშვილის გულგასახეთქადაც სჩადის, აბესალომს სამასხარაოდ ჰყავს იგი აგდებული. ყოველი ფეხის გადადგმაზე ცდილობს იგი, რომ როდამიშვილი დაამციროს და მოჰკლას ქვეყნის თვალში.

აბესალომი ტიპია შეზარხოშებული აზნაურიშვილისა, რომელსაც შეძლებაც, გვარიშვილობაც ხელს უწყობს და ქვეყანაც, რასაკვირველია, «ფეხებზე ჰკიდია». საკვირველია ამ ჯურის ახალგაზრდათა აღზრდის, სიტყვა-პასუხის, მიხვრა-მოხვრის, საქციელისა და მთლად მათი ყოფაქცევის ისტორია, თავგადასავალი. ამათ ჩვენი ქვეყანა ერთს უშველებელ ბაღნარად მიაჩნიათ და ადამიანები, რა თქმა უნდა, თავისი ჯურის ადამიანები, საქეიფოდ გაჩენილნი და მოვლინებულნი. იმათ გონებას ვერ წარმოუდგენია ჩვენი ქვეყნის უბედური, მწარე მდგომარეობა, ვერ ხედვენ ყოველ საქმეში ჩვენს დაქვეითებას. პირიქით, ქართველობა მიაჩნიათ ერთ უუშესანიშნავეს, უუძლიერეს და უმდიდრეს ხალხად მთელ დედა-მიწის ზურგზე და მთელ ქართველებს შორის თავიანთ თავს თვლიან, რასაკვირველია, პირველ კაცებად. ყოფილა იმის მაგალითებიც, რომ ჩვენი, მართლაც, პირველი, მოწინავე კაცები ამ ვაჟბატონებს გაულანძღავთ და გაულახავთ ბანკების კრებაზე და სხვა საჯარო ადგილებზე. აგერ მეოცე საუკუნეში გადავდივართ, თითქოს განახლებული ცხოვრების ჟამმაც ჩვენშიაც დარეკა, და ამ თავზე ხელაღებულთა რიცხვი ქალაქებსა, დაბებსა, სოფლებში და რკინის გზების სადგურებზე არა თუ კლებულობს, მგონია, მატულობს კიდეც და მათი საქციელით ქვეყანას თავიც ეჭრება და დიდი, საგრძნობელი ზარალიც ეძლევა.

ფილიპე ბარბაქაძე, განუცხადა თუ არა მას აბესალომმა თავისი სურვილი, მაშინვე ირინეს წაართმევს მის საყვარელს _ როდამიშვილს და აბესალომს მიათხოვებს. ფილიპე ბარბაქაძე ძველი დროის ნაშთია, მაგრამ ესეც ნამდვილი ტიპია... ბარბაქაძე დახავსებული გრძნობა-გონების პატრონია. იმთავითვე ისე აღზრდილა იგი, რომ ერთი ნათელი აზრი არ მიჰკარებია მის გონებას, მუდამ ისეთ ხალხში და წრეში უტრიალებია, რომ ძალა-უნებურად ცხოვრების ცუდს, გამათახსირებელ მხარეებს აწყდებოდა. იგი ხედავდა მუდამ, რომ მამა ყოველთვის შვილის ბატონი იყო, გავლენიანი და შეძლებული გვარიშვილი უფრო მცირე გვარის და შეძლების მბრძანებელი, უფროსი უმცროსს სჩაგრავდა ყოველთვის და ყოველგან და, რასაკვირველია, ცხოვრების ასეთ ფილოსოფიას არ დაუკარგავს

იმისთვის აზრი და მნიშვნელობა. ამიტომაც, სრულიად გასაგებია იმისი ბრძანებლობის კილოთი ნათქვამი პასუხი, რომელსაც აძლევს იგი ირინეს და რომელიც ზევით ამოვწერეთ. ფილიპე მუდამ იმას ხედავს, რომ ყოველი ადამიანი პირად ინტერესებს ემსახურება, ყველა ერთი მეორის დაჩაგვრას, გაბათილებას და განადგურებას ცდილობს და, ვინც ღონიერი და გავლენიანია, სწორედ იგია ბედნიერიც ამ ქვეყნად. ამიტომაც, აბესალომ სალამთაძე, როგორც გავლენიანი გვარიშვილი, შეძლებული და ღონიერი, ფილიპეს მიაჩნია ბედნიერად ამ წუთი-სოფლად და ფიქრობს, რომ იმისი ქალიშვილიც რაკი აბესალომის ცოლი შეიქნება, სრული ბედნიერი იქნებაო.

_ «შენი უჭკუობისათვის ამნაირ ბედნიერებას რავა დაგაკარგვინებ?!.. მერე მადლობასაც-კი მეტყვი!», _ ეუბნება ეს უბედური თავის ქალიშვილს.

დიდი ქონება და კაი გვარიშვილობა იდეალი იყო ჩვენში და არის ახლაც. ადამიანის გრძნობანი, გულის სიყვარული იმთავითვე შეგინებული იყო და ფილიპეს ჯურის კაცებს სრულებითაც არ ესმით მათი დიადი მნიშვნელობა და ძალა. მაგრამ თანამედროვე ჩვენი ცხოვრება, ახალი თაობის საჭიროებანი და ინტერესები ებრძვიან ამათ თვითნებობას და დესპოტობას, წრეს გადასულ სიმწარეს და ვაგლახ ცხოვრებას და ასეთ ყოფას ვერ აიტანს, ბოლოს და ბოლოს, მოზარდი, ცოცხალი არსება, და ფილიპე ბარბაქაძეები ცხოვრების მიმდინარეობისგან, მიუცილებლად, წალეკილნიც იქნებიან. ხოლო საჭიროა მეტი ბრძოლა, მეტი ინიციატივა...

ცხოვრებაში ხომ ბევრია აბესალომისა და ფილიპესთანა ვაჟბატონები, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც გაცილებით მაღლა დგანან ამ გმირებთან შედარებით. ასეთი გახლავთ კლდიაშვილის პიესაში ბიქტორიც, მეტად პატიოსანი და გონიერი ყმაწვილი კაცი. იგი ძალიან შეწუხებულია, რომ აბესალომი ასე ურცხვად იქცევა სხვის ოჯახში და ირინეს, როგორც პიროვნებას, ძალად ართმევს მის პიროვნულ უფლებას. აბესალომს წინ წამოყენებული აქვს თავისი საკუთარი სიამოვნება, საკუთარი მე, და ამას გარდა იმას არაფერი არა სწამს-რა ქვეყანაზე. ბიქტორი კარგად იხედება ირინესა და იმისი საქმროს _ როდამიშვილის გულში, ატყობს, თუ რა ცეცხლი და საშინელი ქარტეხილი ამტყდარა ამ ორს არსებათა გულში და ცდილობს როგორმე ირინეს მამის გარდაწყვეტილება ჩაშალოს:

«აბესალომს სრულიად არა აქვს თავი, ოჯახს მოეკიდოს, _ ეუბნება ბიქტორი ფილიპეს, _ არა თუ მოეკიდოს, მეტსაც გეტყვით, იგუოს ოჯახი. დღეს თუ ირინეს გთხოვსთ და იმისთვის ირევა, ეგ იმიტომ კი არა, მართლა მისი სიყვარული ჰქონდეს გულში, მართლა ცოლად ირჩევდეს მას... არა, მერწმუნეთ ამაში, ბატონო ფილიპე, არასოდეს, მაგ კაცი გატაცებულია ასე უცაბედათ აღძრული სურვილით და არაფერს ერიდება, რამე გზით კოხტა ქალი დაისაკუთროს, და მერმისზე ის სრულიადაც არ ფიქრობს... მაგას გაღვიძებული გრძნობის ჩაქრობა სწადია და მერე რა იქნება, ამისი დარდი არაფრად აწუხებს, იმიტომ, რომ ცოლსა და ოჯახს თავის თავს არ შეაწუხებინებს. აბესალომისთანა ხასიათის ყმაწვილები საოჯახოდ არ გაუჩენია ღმერთს და როცა შემცდარან და შემთხვევით მოჰკიდებიან ოჯახს, იქ სიკეთე ჯერეთ არავის უნახავს! საუბედუროდ, ამის მაგალითები საკმაოა ჩვენში!.. თუ ვინმე გაძლებს მაგათთან, ისევ მაგ ხასიათის მაგვარი ქალი, თორემ მეოჯახე, მშვიდობიანი, ღვთისნიერი ქმნილება მაგათ სიახლოვეს უკიდურესად გაწვალებულია და წამებული. დამიჯერე, ფილიპე, რომ შენს ირინესაც ამგვარ მომავალს გაუმზადებ, თუ უარი არ მიუგე აბესალოს!»

ასე გრძლად იმიტომ ამოვწერე ბიქტორის სიტყვები, რომ მასში ნათლად იხატება ამ ყმაწვილი კაცის გონებრივი და ზნეობრივი არსება. ეს არის კაცი, რომელიც სხვის, მოყვასის უფლებას, თავისუფლებას და სიყვარულს ესარჩლება და სდევნის მხეცურ საქციელს და უზრდელს, საკუთარი სიამოვნებისათვის თავხედურად მებრძოლ ადამიანს...

ბიქტორი სრულიად ახალი ტიპია ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. აქამდე ვინც კი შეხებია ჩვენ თავად-აზნაურთა ცხოვრებას, ყველანი უარყოფით და რაღაც ერთხელვე აჩემებული ტენდენციით ეკიდებოდენ ხოლმე თავის საგანს1. დ. კლდიაშვილმა ღრმად და შეგნებით ჩაიხედა ცხოვრებაში და თავად-აზნაურთ შორის დღეს დაინახა მეტად სიმპატიური და ნათელი არსება, რომელსაც ყოველ სიტყვა-პასუხში და საქმეში ეტყობა გონიერი მოქმედება.

აზრი ოჯახზე, როგორც საკუთრებაზე, ძალიან ძლიერი და დიდმნიშვნელოვანი აზრია ადამიანში. ბიქტორს, ამიტომაც, წარმოდგენილი აქვს, რომ აბესალომისთანა კაცებს ხშირად, ძალიან ხშირად, ესეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენანი სიცოცხლეს უწამლავენ და სხვებსაც ასალმებენ წუთისოფლის სიამოვნებას. იგი ამიტომ ცდილობს, მოსალოდნელი ტრაგედია თავიდან ააცილოს ირინეს... ბიქტორმა კარგად იცის, რომ ირინე აბესალომის ხელში სულით და ხორცით დატანჯული იქნება და გულით უნდა იხსნას როგორმე ეს სუსტი არსება უბედურებისაგან. მაგრამ ფილიპე ბარბაქაძის ყრუ უვიცობის და თვითნებობის კედელი ვერ შეანგრია მაინც ამ საბუთიანი სიტყვა-პასუხის ადამიანმა და გამოჩერ-ჩეტებულმა მამამ თავისი ასული ხელში ჩაუგდო აბესალომ სალამთაძეს‘«გასაბედნიერებლად»...

უმთავრესი გმირი პატარა პიესისა ვერ არის სავსებით დახატული. აგრეთვე, როდამიშვილიც ძალიან მკრთალად არის დახატული. ირინეს ტიპის დაუსრულებლობა ხელს უშლის დრამატიზმის თანდათანობას და პიესას აკლდება სიცოცხლე. ირინე თუმცა, რა თქმა უნდა, განირჩევა თანამედროვე ქართული პიესების გმირი ქალებიდან მით, რომ იგი პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული, ცოცხალი პირია, მამის თვითნებობის ქვეშ აღზრდილი, მაგრამ პატიოსანი, მშრომელი და წყნარი არსებაა და მისი ფსიხოლოგია ავტორს ნამდვილად აქვს დახატული. მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს მხატვრობა მეტად სუსტია და მკრთალიც...

უნდა შევნიშნოთ, რომ დ. კლდიაშვილი ჯერ-ჯერობით, საზოგადოდ, გვაცნობს თავს, ვითარცა ბელეტრისტი, რომელიც გვიხატავს ცხოვრების რეალობას, მის სინამდვილეს, მოვლინებათა ურთიერთობას და შორს გაურბის გამოგონებულ ზღაპრებს, ფანტაზიორობას და ტენდენციებს, რომელიც მხოლოდ შესანიშნავი მხატვრის ხელში სინამდვილეს არ ამახინჯებს... აქ კლდიაშვილი თითქმის აჭარბებს კიდეც ცოტად. აჭარბებს-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ნამდვილი ხელოვნური მხატვრობისათვის არა კმარა ცხოვრების მარტო სინამდვილის მშრალად, პირწმინდად აღნიშვნა და გადაღება. საჭიროა ვრცელი მხატვრობა, შეგნებით დასურათება მოვლინებათა ურთიერთობისა, პოეტური გამოგონებაც, ასე ვსთქვათ, წამატება, სწორედ იმიტომ, რომ ეს სინამდვილე დიდი სიცხოველით, გარკვევით და შუქის მიფენით დაგვიხატონ თვალ წინ... მაგრამ აქ დიდ ნიჭთან ერთად დიდი სიფრთხილე, დიდი პოეტური წინასწარ-გრძნობაა საჭირო ავტორის მიერ, რომელიც მხოლოდ ხანგრძლივი და ნიჭიერი მუშაობით ლიტერატურაში თანდათან შეიძენს ამ სიფრთხილის და პოეტური მგრძნობელობის

მნიშვნელობასაც და საჭიროებასაც. გავყვეთ, ბარემ, პიესის ნაკლულოვანებათა ჩვენებას...

მეორე მოქმედება პიესისა მეტად სუსტი და უფერულია. ირინესა და აბესალომს შორის ურთიერთი დამოკიდებულება ვერ არის გარკვეული და დახატული, მაგიერად ავტორი ირინეს, მხოლოდ მეოჯახედ ჰხატავს და ეს თითქოს რაიმეს მატებდეს დრამატიზმის ვითარების საქმეს. წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთი ისეთიც გამოჩნდეს, რომ მიზეზი ოჯახის გაუბედურებისა აბესალომს კი არა, ირინეს მოახვიოს. მართალია, თანაგრძნობა ავტორისა ირინესაკენ არის მიქცეული, როგორც ვითომდა სუსტი არსებისაკენ, მაგრამ ეს გარემოება მარტო არა კმარა დრამატიზმის ვითარებისათვის პიესაში. მეტად მძიმე და დიდი დრამატიული წამი პიესის ბოლოს დ. კლდიაშვილს დაუსრულებელი და სუსტი გამოუვიდა. აბესალომი თითქოს განგებ უხდიდეს სამაგიეროს ირინეს, შურს იძიებდეს და იმიტომ ჰკლავდეს...

პიესის დიდ ნაკლულოვანებად მიმაჩნია სწორედ ისიც, რაც სხვას, მრავალგვარ ახალმოდის პიესებზე აღზრდილ კრიტიკოსებს დიდად მოეწონებათ: ქმრის მიერ ხანჯლით მოკვლა ირინესი. საზოგადოდ მიღებულია დღეს, სწერონ პიესები და დადგან სცენებზე იმნაირები, სადაც ან გმირი მამა-კაცი, ან გმირი დედა-კაცი იწამლავს თავს, ან ხანჯალს ჩასცემენ, ან ტყვიით ჰკლავენ. ეს მოვლენა დღეს აუცილებელ პირობად მიაჩნიათ, რომ პიესის «დიდი დრამატიზმი» წარმოგვიდგინონ. მაგრამ ეს ხომ უმთავრესად მოგონილი ზღაპარია და არა ნამდვილი დრამატიზმი ნამდვილი ცხოვრებისა. ნამდვილ ცხოვრებაში რაც უნდა უდიდესი და ურთულესი ზნეობრივი, სულიერი ტანჯვა-ვაება და მწუხარება ნახოთ, მათ შორის ათასში ერთხელ მოხდება ხოლმე თავის მოკვლა, ან სხვის მოკვლა და საუკუნოდ დაღუპვა. ყოველთვის და ყოველგან თავის მოკვლა ხანჯლით, თუ ტყვიით ძლიერ იშვიათი შემთხვევაა და არა ჩვეულებრივი, მუდმივი მოვლინება. და თუ ისეთი პიესები, სადაც დახატულია ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი მუდმივი ცხოვრება, უტყუარად ხატავენ ცხოვრების მოვლინებათა სინამდვილეს და აზრადაც სწორედ ეს გარემოება აქვთ, მაშ, ვიკითხოთ ერთი, რისთვის აზვიადებენ ახალი მოდის დრამატურგები საქმეს, რისთვის ხდება ამდენი თავის მოკვლა და სხვების მუცლის გამოფაშვა? პასუხი აქ მხოლოდ ერთი უნდა იყოს: ეს საჭიროა ავტორებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ სცენაზე ერთი უშველებელი კატასტროფა მოახდინონ და საწყალობელ მაყურებლებს შიშის ზარი დასცენ თავზე. ამას ჰქვია ეფექტი და «უშველებელი შთაბეჭდილების» მოხდენა. აი, ამ ფუქსავატი ეფექტებისათვის წვალობენ და იტანჯებიან ერთგვარი დრამატურგები და საწყალობელნი მსახიობნიც. ადვილად შესაძლებელია, სცენისათვის ასეთი ეფექტები საჭიროც იყოს, რადგან გარდა ამგვარი კატასტროფების და ეფექტებისა ახალი მოდის დრამატურგების ფანტაზიას მეტი რა უნდა შეეძლოს?! მაგრამ ისეთი მწერალნი, რომელთაც ატყვიათ ჭკუისა და ტალანტის მადლი, არ უნდა ჰბაძავდენ უნიჭო დრამატურგებს, არ უნდა მისდევდენ უნიადაგო კატასტროფებსა და ეფექტებს; არამედ უნდა ხატავდენ ხელოვნურად იმას, რაც უნახავთ და შეუნიშნავთ ნამდვილ ცხოვრებაში და, რაც ხდება ჩვენი თვალის წინ მუდამ და ყოველგან. მე შემიძლია მსოფლიო ლიტერატურაში დავასახელო ბევრი შესანიშნავი პიესა, სადაც გამოყვანილია ცოლ-ქმრის დიდად აუტანელი გაჭირვებული ცხოვრება, უდიდესი ტანჯვა, ერთი მეორესთან შეკავშირების გამო, მაგრამ იგინი სცნობენ თავის უძლურებას ამ

უღელის წინაშე, ამ უბედური გარემოების თავიდან მოცილებას ვერ ახერხებენ, ან ახერხებენ საქმის გამოგვარებას როგორმე, თავს არ იკლავენ და არიან თავის მდგომარეობასა და ცხოვრებაში. და ასეთი ორიგინალური გამოხსნა პიესის კვანძისა უფრო უდიდეს ტრაგიკულ ზემოქმედებას მოახდენს ხოლმე, ვიდრე რევოლვერების სროლა და ხანჯლებით ადამიანების გამოფაშვა. მე მგონია ბ. დ. კლდიაშვილს, რომელმაც დაგვიხატა ასე ცოცხლად და უბრალოდ ირინეს ცხოვრების ერთი ეპიზოდი, შეეძლო გაეთავებინა პიესა უკატასტროფოდ. ცოლისათვისაც და ქმრისათვისაც კმაროდა მხოლოდ ერთად ერთი ზნეობრივი ტანჯვა, უბედურება და ის საწამლავი, რომელმაც ირინე‘«გააბედნიერა» ცხოვრებაში. აბესალომის ჯურის ხალხთაც არა სჩვევიათ ქალების გამოფაშვა და «მამაცური» საქციელი. ისინი, ჩვენის აზრით, ველური ხალხია და ველური ხალხი, გერბერტ სპენსერისა არ იყოს, მეტად მხდალი და მშიშარა ხალხია...

ამ პიესაზე უფრო შესანიშნავი ნაწარმოები ახალგაზრდა ბლეტრისტისა დაიბეჭდა შარშანდელს‘«მოამბეში». სახელდობრ «მრევლში», რომელიც წმინდა განხორციელებული მხატვრობაა თავიდან ბოლომდე, ჩვეულებრივი ამბავია აღებული, მაგრამ რა სიამოვნებითა და გატაცებით იკითხება იგი, რა დიდ შთაბეჭდილებას იწვევს, რადგან დაწერილია დიდი დაკვირვებითა და მხატვრობით!

მოკლე შინაარსი მოთხრობისა ასეთია: ახალგაზრდა ნასწავლი მღვდელი ზოსიმე, რომელსაც, ვინ იცის, სემენარიის გალურჯებული ოთხ კედელს შუა, რა სანუგეშო იმედები არ უღვივოდა გულში, თუ მოესწრებოდა იმ ნეტარ დროს, როდესაც მღვდლად სოფელში დატრიალდებოდა და ბეჩავი გლეხ-კაცების ცხოვრებაში შეიტანდა გაბედნიერების ბრწყინვალე სხივებს, ძალიან აღელვებული და შეწუხებულია თავის უნუგეშო მდგომარეობით. იმის მრევლში გაღარიბებულ გლეხკაცობას იმის შეძლებაც არა აქვს, ახალგაზრდა მღვდელს ბინა მოუძებნოს მრევლში და, თუმცა გლეხნი განათლებული მოძღვრის წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ მაინც დრტვინავენ, რომ ეგ განათლებულიც ჩვენ გვიხდება შესანახავადო და მაგასაც ჩვენზე აქვს «თვალები გამოპრაწულიო». ამ სიტყვების მუდამ გამგონე ახალგაზრდა მღვდლის გულში დატრიალდა ჯოჯოხეთი და ეკლესიის გალავანში დგას გარეტიანებულივით, და არც კი ესმოდა მას, თუ რას ემუდარებოდა ერთი გლეხის ბიჭი. ამ გლეხს ორი მძიმე ავადმყოფი უწვა სახლში და მოძღვარს სთხოვდა, იმათ საზიარებლად წაჰყოლოდა. პეტრია სტოროჟმა მოართვა ჯორი მღვდელს და ორივენი გაჰყვნენ გლეხს. გზაში შავ ფიქრებს მიცემული ზოსიმე მათკენ მომავალ მღვდელს შეხვდება, რომელშიაც ხედავს თავის მომავალ ხატებას. მღვდელი ზოსიმე ანუგეშებს მძიმე ავადმყოფებს, აზიარებს და გამობრუნდება შინ, სადაც პატარა ბავშვების ცოცხალი სურათია დახატული. ამ დროებაში იმ გლეხის ოჯახის მოხუცებულ დედაკაცს ანუსიას ის ორი შვილი, ქალ-ვაჟი დაეხოცება და ზოსიმე მღვდელიც ამ გაუბედურებული ოჯახის უშველებელ ჭირსა და ტირილში იღებს მხურვალე მონაწილეობას, რომლისათვისაც დღეს მრევლი დიდად მადლიერია მისი.

უკეთესი ადგილი, ნამდვილი ტიპიური მხარე მისი, მხატვრული და დიდი კომიზმით ჩამოსხმული არის ის ადგილი, სადაც ორი მოძღვარი შეხვდებიან ერთმანეთს.

_ მამა ზოსიმე, მამა ზოსიმე, _ შემოსძახა შემხდურმა, - მამაო, გეტყობა გულნაწყენი უნდა იყვე... სძლიე, სძლიე, მამაო, ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ...

მომავლისათვის შეინახე თავი! სძლიე სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ამინ! და პირჯვარი გადიწერე! ფუი ეშმაკსა-თქვა და გათავდა! _ მხიარულად და სულდაუთქმელად მოაყოლა ამ ხანში შესულმა ჭაღარა-მორეულმა მღვდელმა, რომელმაც ჯორი შეაჩერა, ქუდი უკან გადიწია და ცოტათი გამოაჩინა თავისი მელოტი შუბლზევითი.

_ სად მიბრძანდები, მამაო მიხეილ? _ შეეკითხა ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მამა ზოსიმე.

_ ქუთაისში, აგერ ეს ვაჟბატონი მიმყავს, ეგებ გვარი დაამშვენოს თავის ჭკუითა და სწავლა-განათლებულობით! _ და ამ სიტყვებთან მან თავი მიიბრუნა უკან პატარა, ათი-თერთმეტი წლის ბავშვისკენ, რომელიც უკან შემოჯენილი ჰყავდა ჯორზე, ძალზედ მიჰკროდა მამა მიხეილს წელზე შემოხვეული ხელებით, რადგან საჯდომი ადგილი უნაგირს იქით ჯორის გავაზე მეტად პატარა დარჩენოდა, ისე მიჰკვროდა, რომ მამის ანაფორაში გაჰხვევოდა თავი და სახე სრულიად არ უჩანდა.

_ სასულიერო სასწავლებელში, მამაო?

_ დიახ, დიახ!.. ჩვენ ქე გვწუნობთ, თქვე დალოცვილებო, _ სიცილით თქვა მამა მიხეილმა, _ დასაწუნიც ვართ!.. ამ თრევაში, ამ ხალხთან ყაყანში სულ გამომელაყა თავი!.. რაც რამ იყო შიგ, სულ ერთიანად გამოიფიტა, გაფრინდა სადღაც!.. რავარც ჰაერი გაფრინდება, სწორედ რომ ისე! თუ არა ჩვენს დროზე ვითომც არც ჩვენ გვიჭირდა!.. მეც ვიცოდი რაღაც რაღაცები... მახსოვს გიშპანიის ზღვას გვასწავლიდენ, თეთრ ზღვას, პეჩორის ლავრას... მარა დღეს სადღაა ეს გიშპანიის ზღვა, ან ეს თეთრი ზღვაო, ან პეჩორის ლავრა _ ვეღარაფერი გავიგე!.. თავი მომწონდა წინად და ახლა ამ თითის სიგრძე ბავშვმა მაჯობა... სადაა, ბიჭო, თეთრი ზღვა? არც შენ იცი, შემარცხვინე კაცი?! გიშპანია?! ხა, ხა, ხა! _ გადაიხარხარა ხუმარა და ენაწყლიანმა ხუცესმა. _ შემდეგ მიხეილ მღვდელი პეტრიას გამოელაპარაკება. _ კაი სუქანი კანჭიანთი გულს გაამხიარულებს, ხომ იცით, მამა ზოსიმესაც სხვანაირ გუნებაზე მოიყვანდა! ეგება ახლა კიდეც მიგელოდესთ კაი ბურუხუნა კანჭიანთი, ა?.. ხა, ხა, ხა! კანჭიანთზედ მიხვალთ?! _ სიცილით შეეკითხა ხალისიანი ხუცესი.

_ საზიარებელი მყავს აგერ! _ მიუგო ზოსიმემ.

_ საზიარებელი? ოჰ, აბა უკაცრავად! არ მეგონა, თორემ ამდენხანს არ გაგაჩერებდით ამ შარაში! უკაცრავად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ! თავი დაუკრა ზოსიმეს, შემოჰკრა დეზი თავის თაგვის მსგავს ჯორს და მოსაუბრენი გაშორდენ ერთმანეთს»...

ავტორმა ამ პატარა მოთხრობაში ორი საუცხოვო სურათი დაგვიხატა თვალ-წინ. ერთი სურათი თავდება იქ, სადაც სახლში დაბრუნებულ ზოსიმეს ჩაეძინება. მოთხრობაც აქ უნდა თავდებოდეს, როგორც სამართლიანად შენიშნა შარშან ბ. აკაკიმ «კრებულში». მაგრამ ჩვენს მწერლებს მხატვრული ზომიერება ყოველთვის ღალატობს და დ. კლდიაშვილმაც ერთის მაგიერ, ორი სურათი დაგვიხატა და პირველზე უფრო დიდსა და შესანიშნავ შთაბეჭდილებას და ზემოქმედებას სწორედ ეს უკანასკნელი სურათი მოახდენს ყოველთვის მკითხველზე. ამოვწერდით ამ ადგილსაც, მაგრამ დროც აღარა გვაქვს და მოგვიტევეთ... აფსუსი კი არის, რომ ასეთი ცხოვრების ნამდვილი, ცოცხლად აღებული სამხატვრო სურათი ასე ერთი გაკვრით იყოს ასხმული ისეთსავე ფონზე, ვით მიწყნარებული ბუნების არემარეზე სუბუქი ნიავი. მაგრამ, არ ვიცი, მგონია, მეტის-მეტი გადაჭარბებით და ვრცლად დახატვა ასეთი სურათისა დაამლაშებდა კიდეც

სურათის მოქარგულობას და ისევ სჯობია, რომ მოთხრობის საზოგადო ტანისა და ხასიათის თანაბრად ეგ სურათი ისე იყოს ჩამოსხმული, როგორც ავტორმა დაგვიხატა იგი. ეს უკანასკნელი ნაწერიც ისე, როგორც წინანდელი ნაწერები საყვარელი მწერლისა, პირდაპირ ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ ავტორს საუცხოვო ნიჭი აქვს მხატვრულად წერისა და მას აყენებს იმ წერტილზე, სადაც ვერ მისწვდებიან ბევრი ამ უკანასკნელ ჟამს სოკოსავით ჩვენში გამრავლებულნი‘«ბელეტრისტები»...

ამ უკანასკნელ თავის მოთხრობაში დ. კლდიაშვილმა დაგვიხატა მრევლში ახლად გამწესებული სემინარიელი‘«ნასწავლი» მღვდლის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელიც გამოუწვევია გლეხ-კაცობასთან მის ურთიერთობას და დამოკიდებულებას. თემა ფრიად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია და ერთი მხარე ამ მდგომარეობისა შესანიშნავი ნიჭიერებით აქვს დახატული ავტორს თავის სურათში. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ეს საგანი არც კია აღძრული. დ. კლდიაშვილის პატარა ნაწარმოებში მოკლედ არის დახატული ხასიათი მღვდლისა. ამიტომაც ვერ არის მთელი სამხატვრო სავსებით დამუშავებული. დ. კლდიაშვილი შეეხო ისეთს რთულსა და საინტერესო საგანს, რომელიც მხატვარმა რომ სავსებით შეამუშავოს, მთელი ეპოპეა გამოვიდოდა. რასაკვირველია, დ. კლდიაშვილის პატარა ამბავს ჩვენ ვერ მოვთხოვთ ვერაფერს ამისთანას. ასეთს ეპოპეას ჩვენი ლიტერატურა მოელის მომავალში. ამჟამად კი სრულიად უადგილოა მასზე ფიქრი... მაგრამ არ შეგვიძლია კი, რომ არ შევნიშნოთ ერთი გარემოება. ავტორს თვისი მოთხრობის გმირი რაღაც განცალკევებით, შემთხვევით აქვს გამოყვანილი; რაღაც განკერძებულად ხატავს მღვდლის ყოფას მრევლში და ოდნავაც არ გვიხსნის იმ შინა და გარე რთულ მიზეზებს, რომელნიც ირგვლივ შემოხლართვია მთელ ჩვენს აწინდელ ცხოვრებას...

მართალია, ჩვენი ლიტერატურა აქა-იქ შეხებია მღვდლის ცხოვრებას და მოქმედებას მრევლში, მაგრამ ყოველთვის სუსტად და მკრთალადაც.‘«გლახის ნაამბობში» ილია ჭავჭავაძე სწორედ ისე, როგორც განსვენებული მოჩხუბარიძე თვის‘«მოძღვარში», რაღაც განყენებულად და იდეალურად ხატავენ მოძღვარს. მხოლოდ ერთადერთი მელანია შეეხო თვის შესანიშნავს‘«ბნელოში» და კრებული დახატა გასაოცარი სინამდვილითა და კომიზმით... მაგრამ‘«ბნელოს» ავტორის საგანი არც ყოფილა‘«კრებულის» სავსებით დახატვა. იგი მხოლოდ გზაში წააწყდა იმათ, სწორედ იმ ადგილას, როცა ილიას (ბნელოს) მამას ასაფლავებენ, და უკეთესი გამოხატვა ამ სურათისა არ შეგვხვედრია არსად ჯერ ლიტერატურაში. მაგრამ მელანია შეეხო აღმოსავლეთ საქართველოს კრებულს, რომელიც ცოტათი განსხვავებულ მდგომარეობაში არის, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება...

მთელი ტრაგიზმი დ. კლდიაშვილის მღვდლის მდგომარეობისა იმაში ტრიალებს, რომ მან იცის თავისი განათლების მნიშვნელობა, იცის თუ რამდენად მაღლა დგას გონებით, ხასიათით და სულითაც დაბალ, გაუნათლებელ გლეხებზე, და, ამასთანავე, ამ უპირატეს კაცს არ შეუძლია რაიმე დახმარება აღმოუჩინოს თავის მრევლს, არ შეუძლია არ დაინახოს სრული სიმართლე და სინამდვილე ამ უგუნური გლეხების სიტყვებისა, რომ იგიც, მღვდელიც‘«იმათზეა თვალებ-გამოპრაწულიო»... ჭაბუკი მღვდელი, _ ჯერ კიდევ იდეალისტი, წმინდა, ამაყი, ძლიერი და ნიჭიერიც, კეთილმომქმედიც და შემწყნარებელიც, რომელსაც სხვისთვის, მოყვასისათვის მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება სურს, _ პირდაპირ

გრძნობს, რომ ეს მრევლი მას მტრული თვალით უცქერის, ნათლად ხედავს, რომ ამ მრევლში იგი სრულიად ხორცმეტია, მას ადგილი არა აქვს ამ გლეხთა საზოგადოებაში და იმათ გარეშე უნდა დარჩეს მთელი მისი სიცოცხლე. ამ ახალგაზრდამ იმ წამსვე იგრძნო, რომ მისთვის მომავალი დაღუპულია, აწმყო წარხოცილი და შერცხვენილი, დაუზოგველიც, რომელიც მარტო შხამ-ნაღველისა და უსიამოვნების გრძნობას უმრავლებს და წარსულში კიდევ უნიადაგო ოცნება, რომ ხალხს მაინც და მაინც დავუახლოვდები და იმის ყოველ დღიურ ცხოვრებას შევუერთდები, შუაზე გავიყოფ ჭირსაც და ლხინსაც და ესე გავატარებ ჩემს წუთისოფელსო, განჰქრა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ქრება, ქრება სამუდამოდ ყოველივე ის, რითაც ეს ჭაბუკი სულდგმულობდა ოდესღაც... აი, ასე ითრევს დღეს ცხოვრება არა ერთსა და ორს ნიჭიერ ახალგაზრდას, არამედ მთელ თაობას ერთი წოდებისას, რომელსაც ზევით, სხვაგან წასასვლელი გზები შეკრული აქვს, უნივერსიტეტების კარები დაკეტილი აქვს, და კაცი არ არის, რომ ამათ მდგომარეობაზე, დაცინვის გარდა, ხმა ამოიღოს, რამე იფიქროს და იზრუნოს...

«თვალებ-გამოპრაწული», _ გაურბინა ზოსიმე მღვდელს თავში და ისევ თვალ-წინ წარმოუდგა ახლანდელი ამბავი, ეს მისი მრევლი, მობუტბუტე გლეხკაცობა, ევთიმეს სიტყვები, მიხეილ ხუცესი და მის გულში ისევ გაიღვიძა საშინელმა სევდამ, სასოწარკვეთილებამ. ახლა ზედ ერთვებოდა ეს შინაური სურათიც. კი, კი უნდა გამოპრაწოს თვალები, მართლა თვალებ-გამოპრაწულად უნდა იყოს, თორემ ვერც სხვას წაადგება და თავის თავსაც ავნებს! _ ყოველივე ოცნებაზე ხელი უნდა აიღოს, იცხოვროს ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ! დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიოს, პეტრიასი არ იყოს! სხვა ყოველიფერი ტყუილია და საზარალო! და ამას რომ ეუბნებოდა თავის თავს სახელმძღვანელოდ, უცნაურად ანუსიას ოჯახი მოაგონდა, სადაც ორი მომაკვდავი იწვა და თითქო ვიღაცამ წასჩურჩულა‘«შენი შემოსავალიო». და ამ აზრის გაღვიძებამ, ამ აზრის მის ტვინში გაელვებამ სრულიად დაათავა ახალგაზრდა მოძღვარი. ნუთუ ამგვარი ფიქრების გამაღვიძებლად გაუხდება მისი გაჭირვება, მისი სისაწყლე; ნუთუ ამგვარი აზრების დამუშავებას მიეჩვია მისი ტვინი, მისი გონება?!... და ზოსიმე გადაბრუნდა, გულ-დაწყვეტილი, მეორე გვერდზედ, ჩარგო ცხვირ-პირი მუთაქაში და იდვა გაუნძრევლად...

დიდი ხანი არ დასჭირვებია, რომ მოღალულ-მოქანცულ ტვინს ძილი მიჰპაროდა და სასურველ, სასიამო დავიწყებაში შეეყვანა ახალგაზრდა მღვდელი»...

ამ პაწია თავის მოთხრობაში დ. კლდიაშვილმა აღძრა ორი დიდმნიშვნელოვანი საგანი, ორივე სასარგებლო და აუცილებლად უსაჭიროესი, როგორც ჩვენი სამღვდელოებისთვის, ისე მთლად ჩვენი ერისთვის. პირველი შეეხება ჩვენი ქვეყნის სამღვდელოების ნივთიერად მეტად უნუგეშო მდგომარეობას, მეორე სამღვდელო პირთა მოზარდი თაობის სწავლა-განათლების და განვითარების დიდ საჭიროებას და სარგებლობას.

როგორც მოგეხსენებათ, ბატონ-ყმობის დროს მღვდელი შინაყმად იყო და ყმებთან ერთად ეწეოდა ყოველ საბატონო სამსახურს, ბეგარას და გადასახადს. მხოლოდ შაბათ-კვირებზე იმას ჰქონდა ბატონისგან მინიჭებული უფლება წირვა-ლოცვისათვის და ზოგიერთ კეთილ და გონიერი ბატონის სასახლეში კვირაობით ბატონის სუფრის თავშიაც მოექცეოდა ხოლმე მღვდელი, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგიერთი კეთილი ბატონის სასახლეში იყო ასე, საზოგადოდ კი იმისი

მდგომარეობა, ვამბობ, არაფრით არ განსხვავდებოდა შინაყმის მდგომარეობიდან. სწავლა-განათლებითაც სხვა ბევრი არაფერი მოეთხოვებოდა-რა მაშინ მღვდელს, გარდა საღმრთო წერილის «წყალივით» წაკითხვისა.

ბატონყმობა რომ გადავარდა, რუსეთის განმათავისუფლებელმა იმპერატორმა ალექსანდრე II სამღვდელოებაზედაც მოიღო დიდი წყალობა და იგი განათავისუფლა ამ დამამცირებელი მონობისა, ანდა საკუთრივ ისედაც, თავისთავად მიანიჭა საკმაო ძალა, მნიშვნელობა და პრივილეგიაც, როგორც თვით სამღვდელოებას, ისე მის შთამომავლობას... ამიერიდან მღვდელიც, როგორც სხვა მოხელეც სახელმწიფოსი, შეიქნა სახელმწიფოს მოსამსახურე და, როგორც მხოლოდ ამისთანას, წილი დაუდვეს ჯამაგირებისა და პენსიების მიღებაში, მაგრამ აქ მოხდა ერთი საკვირველი ამბავი. სამღვდელოებას, ამ სახელმწიფოს ერთგულ მოსამსახურეს, როგორც ჯამაგირების, ისე პენსიების მიღებაში, თუმცა წილი დაუდვეს, მაგრამ ეს წილი სწორედ რომ წვლილი იყო და სახსენებელიც არ იყო, და მთლად გაღატაკებული სამღვდელოება კისერზე დააწვინეს გლეხ-კაცობას, წელში გაწყვეტილ ხალხს. რასაკვირველია, ვინც მღვდლად ქალაქებსა და მდიდარ დაბებში იყო, იმ მღვდლების მდგომარეობა უნუგეშოს არას წარმოდგენდა, და სწორედ ისეთივე განსხვავება უნდა ყოფილიყო ქალაქისა და სოფლის მღვდლებს შორის, როგორი განსხვავებაც სუფევს მდიდარ მოქალაქესა, ბურჟუასა და გლეხს შორის. მაგრამ უფრო ერთი, და უდიდესი, ნაწილიც სამღვდელოებისა, რომელსაც წილად ხვდა სოფელში სამსახური, მუდამ წელში გაწყვეტილი და უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ძველი მღვდლები კიდევ, რომელთაც მცირე მოთხოვნილებაც ჰქონდათ და მუშაობასაც შეჩვეულნი იყვნენ, გამუდმებით მუშაობდნენ, როგორც უკანასკნელი გლეხ-კაცნი და ამით უფრო შოულობდენ ლუკმა-პურს, ცოლ-შვილს არჩენდენ და, რაც უფრო გასაკვირველია, შვილებსაც უფრო კარგად ზრდიდნენ, ვიდრე სხვა დანარჩენი წოდებანი...

მაგრამ დღეს კი, როდესაც სემენარიებსა და აკადემიებში ნასწავლი მღვდლები მომრავლდენ გაღარიბებულ სოფლებში, სადაც იმათ თავიანთ მამებივით მუშაობა არ იციან და ვერც ახერხებენ გლეხ-კაცივით მწარე ოფლის ღვრას, პირობები კი მღვდლების მდგომარეობის ისევ ხელუხლებლად ძველებური დარჩა, მაშინ აშკარა შეიქნა, მართლაც ისეთი უნუგეშო და მწარე მდგომარეობა მათი, როგორიც ნამდვილად თვალის-წინ დაგვიხატა ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა დ. კლდიაშვილმა. ზოგი გაურბის ამ მწარე მდგომარეობას და ადგილებს შოულობს ქალაქებში, რკინის გზების სადგურებთან ახლო მდებარე დაბაში, მაგრამ ამათი რიცხვი, როგორც იყო ნათქვამი, მეტად მცირეა და აქაც უუნიჭიერესნი თუ მოხვდებიან ხან და ხან, თორემ უმრავლესობა ისევ იმ ყოფაშია, რომელიც ამ წამს იყო დასახელებული. მაშასადამე, პირველი დიდი და სასახელო საქმეა სამღვდელოების მათხოვრობიდან გამოყვანა, მისი ნივთიერად დაკმაყოფილება და გლეხ-კაცობის კისრიდან მისი პირდაპირ მოცილება და განთავისუფლება. ეს ამბავი სხვა მხრივაც სასარგებლო იქნება, მაგრამ ამას თავი გავანებოთ აქ, რადგან ვჩქარობთ...

სამღვდელოების ამნაირი დაკმაყოფილება, ქონებრივად მისი ამაღლება მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს მის სულიერად აღმატებაზედ. ამჟამად სოფლის ცხოვრება ვითარდება, ვითარდებიან და მატულობენ ყოველ წელს სოფლისავე მოთხოვნილებანი. გარდა ეკონომიური ცვლილებისა, რომელიც დაეტყო თანამედროვე სოფელს, საჭირო შეიქნა ჩვენში ახალი თანამედროვე

სამიწაწყლო კულტურა, მეურნეობის აღორძინება, სოფლელთა შორის სამეურნეო პრაქტიკული ცოდნის გავრცელება, მათი ჯანმრთელობის უშიშრად ყოფა, ათასნაირი ღონისძიებანი მავნე მწერების წინააღმდეგ, ჭირნახულისა და ვენახების მტრების განადგურება, მათი წამლობა, მთლად, საზოგადოდ, ქონებრივი კეთილდღეობა, ზნეობრივი და გონებრივი წარმატება სოფლის მცხოვრებთა უნდა არსებითად აინტერესებდეს მოძღვარს და, მაშასადამე, მოძღვარს უნდა ჰქონდეს ცოდნა, ისეთი ცოდნა მაინც, როგორც მისგან თხოულობს სოფლის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, თორემ ცალიერი თანაგრძნობა გაჭირვებულის, ისეთი თანაგრძნობა, როგორსაც იჩენს მამა ზოსიმე ანუსიასადმი, გაჭირვებას ვერაფერს უშველის და ვერც მღვდლის სინდისს დაამშვიდებს... მართალია, ახლაც არიან მღვდლები, რომელთაც სკოლაში არ შეუსწავლიათ არც მედიცინა, არც მებაღეობა, არც მეფუტკრეობა, არც პედაგოგიკა, არც სხვა რამ სამეურნეო სწავლა-განათლება მიუღიათ სასწავლებლებში, მაგრამ ყოველ ამ საქმეში არა ერთსა და ორს დაგისახელებთ ისეთ მოძღვრებს, რომელნიც კარგ მეფუტკრედაც გამოდგებიან, კარგ მებაღეებადაც, კარგი მასწავლებელნიც არიან და ავადმყოფებსაც დახმარებას უწევენ სოფლად. მაშასადამე, თვით ცხოვრების საჭიროებანი თხოულობენ დღეს, და ხმამაღლადაც თხოულობენ, რომ სამღვდელო პირი იყოს განათლებული უნივერსიტეტში, მაღალი და ნამდვილი სწავლით აღჭურვილი, რომ შეეძლოს ნამდვილი მოღვაწეობა თავისი სინდისისა და ქვეყნის წინაშე. რატომაც არ შეიძლება უნივერსიტეტში აღზრდილთა მღვდლად წასვლა, მედიკურ, ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე სამღვდელოთა შვილების აღზრდა და განათლება და რას წააგებს, ან სახელმწიფო, ან საზოგადოება, როდესაც ასეთი ნასწავლნი მღვდლებად სოფელში დატრიალდებიან და წარუძღვებიან ჯანმრთელობის და სკოლის საქმეს? მე მგონია, გარდა საქვეყნო სარგებლობისა არა იქნება-რა; და ფრიად საჭიროა, ჩვენშიაც ისე შეხედავდენ ამ საქმეს, როგორც გერმანიაში და სხვაგან უყურებენ...

ჩვენი ქვეყნის სამღვდელოებამ რომ თავი დაიხსნას აწინდელი გაჭირვებული მატერიალური მდგომარეობიდან, აუცილებლად საჭიროა, რომ ცხოვრების თანახმად შეიცვალოს მისი დღეინდელი ყოფაც, და მის მოზარდ თაობას მიენიჭოს უმაღლესი განათლების მიღების უფლებანი...

<u>ქართული ლიტერატურა</u>

(ზოგადი მიმოხილვა)

1

ბევრი რამ განსაცვიფრებელი სანახაობა წარმოუდგენია ისტორიას, მაგრამ ისეთი, როგორც რუსეთის დიდი რევოლუცია, რომელსაც მოყვა ბოლშევიზმი და პატარა ერების პოლიტიკურად განთავისუფლება, ჯერ არც ნახულა, არც გაგონილა ისტორიაში.

საქართველოც, ისე როგორც უკრაინა, გათავისუფლდა მეფის რუსეთის აბსოლიუტიზმის ცხრაკლიტულიდან, მოინათლა წმინდა სოციალისტური რესპუბლიკის ემბაზში და თავზე დაიდგა გაჩირაღდნებული დიდებისა და ძლიერების გვირგვინი.

ამასთან ერთად, საქართველო, ფეოდალიზმის მრავალ სამეფოდ და საერისთაოდ დაყოფილ-დანაწილებული, სრულიად გაერთიანდა ერთი დიადი, მიმზიდველი და ძლიერი დროშის ქვეშ. და ამ დღიდან სწორედ ქართველმა მოქალაქემაც ძლიერი, დიადი სიცოცხლის ფასი ღრმად იგრძნო და თავისუფლად, ძლიერადაც ამოისუნთქა...

სწორეთ ამ დროს, ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი რ ი კ ა ც, მემკვიდრე აკაკის მახვილგონიერი ლირიკისა, სასწაულს მოახდენდა გვეგონა, და გასაოცარი, ძლიერი ხმებით ამღერდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ამიერიდან ქართველი მგოსანი, იმისი მკვდრეთით ამდგარი მამულივით, შეიქნა სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი და გასპეტაკებულიც. და თავისუფლება ამ დიადი მამულისა ღრმად გადაეჭდო ქართველი მგოსნის სულს და ბრწყინვალე, შუქურ-ვარსკვლავისა და ბედნიერების ნაკადული შეიჭრა მის არსებაშიც. ახლა საქართველო, თუმცა ღარიბია, მაგრამ სხვაფრივ ყოველმხრივ სრული და უნაკლოა.

გვეგონა, ქართველი მგოსანიც სულით და გულით გამხიარულდებოდა იმ დიადი, ძლიერი, უმშვენიერესი იდეით. მან იხილა აღფრთოვანებული, მოგუგუნე ქართველი პროლეტარიატი და მშრომელი დემოკრატია, რომლის მქუხარე და მჭექარე ოქროს სიტყვები ქარს მიჰქონდა მაღლა-მაღლა ღრუბლებში და არე-მარეს ფენდა დიადი პოეზიის ცეცხლს და ალს...

ჩემთვისაც, რა თქმა უნდა მკითხველისათვისაც, აშკარაა, რომ საქართველოს დღეს სჭირდება და ენატრება კიდეც დიდად გაბედული სიტყვა, ცოცხალი, შემოქმედებით სავსე აზრი, მდუღარესავით ამოხეთქილი გრძნობა და ამაზე უფრო ძლიერი და წარმტაცი განცდანი.

დღეს ჭირდება საქართველოს ყველა ეს, მაგრამ სად არის! ქართული პოეზიის ვერც ერთ მიმართულებას: ვერც რეალისტურს, ვერც ნეორომანისტულს, ვერც‘«სიმბოლოსტურს» და ვერც პროლეტარულს თქვენ ვერ მოუძებნით ძლიერსა და ენერგიულ გამომსახველს ამ მოთხოვნილებისას.

მართალია, ქართველ მგოსანს კალამი ლამაზათ უჭირავს, ლამაზი ქართული სიტყვებითაც, თუ გნებავთ ახალით, წერს ლექსებს და მეტისმეტად პატიოსან გრძნობებსაც გულში გიღვიძებს. მაგრამ რა გამოვიდა! ჩვენი პოეტების ეს გრძნობანი თვალის დახამხამების უმალვე ქრებიან და არავითარ კვალს აღარ სტოვებენ. დღევანდელი მოქალაქის მრავალ სურვილებით გაუმაძღარ გულს ეს გრძნობა ღრმად ვერა ხვდება, ვერა სწვავს მწვავი, აგზნებული ცეცხლით, ვერ აღელვებს, ვერ აშფოთებს ქართველის გულს. წვრილ-წვრილად, პაწია წვიმის, ან ნამის წვეთებათ წინწკლავს და მალეც, ძალიან მალე ქრება. ქართული ლირიკის ოთხივე მიმართულების ლექსები, მიუცილებლად, პოეზიის ნაპერწკლებს ყრის, მაგრამ ეს პოეზია ხანგრძლივად ვერ ანათებს და ვერ ათბობს დღევანდელი მოქალაქის გულსა და სულს...

ჩვენი პოეტების ლექსების წაკითხვით, გამოცდილი და ცხოვრებაში ჩახედული ადამიანი ადვილათ რწმუნდება, რომ ამ ლექსების ავტორებს ვიწროდ შემოფარგლულ წრეში უცხოვრიათ და გასაქანი არ მიუციათ თავიანთი ბუნებრივი აღმაფრენისა და ტალანტისთვის. მაგალითად, ქართველი მგოსანი წრფელი გულითა და სიყვარულითაც უცქერის მუშა ადამიანს, შეხარის მის შრომას და ყოველდღიურ ოფლისღვრას, შედის მის მდგომარეობაში, გულით ებრალება ეს პატიოსანი მშრომელი, მისი ჭირი და უბედურება პოეტსაც გულსა სწვავს, მაგრამ,

აშკარად ატყობ და ნათლადაც ხედავ, ქართველი მგოსნის გრძნობა-გონება, აზრი, მთელი მისი მსოფლმხედველობა ძალიან ვიწროდ არის შემოზღუდული, ღარიბია, და ამჩნევ, რომ მას მუშათა საქმე, პროლეტარიატის დიადი როლი და დანიშნულება სრულიადაც არ ესმის, არ აქვს შეგრძნობილი და კარგად წარმოდგენილი სხვადასხვა სოციალური კლასების ურთიერთ შორის ატეხილი ბრძოლა, ანტაგონიზმი და დამოკიდებულება.

მე ამ სიტყვებით სრულებით არ მინდა ვთქვა, რომ რაც დასწერა პოეტმა, არ ვარგიყოს. არა, მგოსანს დიახაც გული ნაზი აქვს, გრძნობებითაც აღსავსე და ჩინებული ლექსიც დაუწერია ფორმითაც და შინაარსითაც. ამნაირად, სწორედ ძალიან კარგი პოეტური ნაწარმოები შეუქმნია, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არ კმარა, რადგან დღევანდელ ლირიკაში ეს მხოლოდ და მარტო პირველი ფეხის გადადგმაა და ამაზე გაჩერება ჩვენს მეტად გართულებულ ცხოვრებაში ყოვლად შეუძლებელია.

დღეს ჩვენი ცხოვრება ძველს არა გავს, დღევანდელი გუშინდელისგან ძალიან განსხვავდება, სულ სხვა ფერისა და ხასიათის სანახაობას იძლევა, ჩვენი ყოველდღიური ყოფაც წუთობით რთულდება და მიქრის, თავბრუდამხვევი სისწრაფით იცვლება და სხვაფერდება. და ყოველი ჩვენგანი თითოეულ ნაბიჯზე ხვდება ცხოვრების ათასნაირ დაწყევლილ საკითხებს, რომელიც დაჯინებით თხოულობს გადაწყვეტას. მაშასადამე, ქართველი მგოსანიც, როგორც თავისუფალი მოქალაქე, ამ სხვადასხვაობის, ნაირ-ნაირი ცხოვრების წყეული საკითხების წინ არ უნდა შეკრთეს და შედრკეს. მგოსანიც ყოველი მხრით და ყოველნაირად მომზადებული და შეიარაღებული უნდა იყოს, რომ ამ საკითხებს გვერდი არ აუქციოს, სრული უგუნებობა-ინდიფერენტიზმი არ გააღმერთოს, თავი საქვეყნოდ არ შეირცხვინოს და მის წინაშე მძლავრად წამოჭრილი ამოცანები სწორედ მის შესაფერისად, თავისი საკუთარი, ორიგინალური შეხედულებითა და ტალანტით გადასჭრას.

აი, სწორედ ამაშია უკვდავება. და ძვირფასი, სამარადისო სახსენებელიც მგოსანის სახელი, იმისი დიდი პატივი და დიადობა იმაშია, რომ თავის სრულსა და მშვენიერ არსებაში იგი სრულიად შეიცავდეს დღევანდელი დღის მრავალფეროვანი მებრძოლი ცხოვრების სრულსა და მდიდარ გამოხატულებას, განსახიერებას, მის ნაირ-ნაირ ხელოვნურად აღწერას, თავისი ვრცელი და მდიდარი წარმოდგენისა და ფანტაზიის მეოხებით დღევანდელი აჭრელებული, აზვირთებული, მრავალგვარი სინამდვილის აღბეჭდვას...

დღევანდელი დღე, დღე დიადი და ბრწყინვალე, საქართველოში თხოულობს და დაჯინებით, ხმამაღლადაც თხოულობს დიად ტალანტს, ისეთს ტალანტს, რომელსაც შეეძლება ცხოვრების სინამდვილის ათასნაირი საკითხები, როგორც დიდი ფოკუსი, ერთ ადგილში თავმოყრით გვიძღვნას და გაგვიშუქოს; ძლიერი და ღრმა ნიჭით, ენერგიით და წარმოდგენით ერთ სინთეზში შეაერთოს მებრძოლი ცხოვრების სხვადასხვაფერობა და ვაჟკაცურად, დაურიდებლადაც დალეწოს პატარ-პატარა პოეტების მიკიბულ-მოკიბული ნაწარმოებნი, გამოიყენოს იმათგან, რაც საჭირო იქნება იმისი დიადი ტალანტისა და ჩვენი ცხოვრებისათვის.

და მაშინ, რა თქმა უნდა, დიდად გამხიარულებული გულითაც აღტაცებული საქვეყნოდ წამოვიძახებთ: აი, მგოსანი, დიადი და მდიდარი ქართველი მგოსანი, ჩვენი დიადი რუსთველივითა და აკაკივით დასწერა უკვდავი მარგალიტი, «ხელის ხელ საგოგმანები».

ამ ჩვენს დროს, ღრმა და საშინელი დუღილის დროს, ახასიათებს ერთი მეტად სიმპათიური სურვილი: გაუკეთოს ჯამი იმას, რაც გაკეთებულია ერის ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რა ნაბიჯები გადაუდგამს მეცნიერებას, ფილოსოფიას და ლიტერატურას.

საქართველოში მეცნიერება და ფილოსოფია, სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. ქართულ ლიტერატურას კი ჯამი გაუკეთდება და, მაშასადამე, ისტორიულადაც შესაძლებელია იმისი შეფასება.

ამრიგად შეფასებულ ქართულ ლიტერატურას ქართველი მუშა-ხალხის ფართო წრეებიც გაეცნობიან და დაინტერესდებიან უფრო გულწრფელად და ენერგიულადაც, ვიდრე ეს ხდებოდა აქამდე.

ეჭვს გარეშეა, რომ ქართულ კ ა ზ მ უ ლ პ რ ო ზ ა ს ახლოს ვერ გაეცნობით სკოლებში, ვერც ივ. გომელაურის ქრესტომატიებში. ამისათვის საჭიროა თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ თვით ქართული კაზმული პროზა, სერიოზულად გაეცნოთ ისტორიულ კრიტიკას, რომელიც იძლევა ქართული ლიტერატურული შემოქმედების ერთადერთ ნამდვილ და ჭეშმარიტ გასაღებს.

მე მხოლოდ გაკვრით, ერთი თვალის გადავლებით მინდა აქ შევეხო ქართული კაზმული პროზის ჯამს, რომ მუშა ხალხის მოთხოვნილებასა და კეთილ სურვილებს გამოვესაუბრო და მოკლედვე დავახასიათო აღებული საგნის საერთო ფორმა და შინაარსი.

ქართული პროზის ასპარეზზე მომუშავეებს, რა თქმა უნდა, ცხოვრების სინამდვილის ცოცხლად დახატვის ნიჭი და წარმოდგენა არ აკლიათ. ისინი იქ ქმნიან მოქმედ პირებს, გმირებს და იმათ დახასიათებასაც იძლევიან. ქართველი პროზაიკოსები დეტალების წარმოდგენის და დამუშავების უნარსაც იჩენენ და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საგანზე ხანგრძლივადაც უფიქრიათ.

მაგრამ ყველა ეს არა კმარა. ეს ძალიან ცოტაა ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვრობის, კაზმული პროზისათვის. უდიდესი საქმე, რომელსაც თხოულობს მხატვრული, კაზმული ლიტერატურა, არის ის, რომ ქართულმა რომანმა და დრამამ შექმნას ტიპები, მომქმედ პირთა ხასიათები...

ქართველ პროზაიკოსებს რომანისტებს და დრამატურგებს არ ეტყობათ თავისუფალი, დამოუკიდებელი, ორიგინალური ტალანტით მუშაობა ისე სისტემატურად, როგორც მუშაობენ ხოლმე ყოველ დღე ბუნებისმეტყველების ნიჭიერი პროფესორები ლაბორატორიებში. ჩვენი მხატვრული მწერლობის ასპარეზზე მომუშავენი ვერ ქმნიან ფსიქოლოგიურად რთულ, დიდად საინტერესო ხასიათებს, ათასნაირ გულისთქმათა და მოქმედებას, ვერ ხატავენ ბრძოლას, ნაწარმოების ფაბულას, შინაარსს, მის ნასკვსა და გახსნას _ ეს სულ უდიდესი სულიერი მუშაობაა და, ამასთანავე, უნაზესი პროცესიც მწერალ-მხატვარის შემოქმედებისა. ამიტომაც, კაზმული ნაწარმოებნი და, მათ რიცხვში ნამეტურ, რომანებიც და დრამებიც თხოულობს უფრო დიად, უფრო რთულ მხატვრობით და შემოქმედებით მუშაობას და იქ, სადაც ეს გაძლიერებული, ცოცხალი, ღრმა შემოქმედება და მხატვრობა არ მუშაობს, სულიერად ამაღლებულ, ნაზი გემოვნების ადამიანისა და ფილოსოფოს-კრიტიკოსის გულში იწვევს გამწარებას, ძალიან უსიამოვნო გრძნობას...

როგორც ვიცით, ადამიანის სულიერი საუნჯის გადასაცემად, სუყველა იარაღსა და საშვალებათა შორის უპირატესი _ სიტყვაა. სიტყვას უჭირავს უპირველესი

ადგილი ხელოვნების ყოველგვარ შემოქმედებაში. სიტყვის, სტილის მეოხებით, უძლიერეს გამოხატულებას და უდიდეს განვითარებას მიაღწია ფრანგულმა ლიტერატურამ, ფლობერის და ემილ ზოლას შესანიშნავმა შემოქმედებამ.

როცა ამ დიადი დუღილის დროს ვცხოვრობთ, ვიბრძვით და გულგაუტეხელიც დღე და ღამ ვმუშაობთ, აუცილებლად, ქართველი მხატვარი-მწერალიც, რომანისტია იგი, თუ დრამატურგი, ვალდებულია ამუშაოს თავისი მწერლობის ტალანტი, დაეწაფოს მას გატაცებით, გაბედულობით და მამაცურადაც...

ახალი კაზმული მწერლობა საქართველოში იწყება დანიელ ჭონქაძის «სურამის ციხით» და ლავრენტი არდაზიანის რომანით «სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი», რომელსაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ეს რომანი დიდხანს იყო ერთად-ერთი ჩვენში, ვიდრე გიორგი წერეთელმა 1888 წელს ქუთათურ კრებულ‘«ცდა»-ში არ დასტამბა რომანი _ «პირველი ნაბიჯი». ამას იმავე ავტორმა მიაყოლა მეორე რომანი‘«პირიმზე». მას აქეთ დადგა რომანების ხანა ქართულ ლიტერატურაში. რომანებით აქ თავი ისახელეს: ვასილ ბარნოვმა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასამ, შალვა დადიანმა და სოფრომ გლახაშვილმა. დრამატული ლიტერატურაც გაამდიდრეს: ნიკო შიუკაშვილმა, შალვა დადიანმა, ირეთელმა, ი. გედევანიშვილმა, ალ. შანშიაშვილმა და სხვ.

ამ მწერლებმა თავიანთ ნაწერებში დახატეს ქართველი ადამიანები თავისი ყოველდღიური შრომით, ბრძოლით, ზრუნვით, ჭირით და ლხინით. ქართული რომანი მარტო დღევანდელი ყოველდღიური შრომითა და ბრძოლით, ტენდენციებით არ კმაყოფილდება. იგი წარსულისაკენაც დაკვირვებით და საგნის ცოდნით იხედება. და დიდი სიფხიზლე და ენერგია აქ ეტყობა ქართველ რომანისტ _ ვასილ ბარნოვს...

ეს მოკლედ აღნუსხული ცნობებიც მკითხველს ატყობინებს, რომ ქართული კაზმული პროზა რომანებით ღარიბია და ტიპებითაც თითქმის ცალიერია. აღნიშნული მწერლების დრამებსაც და რომანებსაც ცხოველი ფერადებით გადმოაქვთ ჩვენი ცხოვრების მრავალგვარობა და კრიტიკისთვისაც იძლევიან მასალას, მაგრამ, დაგვეთანხმებით, რომ ეს არ კმარა დიდი, მდიდარი და სერიოზული ლიტერატურისათვის. ასეთ ლიტერატურას, ახალ მჩქეფარე მწერლობას ამიერიდან, ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, ქართული მეცნიერება გაუკაფავს გზას და უჩვენებს ახალ პერსპექტივებს. ქართული მეცნიერება ააჩუხჩუხებს ცხოველმყოფელ, დაუშრეტელ წყაროს, რომელიც მიანიჭებს ქართულ კაზმულ პროზას გამხიარულებულ, ძლიერ, მდუღარე სიცოცხლეს და სრულიად ამოივსება ის ნაკლულევანებაც, რომელზეც მე ვუთითებ აქ; ქართული მეცნიერება აღმოაჩენს და მისცემს ჩვენს კაზმულ პროზას სინთეზს იმისას, რაც ქართველი კაცის გრძნობა-გონებას გაუკეთებია წარსულში და დაიბადება ძლიერი და ენერგიული იმპულსი იმისთვის, რომ ქართველის შემოქმედებითი ნიჭი იმუშავებს ქართლოსიანთა ერის ეროვნული აღორ-ძინებისათვის...

ამ დიადი იმედებით გამსჭვალული, გასპეტაკებული ქართველი რომანისტი და დრამატურგი მამაცი, გაბედული უნდა იყოს. იმას გულით უნდა იტაცებდეს დღეს თავდაუჭერელი, უსაზღვრო შემოქმედება, დაუღალავი საქვეყნო შრომა, შრომა... შრომა. მისი კეთილშობილური თავმოყვარეობა მშვენიერების და დიდი, მდიდარი შემოქმედების, ჩვენი ქვეყნის ცოცხალი, მომხიბვლელი, ახალ-ახალი პოეტური სახე-სურათების, ხასიათების და ტიპების აღმოჩენა-შექმნას უნდა ემსახურებოდეს

და შრომაში გულაცრუებას და მოდუნებას გაურბოდეს. და, ნეტავი იცოდეს, რა ტკბილი და სასიამოვნო ჟრუანტელი დაუვლის ტანში მხატვარ-მწერალს მაშინ, როცა ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული შრომის შემდეგ იგი შექმნის დიდად მშვენიერ და მაღალ ხელოვნურ ნაწარმოებს ლიტერატურაში!..

აი, ასეთი დიდი, გაფართოებული თვალებითა და ღრმა აზრით უნდა განიზომოს და შეფასდეს ქართული ლიტერატურა, ქართული კაზმული პროზა და მაშინ ნათელიც შეიქნება, თუ რა ჯამი დარჩება მას...

ქართულ ლიტერატურაშიაც არიან უდავოდ მწერლები, რომელთაც ამის ცოცხალი, ნათელი წარმოდგენა და შეგნება აქვთ. ამ მწერლებსაც კარგად ესმით, რომ შექმნან მწერლობაში სალიტერატურო ტიპები, მშვენიერი სამხატვრო სახე-სურათები და ფსიქოლოგიურად რთული ხასიათები. ერთი სიტყვით, არიან დღეს ჩვენში მწერლები, რომელთაც უჩვენოდაც ესმით ნამდვილი, ჭეშმარიტი აზრი ღრმა, ძლიერი და დიდი მხატვრობისა, მაგრამ არ არის იმპულსი, ძლიერი, ჩხრიალა წყარო ცოცხალი ლიტერატურისა, ღრმად გამკვეთი, თავდაჭერილი, სწორად შეფასებული, სერიოზული სალიტერატურო კრიტიკა, რომელმაც მიუდგომლად, ობიექტურად, წრფელი გულითა და სინდისით აღნიშნოს და შეაფასოს ქართული ცოცხალი ლიტერატურის ავი და კარგი, ნაკლი და ღირსება.

3

მწერლობაში ჩემზე ადრეც უთქვამთ და მართალიც უთქვამთ, რომ ქართველ მუშა-კაცისათვის უფრო დიდი საყვარელი, სატრფიალო საგანია ქართული ლიტერატურა, სადაც თავს იყრიდა და გროვდებოდა მთელი ერის სულიერი სიმდიდრე და დოვლათი: ეროვნული ლირიკა, კაზმული პროზა (ბელეტრისტიკა და დრამატურგია) და კრიტიკა.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, პოლიტიკურად დამონებული ერი, რომელსაც მტარვალი მთავრობა არაფერს არა კითხავდა და ისე განაგებდა მის ბედსა და ცხოვრებას, იყო პატივაყრილი და შეგინებული. მშრომელი ხალხის ღირსება ბინძური ფეხებით იყო გასრესილი და დამარხული. ამასთან ერთად, 1864 წლამდე მშრომელ ხალხს ბატონყმობის მძიმე და მწარე უღელი აწვა კისერზე და ირგვლივ უშველებელი წყვდიადი იყო გამეფებული.

ასეთ შავ-ბნელ დროსაც კი საქართველოში გაჩნდა ლიტერატურის განვითარების უსაჭიროესი ელემენტი _ მკითხველი, რომელმაც საშუალება მისცა სოლომონ დოდაშვილს 1820-იან წლებში გამოეცა ქართული გაზეთი და ალექსანდრე ჭავჭავაძეს დაეწერა, აი, ასეთი ღრმა აზროვანი და რევოლიუციონური ლექსი:

.»ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით, ატარებენ ჟამთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით».

და სხვა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ხმა იყო მაშინდელი ცხოვრების მწარე კრიტიკა, რომელიც წარმოადგენდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ანარეკლს. ალექსანდრე ჭავჭავაძე პირდაპირ, უშუალოდ იცნობდა ფრანგულ ლიტერატურას.

ამ ლიტერატურისა და ფილოსოფიის ზედმიწევნითი და ღრმა მცოდნე იყო იგი და თავისი ნათლიის, ეკატერინე II-ის მსგავსად, ისიც მეგობრობდა დიად ვოლტერს.

ახლა აიღეთ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ერისთავი და სხვებიც. რომელთაც აუმუშავებიათ თავისი ტალანტი ქართველი კაცის გამოფხიზლებისათვის. . . . . .

მართალია, გრიგოლ ორბელიანი პირადად არ იცნობდა ევროპის დასავლეთს, მაგრამ იგი იყო ერთი დიდი უნიჭიერესი წარმომადგენელი ევროპული ლიტერატურული მიმართულების _ რომანტიზმისა საქართველოში. ეს მგოსანი, დიადი პოეტური ტალანტით დასაჩუქრებული, ჩვენი ცხოვრების წყვდიადობამ ჩაღუპა თითქმის უგანაჩენოთ. ცხოვრების სხვა, უფრო ხელსაყრელ პირობებში, ამ პოეტს შეეძლო გაემდიდრებია ქართული ლიტერატურა ძვირფასი ნაწერებით. მაგრამ ეს მოხდა ასე... და გრიგოლ ორბელიანის დიდი ტალანტი დაღუპა ჩვენი ცხოვრების უმსგავსოებამ.

ახლა აიღეთ 40-იანი წლების ქართული ლიტერატურის დიდი მებაირახტრე, გრიგოლ ორბელიანის დისწული _ ნიკო ბარათაშვილი. განა იგი ქართველი ბაირონი არ იყო? ბევრი რამ ევროპის ლიტერატურის მეოხებით, განსაკუთრებით კი ალ. პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, გოგოლის და ბელინსკის მეოხებით შეიძინა ქართველმა და უფრო ქართულმა ნორჩმა ლიტერატურამ. დიახ! ლიტერატურამ, სწორედ ქართულმა ლიტერატურამ მოახდინა პირველი სასწაული საქართველოში ევროპიული მოწინავე იდეებითა და ფიქრებით, აზრებითა და გრძნობებით. ნ. ბარათაშვილი გულით გახარებული აღნიშნავს ახალი, ევროპული ცხოვრების ჩვენში შემოჭრას:

...სადაც აქამდის ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის ჰმართავს აწ ხელი». . .

რომ ევროპა იყო ჩვენი აზროვნებისა და იდეალების ავანგარდი, ესა ჩანს არა თუ ზემოთ დასახელებულ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერალთა ნაწერებიდან, არამედ უფრო გაცილებით ადრეც, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის გოლიათის საბა-სულხან ორბელიანის ნაწერებიდანაც.

1716 წლის ივლისის თვეში, საბა იტალიიდან და საფრანგეთიდან დაბრუნებული, ბათომში გაჩერდა რამდენიმე დღე. ერთ დღეს, ზღვის პირად სეირნობის დროს, საბა ორბელიანსა და მსწავლულ მისიონერებს, რომელნიც საქართველოში მოყვებოდენ მას, გემიდან შემოესმათ ტირილი, ყვირილი და გულის შემზარავი დიდი გოდების ხმა. თურმე გემზე ისხდნენ ქართველი ყმაწვილები, ქალი და ვაჟი, რომელნიც ქართველ მებატონეებს ოსმალებზე გაეყიდათ და ეს გაყიდულები საშინლად ტიროდენ და გოდებდენ. აი, ამ მწარე სინამდვილეს აღწერს საბა ორბელიანი თავის «მოგზაურობაში»:

> «ეს ამბავი შევიტყვე გემში მყოფ ხალხის შესახებ. ამ ამბავმა დიდათ დამაღონა და დამადარდიანა, სირცხვილისაგან სიცოცხლე შემძაგდა. ეს რა რისხვა არის ჩვენს თავს, ეს რა უბედურება და შეუგნებლობაა, რომ ქართველი ქართველს ჰყიდის. ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ქართველი!.. ამის დარდსა და ფიქრებს მივეცი თავი და სულ იმას ვფიქრობდი, თუ ევროპიელი მისიონერებისათვის რა მეთქვა და თავი როგორ მეხსნა სირცხვილისაგან».1

დიახ! ჩვენა ვსწავლობდით და გულწრფელადაც ვსწავლობდით და ეს სწავლა-მოძღვრება, ეს იდეები და იდეალები უკეთესი, უმაღლესი ცხოვრების შესაქმნელათ ნელ-ნელა, ქურდულად და საიდუმლოდ შემოდიოდა ევროპიდან საქართველოში, სხვადასხვა სახითა და სახელწოდებით. ეს ცრუ კლასიციზმი (პლატონ იოსელიანის _ «ატიკა ბღავის, სპარტა ინგრევა»), სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, ბაირონიზმი, 60-იანი წლების ლიბერალიზმი, ნიღილიზმი (ანტ. ფურცელაძისა), ტეტიათა მოტრფიალობა და, ბოლოს, მარქსიზმიც... განა სულ ყველა ეს ევროპის დიდი და ძლიერი მოძრაობის ბრწყინვალე შუქი არ იყო და არ არის?

მაგრამ, საქმე ხომ ამ სხვადასხვა სწავლა-მოძღვრებათა სახელწოდების გადმონერგვაში არ იყო. საქმე ის იყო, რომ ბატონყმობის საშინელი წყვდიადის დროსაც-კი ჩვენს ლიტერატურაში ისმოდა ჰუმანიზმის ხმები, და, ყირიმის ომის გათავების შემდეგ, ისეთი ძლიერი ხმა გაისმა დამონებული ყმების გასა-თავისუფლებლად ქართულ ლიტერატურაში, ხუთი წლის წინად განთავისუფლებამდე, როგორც დანიელ ჭონქაძის _‘«სურამის ციხე» და ილ. ჭავჭავაძის _ «გლახის ნაამბობი» და‘«კაცია ადამიანი?!»

ეს იყო ძველი, დამყაყებული, ბატონ-ყმური ცხოვრების საშინელი და ულმობელი კრიტიკა. ეს კრიტიკა თანდათან, ნელ-ნელა მოყვა ისტორიულ მატერიალისტურ რევოლუციას, რომელმაც მისცა ძლიერი იმპულსი ქართულ ლიტერატურასა და შემოქმედებას, გამოენახა ახალი, მაღალი და მიმზიდველი ცხოვრების აზრი, რომელიც დაამშვიდებდა გამწარებულ გულსა და აღელვებულ სინდისის ხმას.

4

1848 წლის რევოლუციამ გრიგალივით გადაიარა ევროპის ხმელეთი. ქარიშხალი ატყდა დასავლეთშიაც და აღმოსავლეთშიაც. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ასპარეზზე პირველად გამოსულიყო პროლეტარიატი, როგორც პოლიტიკური კლასი და ეს კლასი იწყებდა სწორეთ პოლიტიკურ ბრძოლას.

თავისუფლება მიენიჭა რუსეთისა და საქართველოს ყმებს, რომელთა საუკეთესო მიწა-წყალი, განთავისუფლების დროს, თავად-აზნაურობას დარჩა და ყოფილ ყმათა მომავალი ცხოვრება სიკვდილ-სიცოცხლის განსაცდელში ჩავარდა. ამნაირად, პირველად მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში გაჩნდა თავისუფალი შრომა, და ასეთმა დიადმა ისტორიულმა გარემოებამ, რასაკ-ვირველია, ძირეულად გადააბრუნა ქართველთა ცხოვრება და ყველგან, ქალაქებსა და დაბა-სოფლებში მოხდა სრული და ჭეშმარიტი რევოლუცია.

და აი, სწორეთ ამ დროს, შეიძრა და ახმაურდა ძლიერად ქართველი კაცის ჭკუა, გრძნობა-გონება და ჩვენს ლიტერატურას მიეცა სრულიად ახალი მიმართულება, დაუდგა სრულიად ახალი დრო...

ამ ახალი დროის პერიოდს საქართველოში უნდა ვუწოდოთ ილია ჭავჭავაძის პერიოდი სწორედ ისე, როგორც 50-იან წლებში გიორგი ერისთავის (გლუხარიჩის) პერიოდს ეწოდება, როცა ქართულ ლიტერატურაში შემოიჭრა ქართული კილო, გამეფდა გიორგის სტილი.

ილია ჭავჭავაძემ 1861 წელს ჟურნალ‘«ცისკარში» დასტამბა თავისი კრიტიკული წერილი. ამ კრიტიკულმა წერილმა სწორედ რომ ყუმბარასავით იფეთქა და შიგ

გულში მოხვდა მაშინდელ გავლენიან მწერლებს: მგოსნებსაც და პროზაიკებსაც. ამ კრიტიკულმა წერილმა ძალიან დიდი ბრძოლა ასტეხა და სალიტერატურო ჭაობი საქართველოში ძალზე შეინძრა. ილიამ ამ პირველ წერილს მეორეც მიაყოლა, მაგრამ მეორე უფრო ძლიერი და გაბედულიც იყო. ახლა კი ილიას მუშაობა ჟურ. «ცისკარში» ყოვლად შეუძლებელი შეიქნა და მეორე წელსვე, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, მან დააარსა საკუთარი ჟურნალი‘«საქართველოს მოამბე». ამ დღიდან იწყება სწორედ ჩვენში ერა ახალგაზრდა საქართველოს ახალი ცხოვრებისა.

«საქართველოს მოამბეს» გარშემო შემოკრბენ ილიას ტოლ-ამხანაგნი. მისი თანამოაზრენი და თანამგრძნობელნი. აქ, ამ ჟურნალის ფურცლებზე, პირველად საქართველოში, ატყდა დიადი ფრიად საყურადღებო, ჯერ ჩვენში არც ნახული, არც გაგონილი ბრძოლა ძველი მწერლობის მიმდევართა და ახალგაზრა, რუსეთში ნასწავლ, ეგრეთწოდებულ‘«თერგდალეულთა» შორის; აქ პირველად ატყდა მკაცრი, ულმობელი კრიტიკა და ჩაისახა ბრძოლა მამათა და შვილთა შორის. ეს იყო ორი დიდი ქვეყნის, ორი დიდი ფილოსოფიის, აზიის და ევროპის დატაკება ჩვენში და სწორეთ ეს ჟურ. «საქართველოს მოამბე» იყო საქართველოში პირველი ევროპიული ჟურნალი, რომელმაც მის ნიჭიერ რედაქტორს ერთბაშათ გაუთქვა სახელი მთელს მოწინავე ქართველობაში. ამრიგად, ილია ჭავჭავაძის ჟურ. «საქართველოს მოამბე» წარმოადგენდა ცოცხალი, თავისუფალი ადამიანის გრძნობა-გონების ნავთსაყუდელს, დაუშრეტელი კრიტიკის წყაროს. არ აკლებდა ქვეყანას იგი შორეული გაზაფხულის მერცხლის საამო ჭიკჭიკს და ცოცხალი, მხიარული გულით ენერგიულათ ჰყრიდა ქვეყნის წინაშე, არა თუ უბრალო ნიჭებულობის, არამედ პირველ ხარისხოვანი ტალანტის ჩინჩხლებს.

მიუცილებლად, «საქართველოს მოამბემ» საქართველოს აზიურ-ბიზანტიური პირისახიდან საქვეყნოდ ჩამოხსნა თავიდან ფეხებამდე შესუდრული მოსასხამი და პირდაპირ ევროპიდან, რუსეთის გზით, შემოიტანა ახალი ცხოველმყოფელი, გამა-ცოცხლებელი ნაკადული. მას აქეთ საქართველო გაიყო ორად: მამებათ და შვილებათ. რა თქმა უნდა, ქართველების აზრიც უნდა გაეთავისუფლებია აზრთა ერთი მეორეზე დატაკებას, კრიტიკას. თავისუფალი აზრის, კრიტიკის ცხოველი შუქი საქართველოს მოავლინა 60-იანი წლების ქართველ ლიბერალთა მხატვრულმა ლიტერატურამ.

ჟურ. «საქართველოს მოამბის» დახურვის შემდეგ, ილია ჭავჭავაძემ სახელმწიფო სამსახურს მოკიდა ხელი და სრულიადაც განშორდა ლიტერატურას.

1866 წელში გიორგი წერეთლის რედაქტორობით სტამბიდან იწყო გამოსვლა გაზეთმა «დროებამ». მაგრამ გაზეთის ფურცლებზე, მოგეხსენებათ, შეუძლებელია მიუდგომელი, ობიექტური განსჯა და შეფასება, სწორი კრიტიკა. კრიტიკის წყაროს აჩუხჩუხებისათვის ყოველთვის ჟურნალია საჭირო, და ჟურნალში იგი უფრო თავსდება და პოულობს ნამდვილ და ჭეშმარიტ ნავთსაყუდელს. და აი, საქართველოც შეესწრო ამ დროს, სწორედ ამ ხანებში ციურიხის უნივერსიტეტის კურსი, უფლებათა დოქტორობის ხარისხით, დაასრულა ჭაბუკმა ქართველმა მწერალმა ნიკო ნიკოლაძემ, რომელიც, ერთსა და იმავე დროს, თანამშრომლობდა გერცენის «კოლოკოლში» და ნიკოლოზ ჩერნიშევსკის‘«სოვრემენიკში». განახლებული რუსული ლიტერატურის ახალგაზრდა ბელადნი _ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი, საფრანგეთის დიდი მნათობნი _ ლუი ბლანი, ანრი როშფორი და იპოლიტ ტენი, ქუხდენ და ღელავდენ დიადი და პატიოსანი იდეის

განსახორციელებლად. აი, ამ დიად, შესანიშნავ დროს, უშუალოდ შეესწრო ჯერ რუსეთში და, მერე, ევროპაში _ შვეიცარიასა და პარიზში ნიკო ნიკოლაძე და მთელი თავისი ძლიერი ტემპერამენტი და ტალანტი ჩვენმა ახალგაზრდა ჭაბუკმა ამ ახალი, პატიოსანი აზრების შეთვისებას მოანდომა და იგი ამ ახალი იდეებითა და ცხოველი გრძნობებით დიდად აღტაცებული პირდაპირ პარიზიდან მოვიდა თავის უსაყვარლეს საქართველოში 1869 წლის გასულს.

5

ილია ჭავჭავაძემ, როცა ჟურნალ‘«საქართველოს მოამბის» დახურვის შემდეგ მთლად მიატოვა ქართული მწერლობა და დედა-ქალაქიც, 1870 წ. ევროპიდან საქართველოს მოევლინა ნიკო ნიკოლაძე. მან დაიწყო‘«კრებულ» - «დროების» ცოცხალი საქმე და მისი მეოხებითაც ქართული ლიტერატურა მკვდრეთით აღზდგა. ნიკომ მაშინვე ქუთაისიდან გადმოიყვანა აკაკი, სერგი მესხი და გიორგი წერეთელთან ერთად თავი მოუყარა მაშინდელ ახალთაობას. ილიასთანაც თითონ ადიოდა ხოლმე დუშეთში და იქიდან ამუშავებდა «კრებულ»-‘დროებაში». ბოლოს ნიკომ ილია სულერთიანად ჩამოაშორა სახელმწიფო სამსახურს და ხელმეორედ შეაბა იგი სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უღელში.

საქართველოში ცხოვრებამ პირველად დაიწყო დიდი კვარჩხალი და, მართლაც, გასული საუკუნის 70-იანი წლები ისეთი შესანიშნავი ხანაა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ იგი ჩვენს ისტორიაში კვალშეუმჩნეველი არ გაივლის. ყმების გათავისუფლებამ ერთბაშად გამოიწვია ცხოვრების გადასხვაფერება, გამრავალგვარება. ერთ წერტილზე გაყინული, კარჩაკეტილი სოფელ-ქვეყანა მაშინვე დაიძრა, ახმაურდა. რაღაც ძლიერი, ძირითადი ცვლილება მომხდარიყო და საქართველოს არემარეზე მკვდრეთით აღმდგენელმა ცხოველმყოფელმა სიომ დაუბერა.

გათავისუფლებული მუშის ხელებით შექმნილმა მეურნეობამ ბოლო მოუღო წოდებათა ძველებურ მდგომარეობას, შეამუშავა სხვადასხვა კანონ-დებულებანი და ნორმებიც. აი, ამ ნორმების საზღვარში უნდა ჩამდგარიყო ბატონ-ყმობის ეპოქის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი კლასები და, როცა საზოგადოებრივ კლასთა არსებობის ხანა დადგა, ჩვენში დიდათაც გართულდა და ამოძრავდა ცხოვრება. ყმების გათავისუფლების შემდეგ ხალხის მეურნეობამ მაშინვე საქონელთა წარმოების ხასიათი მიიღო და... საქართველოში გაღმერთდა ფული.

წარმოების, აღებ-მიცემობის სფერო გაფართოვდა. ქალაქებმა იწყო შენება და გაფართოება. დაიწყო გზების, მიმოსვლის გასაუმჯობესებლად დიდი მარაგი და მზადება, სწავლა-განათლების საქმეც თვალსაჩინოდ გაფართოვდა, მოეწყო სტამბების, წიგნების ბეჭდვა და ჟურნალ-გაზეთებიც გაჩნდა თბილისში. მთელი ქვეყნის მეურნეობა, ვაჭრობა გაჩქარებული, ძლიერი ნაბიჯით წავიდა წინ და საქართველოს ათასნაირი საკითხი წამოუყენა წინ გადასაჭრელად...

და აი, სწორედ ამ დროს, ქართულმა ლიტერატურამ სასახელოდ გაუწია დიდი სამსახური ქართველ მშრომელ ხალხს, დემოკრატიას.

70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ, როგორც დიდი და ღრმა ერუდიციის პატრონმა, ქართული ლიტერატურის ახალ, მიმზიდველ ბაირაღს მხნედ და ნიჭიერად მოკიდა ხელი და ხსენებული ჯგუფის (ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი) და ახალი თაობის მეთაურობა იტვირთა. ქართული ლიტერატურის

ახალი მეთაური შეიქნა ნამდვილი და ჭეშმარიტი მოძღვარი, ამ სიტყვის დიადი და მაღალი მნიშვნელობით, მარად გულწრფელი, პირდაპირი, დიადი მღელვარე სულისა და ძლიერი, მდიდარი ენთუზიაზმით აღსავსე ხიბლავდა და იტაცებდა მკითხველს. მისი ცოცხალი, სხარტი, მოქნილი, ნიავსავით სუბუქი სალიტერატურო ფორმების ხმარება, მახვილი და წარმტაცი ენა აჯადოებდა ქართველს იმიტომ, რომ იგი ყოველთვის ემსახურებოდა ჭეშმარიტებას, მშვენიერებას და სიმართლეს. მისი სიტყვა დიდსა და ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა მკითხველის გულში, რადგან იქ მის ყურთასმენას ატკბობდა ცოცხალი, პირუთვნელი, ხალასი გულის ალალმართლობა და სიწმინდე. და ყველა ამას საფუძვლად ედვა ფართე, ვრცელი ცოდნის და ღრმა გრძნობა-გონების უდიადესი ძალა...

ასეთმა დიდმა მოღვაწე მწერალმა კარგად იცოდა, რომ ქართული ლიტერატურა, კრიტიკის დაუხმარებლად ვერ განვითარდებოდა; ვერ წაიწევდა წინ. მშვენიერებისა და ჭეშმარიტების კანონთა ძიება, გამორკვევა და ახსნა ლიტერატურაში ყოველთვის კრიტიკის საქმე იყო. და ნიკო ნიკოლაძემ, ყველა მის ნიჭიერ ამხანაგებზე უკეთ იცოდა ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან, რომ ლიტერატურას იქ კრიტიკა ასულდგმულებდა. და, მაშასადამე, თუ ცოცხალი, სრული კრიტიკა არ ექნებოდა ქართულ ლიტერატურას, იგი ლიტერატურის სახელწოდებას ვერ დაიმსახურებდა ვერაფრით და ვერასოდეს. ამიტომაც, მან ხელი მოკიდა მშობლიური ლიტერატურის კრიტიკას.

ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) სტატია _ «კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში» _ ეს ხომ სრულიად ახალი, ჯერ არც ნახული, არც გაგონილი მოვლინება იყო ჩვენში. ამ შესანიშნავ სტატიას მოყვა კრიტიკულად შეფასება ქართული დიდი მგოსნებისა _ გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკის, გიორგი წერეთლის, ანტონ ფურცელაძის, ქართველ ქალების‘«საამო საკითხავ თხზულებათა» გარჩევა-შეფასება. იმ დროს, ჩვენში ისტამბებოდა მეორე თვიური ჟურნალი‘«მნათობი», რომელსაც, აუცილებლად, შეაფასებდა ყოველთვიურათ ჩვენი კრიტიკოსი. «მნათობის» მწერლები, თუ მთარგმნელები შესანიშნავსა და ღირსეულ დაფასებას პოულობენ ჟურნალ «კრებულში», სადაც საფუძვლიანი დაცინვაც და გაკიცხვაც იყო და კრიტიკოსის სერიოზული მსჯელობა, დიდი ტალანტი, აზრი და ფიქრი, დიდი ცოდნა, სწავლა და გამოცდილება ყოველ სტრიქონში ჩანდა და მკითხველ-საზოგადოებაზე ძლიერადაც მოქმედებდა.

ნიკო ნიკოლაძე არა თუ წერდა კრიტიკულ წერილებს ქართულ ლიტერატურაზე ჟურნალ‘«კრებულში», იგი აქვე ხშირად წერდა კრიტიკულ განხილვას უცხოეთის ლიტერატურაზეც. განსაკუთრებით ფრანგულ ლიტერატურაზე, და ხშირად შეაფასებდა ხოლმე საფრანგეთის სახელოვან მწერლებს, როგორც მაგალითად, ანრი როშფორი იყო და სხვ.

ქართველი მწერლების ნაწარმოებთა ღირსება-ნაკლულევანება და მნიშვნელობა მკითხველ საზოგადოებას პირველად საქართველოში ჩვენმა თავმოსაწონარმა კრიტიკოსმა გადაუშალა თვალ-წინ და მერე ისეთი ღრმა დაკვირვებით და ნიჭიერებით, ისეთი მიუდგომლობითა და გულწრფელობით, რომ დღესაც, ხშირად, ჩვენი ქართული პრესა ნიკო ნიკოლაძის კრიტიკულ განხილვასა და შეფასებას იმოწმებს ხოლმე ყოველთვის, როცა ქართველი დიდი მწერლების ნაწარმოებზე დაიწყებს საუბარს.

აუცილებლად, ამ დიდი ქართველი კრიტიკოსის შრომით ჟურ.‘«კრებულში» გამდიდრდა ქართული სალიტერატურო კრიტიკა. მის ნაწერებში გამოიხატა დიდი სიხარული თავისუფალი შრომისა, გამამხნევებელი ადამიანის სულის და ენერგიისა, სიხარული, რომელიც არის დაუშრეტელი ძლიერი საფუძველი ქართველი ერის ძლიერებისა და უკვდავებისა. ჟურნალი «კრებულის» კრიტიკოსი ერთი დიდი ახოვანი მოსარჩლე იყო განახლებული ცხოვრებისა, გათავისუფლებული შრომისა და მას დიდი, ღრმა პატივისცემა და სიყვარულიც ჰქონდა ქართველი მშრომელი ხალხისა.

6

ნიკო ნიკოლაძის სამწერლო მოღვაწეობა, ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ასპარეზზე, გაგრძელდა ოთხი წელიწადი _ 1870-74 წ.წ. ქართულ ლიტერატურას ამ ხანებში მიეცა დიდი ძალა და მნიშვნელობა და იქ სრულიად გამოიხატა დიდი ეპოქის მებრძოლი და პრაქტიკული ხასიათიც. ქართული ლიტერატურის უმთავრესი გულის წადილი და იდეალი ისეთი წარმტაცი და მიმზიდველი იყო მაშინ, რომ თბილისის საზოგადოება, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დიდი გულისყურითა და გატაცებით ადევნებდა თვალყურს ქართული კრიტიკის და პუბლიცისტიკის მსჯელობას და აზროვნებას. თვით პ. იზმაილოვი, რომელიც ასე დაუზოგველობით დაეტაკა ქართველობას 90-იან წლებში, ქალაქის არჩევნებზე, «კრებულ»-‘დროების» რედაქციაში ათენ-აღამებდა და ნიკო ნიკოლაძის სტატიები დაჰქონდა სტამბებში დასაბეჭდად...

1874 წელს, ჟურნალი _ «კრებული» გადაეცა კირილე ლორთქიფანიძეს და‘«დროების» რედაქტორობას განაგრძობდა სერგი მესხი. 1875 წ. თფილისში თავად-აზნაურობამ დაიარსა საადგილ-მამულო ბანკი და, ნიკო ნიკოლაძის რჩევითა და მეცადინეობით, ამ ბანკის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე. ორი წლის შემდეგ, 1877 წელს, ილიამ საკუთარი სალიტერატურო ორგანოს _ კვირეული ჟურნალის‘«ივერიის» გამოცემა დაიწყო.‘«ივერია» კვირაში ერთხელ გამოდიოდა სტამბიდან მთელი ორი წლის განმავლობაში _ 1877-78 წლებში. ამ ჟურნალს კრიტიკული განყოფილება არ ქონებია და არც ერთ ნომერში კრიტიკა არ დაბეჭდილა.

1879 წელს‘«ივერია» თვიურ ჟურნალად გამოდიოდა და ჟურნალის სახით იარსება შვიდი წელიწადი _ 1886 წლამდე. სამწუხაროდ, არც ამ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჟურ.‘«ივერიაში» არ ყოფილა კრიტიკული განყოფილება, რომ ყოველთვიურად ქართველ კრიტიკოსს თვალყური ედევნებია, განეხილა და შეეფასებია სხვადასხვაგვარი ქართული ლიტერატურული ნაწერების საზოგადო ხასიათი და მიმართულება, ავი და კარგი. ჟურნალ «ივერიის» ხელმძღვანელმა ჩვენზე ნაკლებ არ იცოდა, რომ მწერლობის აყვავებისათვის, გაძლიერებისათვის კრიტიკა იყო საჭირო. მარტო ის როდი კმარა, რომ, რაკი რედაქტორმა დასაბეჭდი სტატია, ლექსი ან და პიესა მოიწონა და ჟურნალში დასტამბა; ეს და მარტო ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ ნაწერი ნიჭიერად არის დაწერილი. მარტო ეს ერთი გარემოებაც, ესე იგი, ავტორის ნიჭებულებაც, რომ მტკიცდებოდეს, განა მარტო ამითი უნდა კმაყოფილდებოდეს ლიტერატურა, საერთოდ და თვიური სალიტერატურო საპოლიტიკო ჟურნალი, კერძოდ? სრულიადაც არა. რა არის, მერე, მწერალი რო ნიჭიერია, მწერალი აუცილებლათ უნდა აიწონ-დაიწონოს და შეფასდეს. კრიტიკამ უნდა ახსნას მწერლის ტალანტის

ხასიათი და მიმართულება, რა პირობებში გაფურჩქვნილა, აყვავებულა და გაშლილა ტალანტი, რა გავლენა და ზემოქმედება მოუხდენია მასზე რასას, ჰავას, ადგილ-მდებარეობას და მემკვიდრეობას; რა იდეებს, გრძნობებსა და რა შთაბეჭდილებას მოუხდენია მასზე გავლენა, რა თვისებისა და გავლენისა არის ავტორის ნაწარმოები, როგორ, რა სიღრმითა და ძლიერებით გამოუხატავს მწერალს თავისი დროის, თავისი ეპოქის საზოგადო მდგომარეობა, გულის წადილი და იდეალი და, ბოლოს, როგორი დასკვნა, რა ჯამი უნდა გაუკეთოს ჩამომავლობამ, შემდეგმა თაობამ ნიჭიერი მწერლის სალიტერატურო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ეს სუყველაფერი ისეთი დიდი საკითხებია, რომელიც შუქსა ფენს და ანათებს მწერლობის ეკლიან სავალ გზას და ღრმა, ძლიერ კვალსაც სტოვებენ ადამიანის გულსა და სულში.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ჩვენზე უკეთაც ესმოდა ჟურ. «ივერიის» ხელმძღვანელს, მარა იმას გარემოება გასაქანს არ აძლევდა...

ქართული ლიტერატურის მდგომარეობა ჯერ დღეს რა არის და, აბა, ადვილად წარმოიდგენთ, მაშინ რა იქნებოდა. დღიურ გაზეთს _‘«დროებას» სამასი ხელისმომწერი არ ყოლია და თვიური ჟურნალისათვის, აბა, კაპეიკსაც ვინ გაიმეტებდა. ან სად იქნებოდა მაშინ საქართველოში წერა-კითხვის მცოდნე ხალხი, როცა სოფლად კი არა, ქალაქ თბილისსა და ქუთაისში ორიოდე სასწავლებელი თუ იყო. ახლა ამას მიუმატეთ ჩვენი ერის სხვადასხვა მხრის უგზო-უკვლობა, კარჩაკეტილობა და მაშინ წარმოიდგინეთ, მწერლობის სიგლახაკე, ამაზე უარესი თუ სადმე იქნებოდა კიდევ...

1881 წ. 1 მარტს ნაროდოვოლცებმა პეტერბურგში მოკლეს ალექსანდრე II, რომანოვი. ამ გარემოებამ გააცოცხლა პეტერბურგისა და მოსკოვის ცხოვრება. დიდად გაცოცხლდა და ახმაურდა პრესა, უნივერსიტეტები, ერობისა და ქალაქის ასპარეზზე მომუშავე მოღვაწენიც. საქართველოც გამოეხმაურა, რა თქმა უნდა, ამ გაღვიძებულ ცხოვრებას, თბილისშიაც და ქუთაისშიაც გაცოცხლდა ქართველობა, ჩვენი ინტელიგენცია და სტუდენტობა და ასაკში მოსული მოსწავლე ყმაწვილკაცობა. ფრთები შეესხა ქართულ ცხოვრებასაც და თეატრსაც. ამ ქალაქებში ხშირად იმართებოდა კრებები, სადაც მსჯელობდენ და კამათობდენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და დიდ-დიდ საერთო საქმეებზე.

ამ მოძრაობამ გამოიწვია ის, რომ დაარსდა მეორე ჟურნალი _ «იმედი», სათეატრო გაზეთი _ «თეატრი», პედაგოგიური ჟურნალი _ «ნობათი» და ქანანოვის რედაქტორობით სტამბიდან გამოვიდა დიდი დღიური გაზეთი‘«მოამბე».

მაგრამ ყველა ამ ორგანოებზე უფრო საყურადღებო იყო ის ამბავი, რომ დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში, პირველად იწყო სტამბიდან გამოსვლა ძლიერ სერიოზულმა კვირეულმა ორგანომ _ «შ რ ო მ ა მ».

გაზ.‘«შრომის» ოფიციალური რედაქტორი იყო ქუთაისის მიხაილოვის საადგილ-მამულო ბანკის თვმჯდომარე დიმიტრი დადიანი. ფაქტიური რედაქტორი და კორექტორი ამ გაზეთისა იყო ცნობილი ქართველი 60-იანი წლების ლიბერალი _ კირილე ლორთქიფანიძე.

7

გაზეთ «შრომის» ირგვლივ თანდათან თავს იყრიდა და გროვდებოდა დასავლეთ საქართველოს მთელი განთქმული მოღვაწეთა გუნდი, ნიკო ნიკოლაძის, აკაკისა და კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით. ნიკო ნიკოლაძე

მაშინვე, რაკი დაინახა, რომ «შრომის» ცენზორი (აბულაძე) გაზეთში ერთ სიტყ-ვასაც კი არ იჭერდა და სრული თავისუფლება იყო გამეფებული, მან თანამშრომლობა დაიწყო «შრომაში».

პრესის ამგვარმა თავისუფლებამ გაზ. «შრომის» საქმე გაცილებით უფრო უკეთეს პირობებში ჩააყენა, ვიდრე თბილისის ქართული პრესსა. მაგრამ მალე ალექსანდრე მესამე რომანოვმა მოსკოვში გვირგვინი იკურთხა. გვირგვინის კურთხევას მოჰყვა საშინელი შურისძიება მტარვალის მამის მკვლელების წინააღმდეგ; მთელ რუსეთსა და საქართველოში გამეფდა სრული და ჭეშმარიტი რეაქცია. აგრესიული პოლიტიკის სათავეში მოექცნენ ისეთი განთქმული რუსის რეაქციონერები, როგორიც იყვნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი _ ტოლსტოი, სინოდის ობერ-პროკურორი _ პობედონოსცევი და‘«მოსკოვის უწყებათა» რედაქტორი _ კატკოვი. საქართველოშიაც სამების ნიშნად, გამეფდა სამი მტარვალი: კავკასიის მთავარმართებელი _ დონდუკოვ-კარსაკოვი, საქართველოს ეგზარხოსი _ პავლე და კავკ. სწავ. განათლების მზრუნველი _ იანოვსკი, რომლებზედაც უკვდავი აკაკი წერდა აი, ამ არალეგალურ ლექსს:

«მოლამ, ყადმა და აჯიამ,
შეკრეს პირობა ძლიერი
რომ გადიყვანონ ყირაზე
საქრისტიანო მათ ერი.
შეექნათ დიდი ბაასი _
მოლამ თქვა: «ბისმირ ალლაო
მათ რჯულის შესაბღალავად,
უნდა ვიხმაროთ ძალაო».
ყადმა მიუგო, სიცილით,
«ჰა, ქეშეშ-ბარაქალაო,
ჯანი გავარდეს სამართალს,
ხალხი ჩვენ გვენაცვალაო».
აჯიამ უთხრა «აფერუმ,
მეც ვეთანხმები მაგათო
და სკოლებს გადავაკეთებ
ხალხისთვის ვირის ბაგათო».
დაძახეს: «ლაილ-ალალო»
სამრად ემზადებიან
და, მიკვირს, ბევრი თქვენგანი,
იმათ ბანს ეუბნებიან.

მუსრი გაავლეს ყველაფერს, რასაც კი მცირეოდენი სიცოცხლის ნიშანწყალი ეცხო, ხელი სტაცეს პრესის სამოქალაქო, საერო ასპარეზზე გამოსულ მოღვაწეებს, შეხუთეს უნივერსიტეტები, სასწავლებლებიც, გამოიცა მრავალგვარი სულის და გულის შემხუთველი კანონები, გამოაქვეყნეს, ეგრეთწოდებული, 84 წლის წესდება სტუდენტების შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ სტუდენტმა მუნდირი უნდა ჩაიცვას, აღსარება უნდა სთქვას და ეზიაროს კიდეცო... ენა ვერ გამოთქვამს აქ და კალამიც ვერ ასწერს ყველაფერს იმას, თუ რა ჯოჯოხეთი დატრიალდა მაშინ რუსეთსა და საქართველოში...

რა თქმა უნდა, ხელი სტაცეს გაზ.‘«შრომისათვის» ქუთაისში დაარსებულ ცენზურასაც და თბილისში გადმოიტანეს ცენზურის კომიტეტში. ამიერიდან ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა ქუთაისში გაზეთის წარმოების საქმე და გაზ. «შრომაც» მოისპო. თბილისშიაც, ამავე გარემოების ძალით, მალე მოისპო ქართული ჟურნალ-გაზეთობა. ასე გასინჯეთ, ყოველდღიური, უხუცესი ქართული გაზეთი‘«დროებაც» მოსპეს და მთელ საქართველოში ქართული გაზეთის ჭაჭანებაც აღარსად იყო.

ახლა, ამ ჩვენ დროში, მინისტრებსა და კომისრებზე არხეინად, თავისუფლად იწერება. ამის მსგავს რასმე უბრალო ბოქაულზედ ვინ გაბედავდა წერას. და სწორედ ამ უბრალო ბოქაულზე მცირეოდენი ამოკნავლება შეიქმნა მიზეზი გაზ.‘«დროების» მოსპობისა 1885 წელს. საქმე იქამდეს მივიდა, რომ ქართული პრესის სახსენებელი სრულიად მოისპო ჩვენში.

მაშინ ილია ჭავჭავაძეს, როგორც სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარეს, რომელსაც, სხვა არა იყოს რა, ბანკში დაგირავებული მამულების განცხადებათა დაბეჭდვა ჭირდებოდა ქართველებისათვის, დიდის გაჭირვებით ნება დართეს ჟურნალი «ივერია» გადაეკეთებინა ყოველდღიურ გაზეთად.

როგორც ახლა ირკვევა, რუსის მტარვალ მთავრობას ილიაც თურმე ეჭვში ყავდა, რადგან მას აბრალებდნენ თბილისის სემინარიის შეგირდებში მთავრობის პროტესტისა და ბრძოლის შეტანას (იხ. ამის შესახებ, შარშანდელი, 1924 წ. ჟურ. «რევოლუციის მატიანე»; ილიასთან ზაქ. ჭიჭინაძესაც ხელს ადებდენ).

1886 წლის პირველი იანვრიდან ერთადერთმა ქართულმა გაზეთმა‘«ივერიამ» იწყო სტამბიდან გამოსვლა. ამის მეტი ბეჭდვითი სიტყვის ორგანო საქართველოში არ არსებობდა 1890 წლამდე, საყმაწვილო ჟურ. «ჯეჯილის» გამოცემამდე.

ყოველდღიურ გაზეთ‘«ივერიას» კრიტიკული განყოფილება არ ჰქონდა და არც ექნებოდა. რასაკვირველია, ყოველდღიური გაზეთი, თუ ნამეტანი მდიდარი რედაქცია არ არის, სპეციალურად კრიტიკისათვის მომზადებულს ნიჭიერ მწერალს ვერ მიიპატიჟებს და ვერ მიუჩენს სავარძელს რედაქციაში.‘«ივერიაში» კრიტიკას სრულიად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და‘«კრიტიკას» ზოგჯერ რედაქციის‘«კრისებს» და ხუმარებს აწერინებდა.

მართალია, ათასში ერთხელ, კუდიან ვარსკვლავივით, «ივერიის» ფურცლებზედაც გაირბენდა კრიტიკული სტატია, როგორც, მაგალითად, ამ სტრიქონების დამწერის სტატიები იყო ოდესიდან გამოგზავნილი, ან კატორღიდან დაბრუნებული გარეთყოფილის ფსევდონიმით ხელმოწერილი (ი. ს. ჯაბადარი) სტატიები, გ. მა-იაშვილის სტატიის კრიტიკა და სხ. მაგრამ ცენზურა იყო ისეთი მკაცრი და დაუზოგველი, რომ მაგალითად, 1888 წ., როცა ჩემს კრიტიკულ წერილებში ვამტკიცებდი, პირველად ქართულ ლიტერატურაში, ისეთ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ პროლეტარიატი არა თუ ბალღამი და ჩირქია ერის ორგანიზმში (როგორც მაშინ ფიქრობდნენ ჩვენში), არამედ იგია ყოველი თანამედროვე კულტურული ერის ცოცხალი კლასი, კაპიტალიზმის დიალექტურ პროცესში წარმოშობილი ანტიპოდი ბურჟუაზიის, რომელსაც შეაქვს დღევანდელი საზოგადო ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი და მდიდარი, წარმტაცი და მიმზიდველი გრძნობა-გონების ნამუშევარი და იდეალები-თქო, მთელ ერთი უშველებელი ფელეტონი სულ ერთიანად დაიჭირა ცენზურამ და გაზ.‘«ივერია» სტამბიდან გამოვიდა მხოლოდ ნახევარი...

გაზ. «ივერიაში» სულ რვა ფელეტონი დაისტამბა ჩემი კრიტიკული სტატიებისა, სათაურით _ «ზოგიერთი ფიქრი».

კვირეული გაზეთი «თეატრი», რომელიც 1889 წლის სექტემბრიდან 1890 წლის მარტამდე ჩემი ფაქტიური რედაქტორობითა და კორექტორობით გამოდიოდა, აწარმოებდა კრიტიკას ჩემი ხელმძღვანელობით.

1893 წელს, იანვრის თვიდან, «ჯეჯილის» რედაქტორ-გამომცემელმა ანასტასია მიხეილის ასულმა წერეთელმა გამოსცა კვირეული ჟურნალი «კვალი».

ჟურ. «კვალის» ხელმძღვანელი და მეთაურები იყვნენ: გიორგი წერეთელი, აკაკი და ვანო მაჩაბელი. ამ სამმა მოღვაწემ «კვალის» კრიტიკული განყოფილება მომანდო მე და ამ განყოფილებას ვუძღვებოდი 1898 წლამდე, მანამდე სანამ აკაკიმ არ მიმიწვია და არ მომანდო კრიტიკული განყოფილება თავის თვიურ ჟურნალ «კრებულში».

1898 წ. ჟურნალ‘«მოამბის» რედაქციამ მე მიმიწვია ჟურნალში თანამშრომლად. «მოამბეში» დაიბეჭდა ჩემი სტატია‘«ბესარიონ ბელინსკი».

1898 წლიდან, ჟურნალ‘«კვალში» ჩემი ადგილი დაიჭირა ახალგაზრდა კრიტიკოსმა ივ. გომართელმა, რომელიც ჟურნალის მოსპობამდე ნიჭიერად უძღვებოდა კრიტიკის განყოფილებას.

1894 წლის იანვრის თვიდან, ჩემ მიერ დაარსებულმა «ქართული წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ» დაიწყო თბილისში თვიური ჟურნალის‘«მოამბის» გამოცემა. 1885 წელს რომ ილიას ჟურნალი «ივერია» მოისპო, მას შემდეგ, 8 წლის განმავლობაში, 1894 წლამდე, ქართველობას თვიური ჟურნალი არ ღირსებია და ამ ახალ ჟურნალს ქართველობა შეხვდა სწორედ ისე, როგორც არაბეთის უდაბნოში მოწყურებული ქარავანი შეხვდება წყაროს.

ახალი ქართული ლიტერატურის დიდი მნათობნი, ერთად თავმოყრით, მოგროვდენ ამ ახალი ჟურნალის ირგვლივ და მუშაობაც გაჩაღდა. ამ ჟურნალში დიდი ხალისით თანამშრომლობა დაიწყეს: ნიკო ნიკოლაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკიმ, ეგნატე იოსელიანმა, პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა, გრ. უმწიფარიძემ (ვოლსკიმ), ნ. ურბნელმა და სხ.

მთელი ერთი წლის განმავლობაში, მისებურად ძლიერი სულის აღტაცებით და ენერგიით ნიკო ნიკოლაძე უძღვებოდა ამ ჟურნალის შინაურსა და უცხოეთის მიმოხილვას, იგივე ავტორი უძღვებოდა ამ ჟურნალის კრიტიკის განყოფილებას და აქ მან დასტამბა, მაგალითად, ფრიად შესანიშნავი კრიტიკული შეფასება ქართველი დიდი მხატვრის გიორგი წერეთლის ბელეტრისტული ნაწერებისა. ჟურნალის ტირაჟი ერთბაშად 1. 000-დე ავიდა, რაც იმ დროს სასწაულს უდრიდა და ყველას გვახარებდა.

8

1894 წელს, მაისის თვეში, გურიაში მოკვდა ქართველი ნიჭიერი ბელეტრისტ-პუბლიცისტი _ ეგნატე ნინოშვილი. მისი კუბოს წინაშე, ეგრეთწოდებულმა,‘«მესამე დასმა» საქვეყნოთ ფიცი დასდვა, რომ საქართველოს დემოკრატიისა და მუშისათვის ის თავს დასდებს და ენერგიას და სიცოცხლეს შესწირავს მისი პოლიტიკური გათავისუფლების საქმეს.

ეს იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი ჰანიბალისებური ფიცი დაუვიწყარ მაისის თვეში, როცა ბუნებით უხვი, მდიდარი, კეკლუცი და მომჯადოებელი საქართველო ქმნის უტურფეს სიცოცხლეს, უკვდავებას და ქართველ კაცს უზომოდ აყვარებს

თავის «პატარა, მარა, შვენიერს მამულს». საქართველოს ცხოველმყოფელი მაისის ზომიერი ჰავა ადამიანს აცოცხლებს, აფხიზლებს, აცქვიტებს, სამოქმედოდ იწვევს და აქეზებს, ენერგიასა და ტალანტს უათასკეცებს. და, ამავე დროს, ჩვენი გიგანტი კავკასიონის გასაოცარი ბუნების მომხიბვლელი, დიადი მშვენიერება სიცოცხლეს აყვარებს და გულში უსახავს მარად უკვდავების და ბედნიერების იმედსაც.

უმთავრესად, ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ საქართველოში «მესამე დასმა» საქვეყნოდ უარყო კვიეტიზმი და განდეგილობა და სწორეთ ამირანისებურად დაეტაკა მთელი დედამიწის ზურგზე ერთ უმძლავრეს მტერს კისრის მოსატეხად...

სწორეთ ამ დღიდან საქართველოში

‘«ომის ცეცხლი,
ასტყდა ფიცხელი»

და დაიწყო გასაოცარი, მდიდარი ისტორიაც...

სწორეთ ამავე, 1894 წელში, როცა სტამბიდან გამოვიდა პირველად ყოველთვიური ჟურნალი _ «მოამბე», თქვენი ჭირი და სატკივარი წაიღო რუსეთის უშველებელმა დესპოტმა _ ალექსანდრე III, ყველას ეგონა, რომ თავისუფლების სიო ცოტათი მაინც დაუბერავდა პრესის არე-მარეზე, მაგრამ მწერლობის ასპარეზზე ნიჭიერი და გულწრფელი მომუშავენი მწარედ მოსტყუვდენ. ისევ ძველებური რეჟიმი, პოლიტიკის სათავეში ისევ ძველებური რეაქციონერები, ისევ სასტიკი და ულმობელი ცენზურა. ნიკო ნიკოლაძეც გაშორდა ჟურნლ‘«მოამბეს»,‘«მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა», როგორც მაშინ იტყოდენ ხოლმე.

სამაგიეროდ, კრიტიკოსის როლში მოგვევლინა _ კიტა აბაშიძე. ჟურნალ «მოამბეში» კიტა აბაშიძემ დასწერა წერილები _ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებზე, გიორგი ერისთავზე, რაფიელ ერისთავზე, ილია ჭავჭავაძეზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, ეკატერინე გაბაშვილზე, დავით კლდიაშვილზე და სხვ.

კიტა აბაშიძემ, რომ უფრო ფასი დასდებოდა მის‘«კრიტიკულ» წერილებს, თავშივე გამოაცხადა, რომ თავი შევაფარე სხვის ნავთსაყუდელსა და ამიერიდან გავყვები საფრანგეთის კრიტიკოსის _ ბრიუნეტიერის გაკვალულ გზას ლიტერატურაშიო...

კარგად მოგეხსენებათ, ბრიუნეტიერმა ერთ თავის წიგნში («ლიტერატურის მსგავსებათა ევოლუცია») გამოაცხადა: «ჟოფრჟუასენტ-ილლერისა და კიუვიეს ბუნებრივი ისტორიის ანალოგიაზე დაფუძნებულ კრიტიკას, ჩვენ შევეცდებით წინ წამოვუყენოთ კრიტიკა, რომელიც დიდი დარვინის ევოლუციის თეორიაზეა და-ფუძნებულიო».

ბრიუნეტიერს რაკი თავისი საკუთარი ფილოსოფია არ ქონდა, დარვინის ევოლუციონურ თეორიას შეაფარა თავი თვისი და კიტა აბაშიძეც, ჩვენი კიტა, რა თქმა უნდა, მოხიბლა ბრიუნეტიერის «მეცნიერულმა კრიტიკამ».

ბრიუნეტიერი სწერს, რომ სარგებლობს‘«მსგავსებათა წარმოშობის» დიადი ავტორის მეთოდით. მაგრამ ნამდვილად მის თეორიას მარტო და მხოლოდ ერთად-ერთი სახელწოდება აქვს საერთო ინგლისის მეცნიერის დიად მოძღვრებასთან და მეტი არაფერი. ან ვინ არ იცის ახლა, რომ ყოველგვარი მეცნიერების საფუძველი მხოლოდ და მარტო ურყევი და ნამდვილი ფაქტია1...

სრულიად სხვაგვარი ამბავია ლიტერატურის კრიტიკის დარგში. სალიტერატურო კრიტიკა ბუნების მოვლენებისა და ცხოვრების მრავალგვარ ფაქტებზე კი არ არის დაფუძნებული და წელგამაგრებული. იგი ეყრდნობა ადამიანის გრძნობა-გონების, შემოქმედების და წარმოდგენის ნამოქმედებს. ეს არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ სალიტერატურო კრიტიკაც ისე, როგორც ლირიკა და კაზმული პროზა (ბელეტრისტიკა და დრამატურგია) წმინდა პიროვნული, ინდივიდუალური ხასიათისაა.

სალიტერატურო კრიტიკაში კრიტიკოსი ასისხლხორცებს, ასე ვთქვათ ასულიერებს თავის საკუთარ პიროვნებას, თავის საკუთარ შემოქმედების ძლიერებას და დისციპლინას. სალიტერატურო კრიტიკაში, მიუცილებლად, კრიტიკოსს უხვად და ნიჭიერად შეაქვს თავისი საკუთარი ერუდიცია და გამოცდილება, მხატვრული გემოვნება და ლაზათი, კოხტაობა და მშვენიერება...

ამიტომაცაა, რომ მეცნიერება, მაგალითად, ფიზიკა ან ბუნების მეტყველება, თუ მათი დასკვნა ურყევი ჭეშმარიტებაა, საყოველთაოა ყველგან, მთელი დედამიწის ზურგზე, ყოველ ქვეყანასა და ყოველ ერში. არ არის ქართული, ან ფრანგული ფიზიკა სწორეთ ისე, როგორც არ არის ფრანგული, ან ინგლისური ბუნებისმეტყველება.

ხელოვნებასა და ლიტერატურაზე-კი ეს არ ითქმის. ხელოვნებაც და ლიტერატურაც არის ბერძნული და გოთიური, ფრანგული და ინგლისური და სხვ. ფილოსოფიაზეც ასე უნდა ითქვას. არის ფილოსოფია ინგლისური, არის ფილოსოფია გერმანული და სხვ. სწორედ ისე, როგორც არის თეატრი რასინისა და თეატრი შექსპირისა...

ამიტომაც, ბრიუნეტიერს სრულებითაც არ მოუცია ჩვენთვის დარვინის ევოლუციის მსგავსი მეცნიერული კრიტიკა და ვერც მოგვცემდა იგი ამ ევოლუციას თავის დღეში, რაც უნდა ემაცადინებია და ეშრომა. კი, გულით იქნება, ძალიანაც უნდოდა მას ეს საქმე გაეკეთებია, მაგრამ შეუძლებელს ბრიუნეტიერს კი არა, ამირანსაც ვერ მოვთხოვთ.

ამიტომაც, ბრიუნეტიერის სალიტერატურო კრიტიკა წმინდაწყლის ესთეტიკური კრიტიკაა და მეტი არაფერი.

ახლა, ამის შემდეგ, რაღა უნდა ვსთქვათ, კიტა აბაშიძეზე?

კიტა აბაშიძის ქართული ლიტერატურის‘«ევოლუცია», მეტი რომ არა ვსთქვათ, პირდაპირ თავუკუღმა გაკეთებული «რევოლუციაა». კიტამ ვერ მოგვცა სწორი მიუდგომელი შეფასება ვერც ერთი ქართველი მგოსნისა და ბელეტრისტისა. მის კრიტიკას ესთეტიურსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან ნამდვილი, ჭეშმარიტი შემოქმედებისა და მშვენიერების ნაწარმოებნი ქართულ ლიტერატურაში, როგორც, მაგალითად, ლირიკა დიადი აკაკისა და ბელეტრისტიკა ქართველი ემილ ზოლასი _ გიორგი წერეთლისა, სრულიად გაუგებარია იმისათვის და გენიოსის, პირდაპირ მაღალს საფეხურზე, ასე ვთქვათ, ოლიმპზე აიყვანა ლირიკაც, ბელეტრისტიკაც მხოლოდ და მარტო ილია ჭავჭავაძისა... ესეც სხვების მიბაძვით... უფრო გ. მაიაშვილის მიბაძვით.

გიორგი წერეთლის _ «მგზავრის წერილები» ცალიერი ფოტოგრაფიული სურათია და მეტი არაფერიო. ამავე ავტორის შესანიშნავი რომანი‘«პირველი ნაბიჯი» უხეირო ნატურალიზმიაო და ილია ჭავჭავაძის მიბაძვით დაწერილიო (იმის აზრით, იერემია წარბა ფოტოგრაფიული სურათია დათიკოსი _ ილიას «გლახის ნაამბობიდან»)...

ახლა მოიგონეთ, აკაკის ლირიკის დამცირება და სრული გაუგებრობა... კრიტიკოსს სრულიად დაჩლუნგებული უნდა ქონდეს მხატვრული გემოვნება, რომ აკაკის ლირიკის სიცოცხლე და ნეტარება არ იგრძნოს. არა, კიტას არ ესმოდა, თუ რა განსხვავებაა ნატურალიზმსა და რეალიზმს შორის...

უკვდავ მგოსანს იმისთვის არაფერი უპასუხნია, გარდა ერთი პატარა იუმორისტული ლექსისა: არც ერთ პოეტზე, არც ბელეტრისტზე ხმას არ ამოიღებდა, თუ ფედერალისტი არ იყო. ფედერალისტი თუ იქნებოდა მწერალი, იმას, რა თქმა უნდა, შეაქებდა, ერთი სიტყვა არ წამოცდენია მწერლობაში არც ნიკო ნიკოლაძეზე, არც ეგნატე ნინოშვილზე. ალბათ, პირდაპირ დემოკრატიიდან გამოსულები რომ იყვენ... აბა თავადები ყოფილიყვნენ: თავის სტატიებს ყოველთვის ასე იწყებს: «თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე».‘«თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი» და სხვ. ერთი ვიკითხოთ, რა საჭიროა აქ, მწერლობაში მაინც, თავადობა?..

აგრეთვე ყოველ სტატიას იწყებს სიტყვით‘«ბატონებო!» ლიტერატურა ბრწყინვალე თავადებისთვის საქეიფო გაშლილი სუფრა ხომ არ არის, სივილა აბლაკატივით‘«რეჩები» დავიწყოთ _ ბატონებო-თქო. მწერალს ხომ მკითხველთან აქვს საქმე და მაშასადამე, რის მაქნისია ეს სიტყვა _ ბატონებო!..

კრიტიკოსს უნდა ახასიათებდეს, როგორც ყოველ ნიჭიერ მწერალს-მხატვარს, საკუთარი სტილი, სალიტერატურო ფორმების ორიგინალობა, უბრალოება და სინაზე. კიტა აბაშიძე მწიგნობრულ ენას ვერ გაცილდა და, ამიტომაც, იმისი ნაწერი წიგნი ძნელი წასაკითხავია და მოსაწყენიც. მე მგონია, ამით ყველაფერი ითქვა.

‘ჩინებული კრიტიკოსი იქნებოდა მხატვარი, _ ამბობს ვოლტერი, _ რომელიც დასაჩუქრებულია კარგი გემოვნებითა და დიდი ცოდნით. კრიტიკოსს არ უნდა ახასიათებდეს შური და სიხარბე, ახლოს არ უნდა იკარებდეს ცრუმორწმუნეობასა და ამჩატებულობასო».

ვოლტერის სიტყვებს აქ მე დავუმატებდი; კრიტიკოსი უაღრესად მიუდგომელი და გულწრფელი უნდა იყოს. მას უნდა ქონდეს ღრმათ შემუშავებული საკუთარი სულის რწმენა და ფილოსოფია, თვისი საკუთარი შეხედულება მშვენიერებასა და სიკეთეზე. უნდა ესმოდეს ცოცხალი ადამიანის გულის ძგერა და მისი საიდუმლოებანი. აგრეთვე, ლიტერატურისა და ჰუმანიტარული მეცნიერების ღრმა ერუდიციით უნდა იყოს შეიარაღებული. დასასრულ, იქნება, ვინმემ იფიქროს, კიტას სახელი გვშურდეს, ან მას ვეცილებოდეთ რამეში. ვინც მიცნობს მე, ამას, რასაკვირველია, გულში არ გაივლებს, და, ვინც არ მიცნობს, იმის დასაჯერებლად, ამ სიბერეში, სიტყვებიც აღარ მემეტება...

ამ პატარა სტატიის გათავებისას, სიამოვნებით გავიმეორებდი ერთი უდროოდ გარდაცვალებული ფრანგი კრიტიკოსის სიტყვებს: «დაწერილი წიგნი, რაც უნდა სავსე იყოს ნაკლულოვანებით, არის ერთი უმაღლესი გამოთქმულებათაგანი‘«საუკუნო ცხოვრებისადმი ლტოლვილებისა»; და ამ აზრით, იგი ყოველთვის ღირსია პატივისცემისო».

1925 წ.